Friedrich Naumann STIFTUNG FÜR DIE FREIHEIT

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი
Economic Policy Experts Center

სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები

# თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება – კერძო საკუთრება, როგორც თავისულების გარანტი

(16 მაისი, 2015)

Proceedings of Materials

of Student Scientific and Practical Conference

# Freedom and Economic Freedom - Private Property as a Guarantee of Freedom

(May 16, 2015)

თბილისი TBILISI
2015

კონფერენციის ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია **,,ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი''.**

არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრმა'' **„Friedrich Naumann Foundation''**-ის პროექტ **"Freedom and Economic Freedom - Private Property as a Guarantee of Freedom"-ის** ფარგლებში, 2014 წელს (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი) ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრასა და კერძო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური თავისუფლების აქტუალიზაციაზე ლექციები ჩაატარა **საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასა** და შემდეგ უნივერსიტეტებში: ,,ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი''; ,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი''; ,,გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტერტი''; ,,თბილისის ღია უნივერსიტეტი''; ,,კავკასიის უნივერსიტეტი''; ,,ქართული უნივერსიტეტი''; ,,ქუთაისის უნივერსიტეტი''; ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი''; ,,სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია''; ,,გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი''; ,,ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი''; ,,სეუ - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი''; ,,ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი''; ,,აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი''; ,,სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი''; ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი'' და ,,ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი".

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ლექციებზე დამსწრე სტუდენტებმა.

სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2015 წლის 16 მაისს სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე ,,თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება-კერძო საკუთრება, როგორც თავისუფლების გარანტი" წარმოდგენილ საუკეთესო მოხსენებებს.

**სამეცნიერო - სარედაქციო კოლეგია: რამაზ გერლიანი** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს პრეზიდენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; **მათე გარდავა -** „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს დამფუძნებელი; **ივანე ჩხაიძე** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საინვესტიციო კომპანია ,,ვანო&კო’’-ს პრეზიდენტი; **ამირან თავართქილაძე** - გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი; **ვეფხია გიორგაძე** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს ვიცე პრეზიდენტი; **ამირან კაპანაძე -** „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **ირაკლი მაკალათია** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**Scientific-editorial Board: Ramaz Gerliani** - President of “Economic Policy Experts Center”, PH.D; **Mate Gardava –** The founder of “Economic Policy Experts Center, **Ivane Chkhaidze** - President of Investment company "V and CO”, PH.D; **Amiran Tavartkiladze** - Guram Tavartkiladze Teaching University”, Professor; **Vepkhia Giorgadze** – Vice President of “Economic Policy Experts Center”; **Amiran Kapanadze** - International department head at Economic Policy Experts Center; **Irakli Makalatia** - Tbilisi State University, PH.D.

**კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი: ირაკლი მაკალათია** - ეკონომიკის დოქტორი; **ამირან კაპანაძე -** „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **ვეფხია გიორგაძე** - „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს ვიცე პრეზიდენტი.

**Organizing Group of the Conference: Irakli Makalatia** - Tbilisi State University, PH.D; **Amiran Kapanadze** - International department head at Economic Policy Experts Center; **Vepkhia Giorgadze** – Vice President of “Economic Policy Experts Center”.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი, 2015

თბილისი, 0108, მელიქიშვილის 1/6.
ტელეფონი: +995 55 112 444; + 995 68 699 163
ელ. ფოსტა: epecconference@gmail.com; info.epec@gmail.com

# საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

**ზაურ მშვიდობაძე** - ბაკალავრიატი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
**ავთანდილ ხურციძე -** ბაკალავრიატი
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

მითი არგონავტების შესახებ დასტურია იმისა, რომ ძველ კოლხეთში საზღვაო ნაოსნობა მაშინდელი მსოფლიოს დონეს თუ არ აღემატებოდა, არ ჩამოუვარდებოდა მაინც. ის, რომ იაზონმა მედეა გაიტაცა და კოლხების ხომალდები არგოს დაეწივნენ, ადასტურებს კოლხური ხომალდების ნაოსნობაში გაწაფულობას. საქართველოს ზღვით უკავშირდებოდნენ არამარტო ბერძნები, რომლებმაც მოგვიანებით სანაპიროზე თავიანთი კოლონიებიც კი შექმნეს, არამედ ძველი სპარსელებიც. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები ცხადყოფს საქართველოსა და საბერძნეთის, მოგვიანებით კი, საქართველოსა და რომის მჭიდრო ეკონომიკურსა და კულტურულ კავშირებს, რაც მხოლოდ საზღვაო გზებითა და ინტენსიური ნაოსნობით იყო შესაძლებელი. საქართველო სატრანსპორტო-სატრანზიტო გზებისა და, ზოგადად, საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მისი აქტიურად ჩართვა ისტორიული ტრანსკავკასიური დერეფნის განვითარებაში.

დიდია საქართველოს ისტორიული როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დაკავშირებაში. ამ უკანასკნელზე ნათლად მეტყველებს ქართული, ბერძნული, სომხური და არაბული ისტორიული წყაროები. ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს (XII ს.) საქართველოში მატყლი შემოჰქონდათ ალექსანდრიიდან შავი ზღვის სანაოსნო გზების გამოყენებით. XI-XII საუკუნეებში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც ამ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის ცენტრები იყო (1.332).

შუასაუკუნეებიდან საქართველოს დიდი ეკონომიკური და საზოგადოებრივი ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა სხვა ერებთან: ბაღდადიდან, არაბეთსა და სპარსეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ ოქროს ძაფით ნაქარგი ქსოვილები, სურნელებანი,

ნელსაცხებელნი, მუშკი, ძვირფასი ქვები; საბერძნეთიდან და სომხეთიდან - ქსოვილები, ხატები. ბაზარი და სავაჭრო მოედნები საქართველოში არსებობდა X საუკუნიდან. ბაზარზე ყიდულობდნენ ცხენს, უნაგირს, ლაგამს, სამოსელს, სახნისს, ქვაბს, ხარის ტყავს, ქალამანს... XII ს-ში ვაჭრობა ისე განვითარდა, რომ დაარსდა ბანკის ტიპის დაწესებულება, რომელსაც იმ დროს არტალის უწოდებდნენ. აღნიშნული საქონელი საქართველოშიც მოიხმარებოდა, უდიდესი ნაწილი კი საზღვაო ტრანსპორტით ხმელთაშუაზღვის სახელმწიფოებსა და ევროპაში გადიოდა.

სარწმუნო ისტორიული წყაროების მოკვლევითა და გაანალიზებით იკვლევა, რომ საქართველოს აქტიური საგარეო-ეკონომიკური (უმთავრესად სავაჭრო) ურთიერთობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის (ირანი, თურქეთი, არაბეთის ქვეყნები), რუსეთის სახელმწიფოებთან და მათი მეშვეობით-ევროპისა და აზიის ქვეყნებთან.

ისტორიულად საქართველო მისი გეოგრაფიული თავისებურებებიდან, გლობალური და საერთაშორისო ურთიერთობის ადგილისა და როლიდან გამომდინარე, ხმელთაშუა და შავი ზღვის ასპარეზის საზღვაო სახელმწიფოა. საქართველომ ეს სტატუსი დაიმსახურა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, შავ ზღვაზე გასვლისა და საზღვაო საზღვრების განფენილობის მიხედვით, ასევე შავი ზღვის შესწავლის პერსპექტივით, საზღვაო ტრანსპორტის ნაოსნობის, ევროპისა და აზიის შორის ბუნებრივი დერეფნის განვითარებით.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარ პრიორიტეტს სატრანსპორტო დარგების კოორდინირებული (ზღვა-ხმელეთი) ფუნქციონირება, ევროპული სტანდარტების შესაბამისად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია-მშენებლობა და ქვეყნის კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს.

ისტორიული ენციკლოპედიის მიხედვით ამიერკავკასიის ეკონომიკისთვის ეპოქალური მოვლენა- ბაქოს ნავთობის ევროპაში (პირველი) გატანა 1872-1885 წლებში სწორედ ქართული პორტის მეშვეობით განხორციელდა, რამაც მკვეთრად გაზარდა ამიერკავკასიის სამრეწველო და სავაჭრო შესაძლებლობები, მისი საერთაშორისო ურთიერთობების ეკონომიკური როლი და პოტენციალი. საქართველოსთვის სულ სხვა პოლიტიკურ-ევროპული არეალი და სივრცე გამოჩნდა. სწორედ ქართული პორტი- ფოთი და ბათუმი - გახდა იმ სამკუთხედის ( ბაქო-შავი ზღვა-ევროპა) ძირითადი შუა შემადგენელი და დამაკავშირებელი (2.25).

1876 წელს ბრიტანული გაზეთი „დეილი ნიუსი“ წერდა: „ბათუმის ნავსადგური ერთადერთი უსაფრთხო ნავსადგურია შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე, აქ წყალი იმდენად ღრმაა, რომ ყველა დიდი გემს შეუძლია ჩაუშვას ღუზა ნაპირთან ახლოს. გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა შეიძლება ნებისმიერ ამინდში. ჩრდილოეთისა და ჩრდილო დასავლური ქარები, რომლებიც აღწევენ კავკასიის ნაპირებს არასოდეს უბერავენ ბათუმის ნავსაყუდელის სანაპიროს... ბათუმი ამჟამად უსარგებლოა მსოფლიოსთვის და ასეთი იქნება იგი ყოველთვის თუ თურქების ხელში დარჩება. საუკეთესო მთავრობის ხელში კი იგი მალე მიაღწევს წარმატებას...“ გავიდა საუკუნეზე მეტი და... (3.265).

სამწუხაროა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საზღვაო ქვეყანაა, მისი წილი მსოფლიო საოკეანო - საზღვაო ეკონომიკაში ძალზე მწირია.

1897 წლის ნოემბერში გაზეთ “ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც ქალაქ ფოთის გამგეობაში საჯარო ვაჭრობის საკითხს იხილავდა - ნიკო ნიკოლაძის ინიციატივას ნავსადგურის იჯარით გადაცემის შესახებ. ამ სტატიიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ინტერესი გასჩენიათ საზღვარგარეთის საკომერციო ნავსადგურების მშენებელ კომპანიებს. ეს კი იმედის მომცემი უნდა ყოფილიყო, როგორც ფოთის მოსახლეობისთვის, ისე საქართველოსთვის, რითაც საფუძველი ჩაეყრებოდა უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის მანძილზე, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დარგი განვითარდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს. საქართველოს ჰქონდა ორი საოკეანო თევზსაჭერი ფლოტი, თევზსაჭერის მეურნეობები ფოთში და სოხუმში; ასევე, საქართველოს საზღვაო სანაოსნო, რომელთა განკარგულებში იყო 60-მდე სხვადასხვა ტონაჟის მშრალტვირთამზიდი, ტანკერები და საკრუიზო გემები. ჩვენი გემები მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის 150- ზე მეტ ნავსადგურში უშვებდნენ ღუზას და ყოველთვის საუკეთესო ეკონომიკური მაჩვენებლებითა და მომგებიანი საქმიანობითგამოირჩეოდნენ. საზღვაო სამსახურის სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, ეს სიმდიდრე ქვეყანის ბიუჯეტს რამდენიმე ასეულ მილიონს მოუტანდა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობისა და ქაოსის პირობებში ვერ მოხერხდა საზღვაო დარგის შენარჩუნება... მავანთა არასახელმწიფოებრივი და დანაშაულებრივი მოქმედებების შედეგად ჩამოიშალა არსებული ინფრასტრუქტურა, განადგურდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო,

უსაფუძვლოდ ჩამოეწერა, გასხვისდა და გაიყიდა ქართული გემები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საზღვაო ფლოტი 62 გემისგან შედგებოდა, 2003 წლის ნოემბერში - მხოლოდ 15 გემისგან, ხოლო 2009 წლის ნოემბერში არც ერთისგან. დაუსაქმებელი დარჩა ათასობით ადამიანი. იქ, სადაც ქართული გემები საზღვაო გადაზიდვებით იყო დაკავებული, უცხოური კომპანიები გაჩნდა. საქართველოში არსებული საზღვაო საბორნე გადასასვლელების 100% ეკუთვნის უცხო ქვეყნების (თურქეთის,უკრაინის,ბულგარეთის და რუმინეთის) კომპანიებს, იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იყო პარიტეტის საფუძველი დაცული ყოფილიყო და საქართველოს სახელმწიფო ან კერძო კომპანიებს მიეღო მონაწილეობა საზღვაო საბორნე გადაზიდვებში. ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად, 1993 წელს დამოუკიდებელი საქართველო გაერო-ს სართაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრი გახდა... დაიწყო ჩვენი ზღვისპირა ქვეყნის სრულყოფილ საზღვაო სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და მსოფლიოს დიდ საზღვაო ოჯახში მისი ინტეგრაციის ურთულესი პროცესი...

ერთადერთი რაც ახსენებდა საქართველოს, რომ იგი იყო და არის საზღვაო ქვეყანა, იყო საქართველოს საზღვაო ძალები, სანაპირო დაცვის სამსახური, ფოთისა და ბათუმის პორტების. მიგვაჩნია (და არა მხოლოდ ჩვენ), რომ სამხედრო საზღვაო ძალების გაუქმება იყო საქართველოს მთავრობის შეცდომა, მისგან გამომდინარე შედეგებით უფრო სწორედ „ნულოვანი“ შედეგით. მიუხედავად საბჭოთა ეპოქაში არსებული მნიშვნელოვანი საზღვაოსნო ტრადიციებისა საქართველოს უშველებელი რესურსის გარდა არანაირი საზღვაო ინფრასტრუქტურა არ გააჩნია. ნავსადგურები ცალკეულ ტერმინალებად გასხვისებული და გაყიდულია.

ფოთის პორტი, რომლის მნიშვნელობა და შესაძლებლობების არეალი ძალზე დიდია, სუპერმომგებიანი ობიექტიდან მცირე მოცულობის სატვირთო „ბაქნად“ იქცა. საწუხაროდ, არსებობს სრული განუკითხაობა საზღვაო მართვაში, ვინაიდან საქართველოში „ვერ მოიძებნა“ სპეციალისტები, რომ საზღვაო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მენეჯმენტი გამართულად და სრულყოფილად წარემართა. საქართველომ უკვე განიცადა რამდენიმე მილიარდის ზარალი, ამ დარგის ასე „მიგდებისთვის“ ამ წლების მანძილზე და იმედია, ხელისუფლება და საზოგადოება დროულად გამოფხიზლდება და, თუნდაც დაგვიანებულს, მაგრამ რეაგირებას მოახდენს საზღვაო დარგის მოწესრიგების კუთხით.საქართველოს არ ჰყავს არცერთი სატვირთო გემი, ანუ არ გააჩნია სავაჭრო ფლოტი;

საქართველოს არ ჰყავს თევზსაჭერი ფლოტი; საქართველოს არ ჰყავს სამხედრო-საზღვაო ფლოტი; სრულიად არაეფექტურია ფოთში მოქმედი თავისუფალი ეკონომიკური ზონის საქმიანობით მიღებული შედეგი, რაც ვფიქრობთ არასწორი მენეჯმენტის, მხოლოდ „კერძო ინვესტიციების" , სუსტი სახელმწიფო კონტროლის შედეგია. სხვანაირად გაუგებარია ის მინიმალური შემოსავლები და ტვირთბრუნვა რომელიც ზრდის ნაცვლად ყოველწლიურად მცირდება. საპორტო ქალაქებში თავისუფალი ეკონომიკური ზონები მთელ მსოფლიოში მომგებიანი და ტვირთების გადაზიდვის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს, ჩვენთან კი რატომღაც ვერანაირი ეფექტი ვერ იქნა მიღებული,

საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ „განვითარებად" პოზიციაზეა. აქ ჯერ კიდევ დაბალია შიდა პროდუქტის მოცულობის ხვედრითი წილი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მაგრამ საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მოსახლების განათლება და პროფესიონალიზმი, ქვეყნის მისწრაფება-ჩაერთოს ევროპის ეკონომიკურ პროცესებში, განაპირობებს სამომავლოდ მისი ეკონომიკის სწრაფ განვითარებას. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება პირდაპირ მიმართულია ეკონომიკური რესურსებისა (მათ შორის სატრანსპორტო) და პროცესების სრულიად ახლებური მართვისკენ, ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისკენ. ბუნებრივია ამ შემთხვევაში გაიზრდება მოთხოვნილება სატრანსპორტო გადაზიდვებზე ქვეყნის ეკონომიკის მხრიდან, მათ შორის უპირველესად საზღვაო გადაზიდვებზე. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოცემული საკითხის აქტუალურობისთვის.

2014 წელს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 5 %-ით გაიზარდა და 11 457 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვამ 2990 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 500 მლნ. აშშ დოლარით აღემატება ეს იმ დროს როდესაც დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობა მხოლოდ ერთ წელიწადში 5% - ით შემცირდა. ძირითადი სავაჭრო პარტნიორ ქვეყნების პირველ ათეულში გერმანია, რუმინეთი, იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი და პოლონეთია. ამასთან სტაბილურად იზრდება საქართველოს ტერიტორიის გავლით სატრანზიტო საქონლის გადაზიდვის მაჩვენებლები. საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია საქართველოს კონკურენტუნარიან სახელმწიფოდ წარმოგვიდგენს. აღნიშნული უპირატესობა ქვეყნის მდგრად განვითარებაზე დადებითად მოქმედებს. ამ მიმართულებით საერთაშორის ფუნქციის შეძენას ეკონომიკური

სარგებლიანობის გარდა განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება მით უმეტეს ბოლო პერიოდში უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

სატრანზიტო მომსახურება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მხოლოდ TRACECA - დერეფნის ფუნქციონირების შედეგად წელიწადში საქართველო 62,5 მლნ. აშშ დოლარს იღებს ხოლო ბაქო-თბილისი-ერზურუმისგაზის ტრანზიტი საქართველოს ბიუჯეტს 175 მლნ. დოლარით გაზრდის წელიწადში.ასევე სატრანზიტო ტვირთების მნიშვნელოვანი ზრდაა დაგეგმილი საქართველოსა და ჩინეთს შორის. 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით მკვეთრად გაიზარდა ე.წ. „მშრალი ტვირთის "გადაზიდვის მოთხოვნა ზღვამდე რკინიგზით, ხოლო შემდგომ საზღვაო ტანკერებითა და საბორნე გადაზიდვებით.

ამ პერიოდში საქართველოს არცერთი ტვირთმზიდი გემი და ბორანიარ ჰყავს, გამოდის ის , რომ ტრანზიტით მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი ხმელეთის გავლის ხარჯზე მოდის, ხოლო საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებიდან ნულოვანი ან უცხოური გემებიდან მოსაკრებლის სახით მიღებული მცირე შემოსავალი იქნება.

საქართველოში უნდა შეიქმნას თანამედროვე ტიპის საზღვაო საინჟინრო-ტექნოლოგიური მიმართულებების სპეციალისტების მოსამზადებელი უნივერსიტეტი. ბათუმი საუნივერსიტეტო ქალაქი უნდა გახდესო, აცხადებდა წინა ხელისუფლება, მაგრამ ეს დეკლარაციას არ გასცილებია. იქამდეც იყო და ახლაც არის საზღვაო აკადემია, მაგრამ იგი თავის დანიშნულებას ბოლომდე არ და ვერ შეასრულებს, ანდა როგორ უნდა შეასრულოს, როცა აქ სულ რამდენიმე სპეციალობა არსებობს. როგორც საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, უკრაინის გემთმშენებელ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჩხეიძე აცხადებს - ლოჯისტიკის სპეციალისტები ბათუმში არ ჰყავთ... საზღვაო აკადემია არ ამზადებს ჰიდროგრაფებს, ჰიდროინჟინერებს, ნაპირდაცვის სპეციალისტებს, გემთმშენებლებს, იქტიოლოგებს, თევზის რეწვის სპეციალისტებს, ზღვის პროდუქტების, საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგებს, პორტების ექსპლუატაციის ინჟინრებსდა სხვა მრავალს... სრულყოფილი საზღვაო საინჟინრო - ტექნოლოგიური უნივერსიტეტის არსებობა ქვეყანას მომავალში დიდი სარგებელს მოუტანს. პირველი ისაა, რომ საქართველოში მომზადდება საზღვაო დარგის ყველა სპეციალისტი, რომლებიც არამარტო საქართველოში დასაქმდებიან, არამედ უცხოეთის ქვეყნებშიც. დარწმუნებული ვარ რომ ამ უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ქვეყნებიდანაც, მაგალითად თურქეთიდან, ახლო და შორეული

აღმოსავლეთიდან ახლგაზრდების დიდი რაოდენობა ჩამოვა სასწავლებლად. მეორე ის გახლავთ, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი. მესამე, და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ აქ მომზადებული სპეციალისტები შეძლებენ გადაარჩინონ და აღადგინონ ჩვენი შავი ზღვის სიმდიდრე, ზღვის სანაპირო ზოლი.

ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ზღვა უდიდესი სიმდიდრის წყაროა, მაგრამ რეალურად  ამ პოტენციალის გამოყენების, მისი ეკონომიკური სარგებლიანობის არავითარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა არ ტარდება. მაგალითისთვის აღვნიშნავ, რომ დღევანდელი ტექნოლოგიების გამოყენებით (მხედველობაში მაქვს ე.წ. ნანო ტექნოლოგიები) შესაძლებელია ზღვის წყლიდან სელექტიურად მრავალი ნივთიერების ამოღება და გადამუშავება, ასეთი სამუშაოები ტარდება საქართველოში და, შესაბამისად, ამის პოტენციალი არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას ზღვის ფლორის შესახებ - მრავალი სახეობის ზღვის მცენარის გამოყენებაა შესაძლებელი, როგორც კვების, ისე ფარმაცევტულ მრეწველობაში. ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. რაც მთავარია, შეიქმნება ზღვის ეკოლოგიის შესწავლისა და მართვის ცენტრი. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ქართულ უნივერსიტეტში მომზადებული სპეციალისტები - ჰიდროინჟინრები და ჰიდრომშენებლები მიიღებენ მონაწილეობას ახალი პორტებისა (ანაკლია და სხვა) და გემთმისადგომებს დაპროექტებისა და მშენებლობის, მათი ექსპლუატაციის საქმეში. საქართველოში ორი მძლავრი გემთსაშენი და შემკეთებელი ქარხანა არსებობდა - ბათუმისა და ფოთის. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირს შავ ზღვაზე მხოლოდ ეს ორი გემთსაშენ-შემკეთებელი ქარხანა დარჩა, დანარჩენი ყველა ფაშისტურ გერმანიას ჰქონდა ოკუპირებული. საქართველოს ამ საწარმოებში ხდებოდა საბრძოლო და სხვა სახის გემების შეკეთება და აქედან უბრუნდებოდნენ საბრძოლო მოქმედებების რაიონებს. დღესდღეობით ამ საწარმოებიდან, ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა.

ერთი მაგალითი ლატვიის (ყოფილი საბჭოთა ქვეყანა) წლიური ბიუჯეტის შემოსავლების (23.5 მლრდ. ევრო) 40-42% საზღვაო, საპორტო, სატრანსპორტო, სარეწაო და გადამამუშავებელი სექტორიდან მიღებული შემოსავლებია. ჩვენთან ეს მაჩვენებელი 4% - საც კი არ აღწევს. ძლიერი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია სტრატეგიული ხედვების, ბუნებრივად მონიჭებული უპირატესობებისა და შესატყვისი ცოდნის გარეშე.

ჩვენს ქვეყანას გეოგრაფიული მდებარეობა დიდი უპირატესობას ანიჭებს. ამ უპირატესობას გამოყენება სჭირდება. დღეს ჩვენი სამშობლო მხოლოდ ზღვისპირა ქვეყანას წარმოადგენს და სამწუხაროდ არანაირ საზღვაო სახელმწიფოს.

გვინდა შევახსენოთ ყველას- ხელისუფალს, თანამოქალაქეებს- საქართველო საზღვაო ქვეყანაა!

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ი.ანთალავა, მ.გაფრინდაშვილი, მ.ვაჩნაძე და სხვ. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, თბილისი, 1996.
2. ფუტკარაძე ზ. , ქ. ბათუმის პორტის მენეჯმენტის ეფექტინობისამაღლების გზები, თბილისი, 2013.
3. ჩარლზ მორგან სტრომე, საქართველო საზღვაო ქვეყანაა, ნიკო ნიკოლაძე- 170, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 2013.

## ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე

**ცოტნე მარღია** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკური თავისუფლება არის ყოველი ადამიანის ფუნდამენტური უფლება გააკონტროლოს თავისი შრომა და ქონება. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში ინდივიდები თავისუფალნი არიან იმუშაონ, აწარმოონ, მოიხმარონ და დააბანდონ სასურველი გზით. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებებში მთავრობები ნებას რთავენ შრომას, კაპიტალს და საქონელს იმოძრაონ თავისუფლად და თავს იკავებენ თავისუფლების იძულებისა და შეზღუდვისაგან, გარდა იმ სიტუაციისა, როდესაც იცავენ თვით თავისუფლებას. ქვეყანა ეკონომიკურად თავისუფლად ითვლება, თუ ის არ ზღუდავს ინდივიდუალურ არჩევანს, ნებაყოფლობით გაცვლას, კონკურენციის თავისუფლებას. აუცილებელი პირობაა კერძო საკუთრების დაცვა.

არსებობს დიდი რაოდენობის ეკონომიკური თავისუფლების გამომხატველი კოეფიციენტები და ინდექსები.თითოეული მათგანი გამოირჩევა გამოთვლის მეთოდიკით. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი იყო შემუშავებული Freedom House-ის[1] მიერ, რომლითაც გაკეთდა ვრცელი სამუშაო პოლიტიკური და კულტურული თავისუფლების გასაზომად.ეს საზომი შეიცავდა რიგ ინდიკატორს, რომლებშიც შედის ბიზნესის შექმნის თავისუფელაბა და პროფკავშირის თავისუფლება. Freedom House ინდექსით გამოწვეული უკმაყოფილობის საპასუხოდ, მილტონ ფრიდმანმა და მაიქლ უოლკერმა ფრეიზერის ინსტიტუტიდან ჩაატარეს კონფერენციების სერია ეკონომიკური თავისუფლების თაობაზე. საბოლოოდ ეს გარდაიქმნა მოხსენებად ეკონომომიკური თავისუფლების შესახებ მთელს მსოფლიოში, მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება (Economic Freedom of the World)[2]. მოგვიანებით, Heritage

---

[1] Freedom House (*„თავისუფლების სახლი“*) - არასამთავრობო ორგანიზაცია ცენტრალური ოფისით ვაშინგტონში (აშშ). დაარსდა 1947 წ. დაკავებულია სამოქალაქო-პოლიტიკურ თავისუფლებათა და უფლებათა კვლევით (1978 წლიდან).

[2] ჯეიმს გვარტნეი, რობერ ლოუსონი, ჯოშუა ჰოლი, ალის მ გრისპი, ბოდო კნოლი, ჰანს პიტლიკი, მარტინ როუდი - მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება, 2013 წლიური ანგარიში.

Foundation-მა[3] და Wall Street Journal-მა[4] შექმნეს მსგავსი ინდექსი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Index of Economic Freedom)[5]. მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (EFW), რომელიც შემუშავებულია გვარტნეი, ლოუსონისა და ბლოკის მიერ, ყველაზე გამოყენებადი ინდექსია ემპირიული შესწავლისთვის 2000 წლის მდგომარეობით, რადგან უფრო დიდი პერიოდის მონაცემებს იძლევა. ხოლო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (IEF) მონაცემებთან სამუშაოდ უკეთესი აღმოჩნდა. World Bank Group-ის[6] წევრები იყენებენ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს (IEF) როგორც საინვესტიციო კლიმატის ინდიკატორს, რადგან ის უფრო მეტ ასპექტს შეიცავს დაკავშირებულს კერძო სექტორთან. სწორედ ამიტომ, შემდეგი კვლევა იყენებს აღნიშნულ ინდექსს.

Heritage Foundation-ისა და Wall Street Journal-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 10 ტიპის თავისუფლებას ცნობს: ბიზნესის, ვაჭრობის, მონეტარული, ფისკალური, საინვესტიციო, ფინანსური, შრომის თავისუფლება, კორუფციისგან თავისუფლება, საკუთრების უფლებების დაცვა და მთავრობის ხარჯები. ეს 10 „თავისუფლება" განლაგებულია ოთხ კატეგორიაში: მარეგულირებელი ეფექტურობა, კანონის უზენაესობა, შეზღუდული მთავრობა და ღია ბაზრები.

## საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მონაცემები

Heritage Foundation-ი 178 ქვეყანას ყოფს 5 ჯგუფად: თავისუფალი (80-100), მეტწილად თავისუფალი (70-79,9), ზომიერად თავისუფალი (60-69,9), მეტწილად არათავისუფალი (50-59,9), დათრგუნული (0-49,9). 2014 წლის მონაცემებით, პირველი ჯგუფის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს მსოფლიოს 6 ქვეყანა: 1. ჰონგ კონგი (90,1) 2. სინგაპური (89,4) 3. ავსტრალია (82) 4. შვეიცარია (81,6) 5. ახალი ზელანდია (81,2) 6. კანადა (80,2). ამ დროს, ბოლო ადგილზე იმყოფება ჩრდილოეთი კორეა თავისი 1 ქულით.

---

[3] Heritage Foundation (ფონდი „მემკვიდრეობა") - აშშ-ს სტრატეგიული მკლევითი ინსტიტუტი. დაარსდა 1973 წელს, დაკავებულია ფართო სპექტრის საერთაშორისო პოლიტიკის კვლევით.

[4] The Wall Street Journal („უოლ-სტრიტის გაზეთი") - გავლენიანი ყოველდღიური ამერიკული საქმიანი გაზეთი ინგლისურ ენაზე.

[5] ტერი მილერი, კიმ რ ჰოლმსი, ედვინ ჯეი ფეულნერი - 2013 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ყველა შემდგომი განმარტება და მეთოდოლოგია მოყვანილია Heritage Foundationის 2013 წლის წლიური ანგარიშიდან.

[6] World Bank Group – სხვადასხვა დროს შექმნილი 5 ორგანიზაცია, რომელიც გაერთიანებულია ფუნქციონალურად, ორგანიზაციულად და ტერიტორიულად. მათი მიზანია ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა განვითარებადი ქვეყნებისთვის.

2014 წლის მონაცემებით საქართველოს ქულა შეადგენს 72,6[7]. მისი მაჩვენებელი შარშანდელთან შედარებით 0,4 პუნქტით გაიზარდა. 10 კომპონენტიდან 5-ის გაუმჯობესებით, საქართველომ დაიკავა ევროპის მასშტაბით მე-12 ადგილი, და მისი ქულა ზევრად აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს. კერძოდ, კორუფციისაგან ტავისუფლება გაიზარდა 1,8 ქულით, სახელმწიფო ხარჯები - 0,8 ქულით, შრომის ტავისუფლება - 0,1 ქულით, მონეტარული თავისუფლება - 5,8 ქულით, ხოლო საინვესტიციო თავისუფლება - 5 ქულით. საქართველოს ქულა შემცირდა შემდეგ სფეროებში: საკუთრების უფლება - 5 ქულით, ფისკალური თავისუფლება - 0,9 ქულით, ბიზნეს თავისუფლება - 2,8 ქულით, ვაჭრობის თავისუფლება - 0,6 ქულით. ფინანსური ტავისუფლების მაჩვენებელი უცვლელი დარჩა. Heritage Foundation-ის კვლევის თანახმად, საქართველოს მაჩვენებელი (72,6) მსოფლიო საშუალოს (60,3) 12,3 პუნქტით აღემატება. საქართველო მოსაზღვრე ქვეყნებზე ეკონომიკურად უფრო თავისუფალია. საქართველოს ინდექსი მეზობელ ქვეყნების ინდექსზე საშუალოდ 10,85 პუნქტით აღემატება: სომხეთის ინდექსს (68,9) 3,7 პუნქტით, აზერბაიჯანის ინდექსს (61,3) 11,3 პუნქტით, თურქეთის ინდექსს (64,9) 7,7 პუნქტით, რუსეთის ინდექსს (51,9) 20,7 პუნქტით აღემატება.

1996 წლიდან დაწყებული მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი იზრდებოდა. მხოლოდ 2008 წელს მომხდარი კრიზისის გამო ის შემცირდა 60,2-დან 59,5-მდე. მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საქართველომ სხვა ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, არ მიმართა საკრედიტო ექსპანსიისა და რეგულირების მცდარ პოლიტიკას, რითაც თავიდან აიცილა ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა. Heritage Foundation-ის თანახმად, ქვეყანამ საკუთარი ინდექსი თავისუფალი ვაჭრობისა და კორუფციასთან ბრძოლის შედეგად გააუმჯობესა. თავისუფალი ვაჭრობის მხრივ, საქართველოს მაჩვენებელი (88,6) მეტია როგორც მსოფლიო საშუალო (74,8), ისე მეზობელი ქვეყნების ინდექსებზეც. საქართველოში ვაჭრობა მსოფლიოსთან შედარებით, საშუალოდ 13,8 პუნქტით უფრო თავისუფალია. სომხეთის (85,5) 3,1 პუნქტით; აზერბაიჯანის (77,2) 11,4 პუნქტით; თურქეთის (84,5) 4,1 პუნქტით; რუსეთის (74,6) 14 პუნქტით აღემატება. საქართველოს გააჩნია დაბალი საშუალო შეწონილი ტარიფის განაკვეთი (0,7) და შედარებით მცირე არასატარიფო შეზღუდვები. გარდა

[7] მოყვანილი მაჩვენებლები ეკონომიკური თავისუფლებისა და მისი კომპონენტების შესახებ აღებულია Heritage Foundation-ის კვლევებიდან. http://www.heritage.org/index/ranking

გარკვეული შეზღუდვების უცხო მიწაზე საკუთრების, უცხოური ინვესტიციები საზოგადოდ მიღებულია. ფინანსურ სექტორში კვლავ დომინირებენ ბანკები. სახელმწიფო არ იკავებს რაიმე წილს ბანკებში. ზრდადი საბანკო სექტორი სთავაზობს გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობას დაფინასებისადმი, თუმცა საფონდო ბირჟა რჩება მცირე და განუვითარებელი. საქართველოს ინდექსი კორუფციასთან ბრძოლის კომპონენტში მარტო ბოლო ორი წლის მანძილძე შეძლო ანალოგიური ინდექსის მსოფლიო საშუალოს გასწრება და ამჟამად შეადგენს 42,8, ხოლო მსოფლიოს საშუალო - 39,3. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, კორუფცია ნაკლებია მხოლოდ თურქეთშია (44). საქართველო სომხეთთან შედარებით (26,7)[8] 16,1 , აზერბაიჯანთან შედარებით (22,7) 20,1 , რუსეთთან შედარებით (22,1) 20,7 პუნქტით უფრო თავისუფალია.

Heritage Foundation-ის კვლევა საქართველოს მთავარ ნაკლად საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პრობემებს მიიჩნევს. ქვეყნის მაჩვენებელმა (45) მხოლოდ 2013 წელს შეძლო მსოფლიო მაჩვენებლის საშუალოს (43) გასწრება. 2014 წლის მონაცემებით საქართველოს მაჩვენებელი შეადგენს 40 , რაც ნაკლებია მსოფლის საშუალო მაჩვენებელზე (42,6) 2,6 პუნქტით. მეზობელი ქვეყნებიდან საკუთრების უფლებების დაცვის მხრივ უკეთესი მდგომარეობა მხოლოდ თურქეთშია (50). საქართველოს საკუთრების დაცვის მხრივ ჩამორჩება სომხეთი(30) 10, აზერბაიჯანი(20) 20 და რუსეთი(25) 15 პუნქტით.

ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტად მიჩნეული სახელმწიფო ხარჯების მაჩვენებელი (69,7) აჭარბებს მსოფლიო საშუალოს (62,5) 7,2 პუნქტით. სახელმწიფო ხარჯები მცირდებოდა და ახლა შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 32 პროცენტს. ამ ფაქტმა კარგი გავლენა იქონია სახელმწიფო ვალზე, რომელიც შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის 33 პროცენტამდე. მეზობელი ქვეყნებიდან სახელმწიფო ხარჯების მხრივ მხოლოდ სომხეთს გააჩნია უფრო მაღალი მაჩვენებელი (81,3), რაც ნიშნავს, რომ სომხეთის მთავრობის ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებია. საქართველოს მაჩვენებელი აღემატება აზერბაიჯანის მაჩვენებელს(64,8) 4,9, თურქეთის(63,5) 6,2 და რუსეთის(61,5) 8,2 პუნქტით.

[8] მოყვანილი მაჩვენებლები ეკონომიკური თავისუფლებისა და მისი კომპონენტების შესახებ აღებულია Heritage Foundation-ის კვლევებიდან. http://www.heritage.org/index/ranking

საქართველოს ფისკალური თავსუფლების მაჩვენებელი(87,3) აღემატება მსოფლიოს საშუალოს(77,6) 9,7 პუნქტით. რაც გამოწვეულია ისეთი საგადასახადო ვალდებულებებით, როგორიცაა საშემოსავლო განაკვეთი (20%), კორპორაციული გადასახადი (15%), დამატებითი ღირებულების გადასახადები და გადასახადები დივიდენდებზე. მთლიანზაში, საგადასახადო ტვირთი შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 25,4%. ამ კომპონენტით საქართველო, სომხეთი და და აზერბაიჯანი თითქმის ერთ დონეზე არიან. რუსეთის მაჩვენებელი(85,6) ნაკლებია 1,7 პუნქტით, ხოლო თურქეთის მაჩვენებელი ემთხვევა მსოფლიო საშუალოს და ნაკლებია 9,7 პუნქტით.

ბიზნესის თავისუფლების მხრივ საქართველოს მაჩვენებელი(87,8) ზევრად აღემატება მსოფლიოს საშუალოს(64,6). ამავე დროს საქართველო წინ არის სხვა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით: აღემატება სომხეთის მაჩვენებელს(83,1) 4,7 პუნქტით, აზერბაიჯანის მაჩვენებელს(73.5) 14,3 პუნქტით, თურქეთის მაჩვენებელს(67,6) 20,2 პუნქტით და რუსეთის მაჩვენებელს(70) 17,8 პუნქტით. საქართველოს ასეთი მაღალი ქულა განიროზებულია ბიზნესის დაწყების სიმარტივით. დაარსებისთვის საჭიროა 2 პროცედურა და 2 დღე და არ მოითხოვება მინიმალური კაპიტალი. მაგრამ ლიცენზირების მოთხოვნების დასრულებას ჯერ კიდევ 2 თვე ესაჭიროება. პარალელურად გაუმჯობესდა მდგომარეობა შრომის თავისუფლებასა და მონეტარულ თავისუფლებასთან მიმართ. სამუშაო საათებზე რეგულირება უფრო მოქნილი გახდა. ფასი წესდება ბაზარზე, მაგრამ მთავრობა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ფასების კონტროლს და სუბსიდირებს საწვავს.

**ეკონომიკური თავისუფლება და მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე**

განვიხილოთ თუ რა გავლენა აქვს ამ ინდექს ეკონომიკაზე და როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ იგი ცხოვრების დონის შესაფასებლად. ინდექსის ავტორებს მიაჩნიათ, რომ სწორედ თავისუფალი ეკონომიკა არის ქვეყნის და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიზეზი. რა თქმა უნდა ის ფაქტორები, რომლებიც გამოიყენება ინდქსის გამოთვლისას საჭიროა ქვეყნის ჯანსაღი განვითარებისთვის. ქვეყნის ეკონიკის განვითარება წარმოუდგენელია საკუთრების უფლებების დაცვის, ინვესტირების თავისუფლების, საერთაშორისო ვაჭრობის და ა.შ. გარეშე. მთავარი კითხვაა თუ რამდენად კარგად შეესაბამება ინდექსი სინამდვილეს.

ინდექსის შემქმნელები აცხადებენ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მეტი ეკონომიკური თავისუფლებაა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე უფრო მაღალია. ასეთ ქვეყნებში ადამიანები სარგებლობენ მეტი ინდივიდუალური თავისუფლებით, უფრო ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით და დასაქმების მეტი შანსით. ასეთ ქვეყნებში გარემოსდაცვითი პრობლემები და მკვლელობების რიცხვიც ნაკლებია. ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს დემოკრატიულ მმართველობას.

განვიხილოთ კავშირი თავისუფალი ეკონომიკის ინდექსსა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოსახლეობის ერთ სულზე შორის. აღებულია 2012 წლის მონაცეები. დაკვირვების წერტილის რაოდენობა შეადგენს 169-ს. ვნახავთ, რომ კორელაციის კოეფიციენტი უდრის 0,5762 ,რაც ნიშნავს ,რომ მათ შორის საკმაოდ არსებითი დადებითი კავშირია, რაც მიგვანიშნებს რომ ერთ-ერთი მათგანის გადიდება იწვევს მეორე მაჩვენებლის ზრდას. თუმცა ვხედავთ, რომ მათ შორის კავშირი არაწრფივია და შეგვიძლია ეს დამოკიდებულება ავხსნათ მაჩვენებლიანი ფუნქციით, რასაც გვიჩვენებს ტრენდი ნახაზზ 1-ზე. ამ შემთხვევაში მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$\widehat{lny} = 4.2237 + 0.0812x \qquad n = 169 \quad F = 135.84 \qquad R^2 = 0.4486$$[9]

$$(s.e.) \quad 04271 \quad 0.0069$$

სადაც x აღნიშნავსეკონომიკური თავისუფლების ინდექსს, ხოლო y- მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე(PPP). ამ მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი უდრის 0,4486. დეტერმინაციის კოეფიციენტის სიახლოვე 1-თან გვიჩვენებს თუ რამდენად კარგად შეუძლია ფაქტორულ ცვლადს(ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი) ახსნას შედეგობრივი ცვლადი(მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე). ამ შემთხვევაში ისევე როგორც დეტერმინაციის კოეფიციენტი, ასევე დეტერმინაციის კორექტირებული კოეფიციენტი(0,4452) საკმარისად სასურველ შედეგს არ გვიჩვენებს. თუმცა, არ შეგვიძლია უარვყოთ ის ფაქტი, რომ ეს ორი მაჩვენებელი ერთი მიმართულებით იცვლება და პრაქტიკა გვიჩვენებს მათ შორის არსებით კავშირს.

Heritage Foundation-ი აცხადებს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ინდექსის მიხედვით მიეკუთვნებიან „თავისუფალ“ და „მეტწილად თავისუფალ“ კატეგორიებს, საშუალოდ სამჯერ

[9] აქ და შემდგომ მოყვანილი მოდელების შედგენის დროს გამოვიყენე მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა. http://data.worldbank.org/indicator .ყველა გამოთვლა ჩატარებულია Stata11-ის გამოყენებით.

მეტ შემოსავალ იღებენ ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა და ათჯერ უფრო მეტს, ვიდრე ქვეყნები, რომლებიც შედიან „დათრგუნულ“ კატეგორიაში.

ნახაზი 1:




შეგვიძლია თუ არა განვიხილოთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, როგორც ცხოვრების დონის მაჩვენებელი? ამისთვის შევეცადოთ გავიგოთ თუ რა კავშირშია ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელთან-ჰუმანური განვითარების ინდექსთან. ჰუმანური განვითარების ინდექსი ასახავს ცხოვრების დონის უმნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლება და შემოსავალი. თუ განვიხილავთ მათ შორის კორელაციას, შევამჩნევთ, რომ კვლავ გვაქვს დადებითი კავშირი. კორელაციის კოეფიციენტი უდრის 0,6168. ეს საფუძველს გვაძლევს, რომ ვიგულისხმოთ მათ შორის კავშირის არსებობის ჭეშმარიტებაზე. თუმცა, თუ ჩავატარებთ წყვილურ რეგრესიას, სადაც ფაქტორულ ცვლადად ავიღებთ თავისუფლების ინდექს, ხოლო შედეგოვრივ ცვლადად-ჰუმანური განვითარების ინდექსს, შევნიშნავთ, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი(0,3805) არც იმდენად მაღალია(რაც შეიძლება იყოს გამოწვეული სხვა არსებითი ცვლადის გაუთვალისწინებლობით), რომ ჩავთვალოთ ეს კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად.

$$\hat{y} = 0.905x \qquad n = 81 \quad F = 48.52 \quad R^2 = 0.3805$$ [10]
$$(s.e.) \quad 0.13$$

მაგრამ თუ რეგრესიაში  დავამატებთ ფაქტორულ ცვლადს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, შევნიშნავთ მოდელის გამუჯობესებას. დეტერმინაციის კოეფიციენტი გაიზარდა და უდრის 0,5069-ს. რაც წინა მაჩვენებელთან შედარებით უფრო დიდ იმედებს გვაძლევს მოდელის ჭეშმარიტებაზე. ამავე დროს ვხედავთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ერთი ერთეულით ცვლილება იწვევს ჰუმანური განვითარების ინდექსის 0,51 ერთეულით ცვლილებას, იმის მიუხედავად, რომ მოდელი სრულყოფილად მაინც არ შეგვიძლია ჩავთვალოდ, კვლავ გვიწევს იმ ფაქტის აღიარება, რომ ეს ორი მაჩვენებელი(ეკონომიკური თავისუფელების ინდექსი და ჰუმანური განვითარების ინდექსი) ერთნაირი მიმართულებით იცვლება და კავშირი მაინც არსებობს, რასაც ვხედავთ ნახაზზ 2-ზე

$$\hat{y} = 33.4374 + 0.5126x_1 + 0.0003x_2 \qquad n = 81 \quad F = 40.10 \quad R^2 = 0.5069$$
$$(s.e.) \quad 8.5424 \quad 0.1459 \quad 0.007$$

ნახაზი 2:




თუ ჩავატარებთ დამატებით რეგრესიას, რომელშიც ქვეყნებს დავყოფთ ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიებად, შევნიშნავთ, რომ ჰუმანური განვითარების ინდექსი, და

[10] აღნიშნულ მოდელში თავისუფალი წევრი აღმოჩნდა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი. მოდელის შედგენისას იყო გამოყენებული ზერემბკას ტესტი. რის შედეგადაც დავასკვენი, რომ წრფივი ფუნქცია უკეთ ასახავს კავშირს ამ ორ ცვლადს შორის, ვიდრე ხარისხოვანი ფუნქცია.

შესაბამისად ცხოვრების დონეც, უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია თავისუფალი ეკონომიკის ინდექსი. რაც კარგად ასახულია მე-3 ნახაზზე.




ასევე შეგვიძლია განხხილიოთ თუ რა კავშირშია ერთმანეთთან ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკაში არსებული ფულის მასა. ამისათვის ავიღოთ M2 ფულადი აგრეგატი, როგორც პროცენტული წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქთან. კორელაცია მათ შორის უდრის 0,5180. თუ განვიხილავთ წყვილურ რეგრესიას, სადაც შედეგობრივ ცვლადად ჩავთვლით ფულის მასას, აღმოვაჩენთ, რომ მათ შორის კავშირი არაწრფივია და შეგვიძლია ავხსნათ მაჩვენებლიანი ფუნქციით, რასაც ვხედავთ მე-4 ნახაზზე.

$$\begin{array}{lll} \widehat{ln y} = 1.5611 + 0.0412x & & \\ (s.e.) \quad 0.2735 \quad 0.0045 & n = 156 \quad F = 85.49 & R^2 = 0.3570 \end{array}$$

დეტერმინაციის კოეფიციენტი ამ შემთხვევაში უდრის 0,3570 ხოლო დეტერმინაციის კორექტირებული კოეფიციენტი - 0,3528. მოდელის ეს ნაკლი შეიძლება იყოს ახსნილი სხვა ფაქტორული ცვლადების უგულველყოფით. თუმცა კავშირი ცხადია - ის დადებითია და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს უმეტეს შემთხვევაში იზრდება „თავისუფლების ზრდის“ კვალობაზე.

ნახაზი 4:




საინტერესოა თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური თავისუფლება ინფლაციაზე. თუ ჩავატარებთ წყვილურ რეგრესიას, ვნახავთ, რომ შედეგი არ შეიძლება ჩავთვალოთ საიმედოდ, რადგან დეტერმინაციის კოეფიციენტი საკმაოდ მცირეა- 0.1614,იმის მიუხედავად, რომ კორელაციის კოეფიციენტი ნორმალური სიდიდისაა და უდრის -0.4018-ს.

$$\hat{y} = 23.9288 - 0.2881x \qquad n = 81 \quad F = 15.21 \quad R^2 = 0.1614$$
$$(s.e.) \quad 4.6348 \qquad 0.0739$$
[11]

მაგრამ ასეთი შედეგი შეიძლება იყოს გამოწვეული მნიშვნელოვანი ცვლადების გათვალისწინებლობით. მაგალითად, თუ ფაქტორულ ცვლადად დავამატებთ რეალურ საპროცენტო განაკვეთს, მივიღებთ შემდეგ მოდელს:

$$\hat{y} = 26.9781 - 0.2855x_1 - 0.5461x_2 \qquad n = 81 \quad F = 33.38 \quad R^2 = 0.4612$$
$$(s.e.) \quad 3.767 \qquad 0.0596 \qquad 0.0829$$

სადაც $x_1$- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, ხოლო $x_2$- რეალური საპროცენტო განაკვეთი.

ვნახავთ, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი გაიზარდა და უდრის 0.4612-ს, რაც მიგვანიშნებს მოდელის გაუმჯობესებაზე. ასეთი სახის გამარტივეული მოდელი არ გვაძლევს

[11] ყველა გამოთვლა ჩატარებულია Stata11-ის მეშვეობით მსოფლიო ბანკის მონაცემების გამოყენებით.

სრულყოფილ პასუხს იმაზე, თუ რამდენად არსებითია ამ ცვლადებს შორის კავშირი, თუმცა, კვლავ სახეზე გვაქვს უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც ზოგად შემთხვევაში გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ თავისუფლების ზრდასთან ერთად ინფლაციის დონე მცირდება. (ნახაზი 5).

ნახაზი 5:




## *დასკვნა*

*1995 წლის შემდეგ, როცა აღნიშნულმა ინდექსმა დაიწყო ეკონომიკური თავისუფლების დახასიათება, გამოვლინდა შემდეგი ტენდეციები:*

- ის ქვეყნები, რომლებიც პრაქტიკაში იყენებენ თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმს, თავისი ეკონომიკით, გახსნილი გლობალური ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის, უფრო განვიტარებულნი არიან ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც პროტექციონისტები არიან და თავს არიდებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს სხვებთან.
- კონკურენცია ხელს უწყობს მაღალ მწარმოეუბლუროზას და რესურსების უფრო ეფექტიანად განაწილებას, ვიდრე ცენტრალური დაგეგმვის დროს.

- კერძო საკუთრების დაცვა და პიროვნებისა და საწარმოს დაცვა კანონის უზენაესობის მიერ, აუმჯობესებს ინიციატივებს უფრო მეტად, ვიდრე კოლექტიური საკუთრება და სოციალიზმი.
- მთავრობა, რომლის რეგულირების მექნიზმებივ მაღალია ქვეყნის ეკონომიკაზე, აღარიბებს საკუთარ მოქალაქეებს ეკონომიკური სტაგნაციით.

რა თქმა უნდა, ყოველი ფაქტორი, რომელიც გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების შეფასებისთვის, საჭიროა ეკონომიკის ჯანსაღი განვითარებისთვის. სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ინვესტიციების ზრდას მოაქვს ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ იმ ქვეყანაში ხალხს უფრო მყარი იმედები აქვს მომავალზე, რომელშიც სასამართლო სისტემა წესიერად და მიუკერძოებლად მუშაობს და ა.შ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკა მთლიანად თავისუფალი უნდა იყოს. საჭიროა გარკვეული მარეგულირებელი ბერკეტები, რომლებსაც, მაგალითად, აწესებს ცენტრალური ბანკი იმისათვის, რათა დაიცვას ეკონომიკა კრიზისისაგან და მთავრობის მიერ საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირება, რათა უცხოელმა ფირმებმა არ გაუარესონ ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობა.ზემოთ დახასიათებული ინდექსი კარგად ასახავს იმ ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ ეკონომიკურ თავისუფლებაზე, და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხოვრების დონის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ფაქტორების უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებას, რომლებიც გამოიყენება ინდექსის გამოთვლისას, მოაქვს ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობა და განვითარება, რაც პრაქტიკით დადასტურებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. ოლივიე ბლანშარი, მაკროეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი.
2. ნ. ხადური, ნ. კაკულია, მ. ჩიქობავა, მაკროეკონომიკა ბაკალავრებისთვის, 2011 წელი.
3. სტატისტიკა ეკონომიკა და ბიზნესისათვის, ლექციების კურსი, თბილისი 2013.
4. http://www.heritage.org/index/about
5. http://www.heritage.org/index/
6. http://en.wikipedia.org/wiki/Index_of_Economic_Freedom
7. http://en.wikipedia.org/wiki/Economic_Freedom_of_the_World
8. http://en.wikipedia.org/wiki/Economic_freedom
9. http://www.indexmundi.com
10. http://data.worldbank.org
11. http://hdr.undp.org/en/data

# ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ეკონომიკური თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხის მიღწევის, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების და მათ შორის, ტურიზმის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი პირობა

**მერი მაჭარაშვილი** - ბაკალავრიატი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის ვექტორი რამდენიმე საბაზო მიზანზე გადის. პირველრიგში, ცხადია, ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებამდე, ეს არის ასოცირებული წევრობის სპეციალური სტატუსი. ამ სტატუსის მისაღწევად შეიქმნა ე.წ. ,,ახალი გზა'' - აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულება, რომელიც ევროკავშირმა 16 წლის წინ ჯერ კიდევ 1999 წელს, ექვს ქვეყანასათან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა) გააფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის გაღრმავებულ ეკონომიკურ დაახლოებას.

საქართველო სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით კარგა ხანია სარგებლობდა ევრო კავშირის მიერ მინიჭებული განზოგადებული პრეფერენციების გაფართოებული სისტემით.

ევროპა, მხარს უჭერს ამ ქვეყნების წახალისებას, რომლებიც მისი პოლიტიკურად სტრატეგიულ პარტნიორებად მოიაზრებიან . დღესაც, თუ კი ევროკავშირი აშკარად გრძნობს, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობს და ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობს, მასთან წახალისების მიზნით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას ქმნის. დღეს საქართველო სწორედ ამ ჭრილში განიხილება. საქმე სწორედ იმაშია, თუ რამდენად სწორად და დროულად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.

ექსპერტები, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებიდან ღიად აფიქსირებდნენ: ,, თუ რამდენად იყო მზად საქართველო ინტენსიური მოლაპარაკების რეჟიმიდან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ინტენსიური მოქმედების** ეტაპზე გადასასვლელად“.

საყურადღებოა, რომ ამ პროცესების პარალელურად საქართველოში ზოგიერთ ბეჭდურ და ტელე მედიაში სულ უფრო და უფრო მეტად წარმოჩინდა იმ ექსპერტ სპეციალისტთა მოსაზრებები, რომელიც მკითხველისა და მსმენელისათვის აჩენდა კითხვას - „რომ ევროპას

მხოლოდ თავისი ინტერესები ამოძრავებს და თავისი საქონლის ბაზარი სჭირდება''. რითაც შეფარულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. სასიკეთოთ, საზოგადოებრივი აზრიც და ხელისუფლების ქმედებაც ევროკავშირთან ინტეგრაციის მხარეს გადაიხარა.

შეთანხმებას ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას, მათ შორის, შესაბამის ეტაპზე უვიზო რეჟიმის შემოღებას, კარგად მართულ და უსაფრთხო გარემოში.

**ყოველივე კი, ეკონომიკური თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხის მიღწევის, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების და მათ შორის, ტურიზმის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი პირობა უნდა გახდეს.**

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სავიზო ლიბერალიზაცია ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში დამოუკიდებელი პროცესია, რომელიც საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფორმატში მიმდინარეობდა. სავიზო მიმოსვლის გამარტივების შესაძლებლობების თაობაზე აღნიშნული იქნა 2006 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში. 2010 წლის 11 ივნისს ხელი მოეწერა სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმებას. ხოლო, იმავე წლის 22 ნომებერს ხელი მოეწერა რეადმისიის შესახებ შეთანხმებას. ორივე შეთანხმება 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში.

სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგ შეღავათებს: ვიზის საფასურის განახევრებას, 35 ევრომდე; უფრო ფართოდ არის გამოყენებული ხანგძლივ ვადიანი (1-5 წლამდე) ვიზების გაცემის პრაქტიკა; საყურადღებოა, რომ გარკვეულ კატეგორიებზე ვიზები გაიცემა უფასოდ, მათ შორის მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, სპორტსმენებზე, მეცნიერებზე, კულტურის დარგის წარმომადგენლებზე და ა.შ.; შემცირდა სავიზო მოთხოვნის განხილვის მაქსიმალური ვადა და განისაზღვრა 10 დღით.

ამასთან საყურადღებოა, რომ ჩამოყალიბდა საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი კომიტეტი, რომელიც საქართველოს საშუალება აქვს უსამართლოდ არ გაცემულ ვიზებთან დაკავშირებული საკითხები განიხილოს.

ასოცირების ხელშეკრულების დანართის მიხედვით, გამარტივდა მგზავრობის მიზნის - ტურიზმის დამადასტურებლი საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი.

იგივე შეეხო მოსწავლეების, სტუდენტების, ასპირანტების და ასევე მათი თანმხლები მასწავლებლებისათვის რომლებიც მიემგზავრებიან წევრ ქვეყნებში სასწავლო და საგანმანათლებლო ტრენინგებში გაცვლით პროგრამებში და სხვა სახის სასწავლო საქმიანობებში მონაწილეობის მისაღებად: - წერილობით თხოვნა მასპინძელი უნივერსიტეტის, კოლეჯის ან სკოლისგან, ან ჩარიცხვის დამადასტურებელი მოწმობა, ასევე დასასწრები კურსების სტუდენტური ბარათები ან სერთიფიკატები.

საყურადღებოა, რომ ასეთი გამარტივებული რეჟიმი შეეხო ბიზნესმენების და ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ახლა სრულიად საკმარისია წერილობითი თხოვნა მასპინძელი იურიდიული პირის, კომპანიის, ან მათი ფილიალებისგან ორგანიზაციის ან ოფისისგან; ასევე წევრი ქვეყნების ღონისძიების ორგანიზატორი კომიტეტების წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე გამართული სავაჭრო და სამრეწველო გამოფენების, კონფერენციების და სიმპოზიუმებისგან, რომელიც დამოწმებულია საქართველოს რეგისტრაციის სახელმწიფო პალატის მიერ.

2012 წლის 4 ივნისს, სავიზო რეჯიმის გამარტვებისა და რეადმისიის შესახებ წინა შეთანხმებათა წარმატებული განხორციელებისათვის საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი ოფიციალურად გაიხსნა.

გარდა ამისა, საქართველოს მიერ განხორციელდა, მთელი რიგი ღონისძიებები და რეფორმები რომელმაც ხელი შეუწყო ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით წარმართვას. შედეგად, 2013 წლის 25 თებერვალს, შინაგან საქმეთა საკითხებში ევროკომისიის სესილია მალსტრომის ვიზიტის დროს საქართველოს მთავრობას გადაეცა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია საქართველოს მიერ განსახორციელებელი შემდგომი ღონისძიებები ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით სტანდარტული ოთხი ბლოკის მიხედვით ესენია: დოკუმენტების უსაფრთოება; არარეგულარული მიგრაცია; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთოება; საგარეო ურთიერთობები და ადამიანის უფლებები, რომლის წარმატებულად აღსრულების შემდეგ, სამომავლოდ შესაძლებელი გახდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების თაობაზე ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყება. საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში ვიზების გარეშე მიმოსვლისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნლელად,

ამჟამად, ევროკავშირის დახმარებით, მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს ,,ასოცირების შესახებ შეთანხმების'' ხელმოწერისგან დამოუკიდებელი პროცესია. საქართველომ უნდა დაადასტუროს, რომ ის იცავს საკუთარ საზღვრებს, უზრუნველყოფს თავის მოქალაქეებს თანამედროვე პასპორტებით, იცავს თავშესაფრის მაძიებლებს, აქვს მიგრაციის თანამედროვე პოლიტიკა, ებრძვის კრიმინალს და კორუფციას , იცავს უმცირესობებს და ყველა მოქალაქის უფლებებს, ევროკავშირი საქართველოს ყველა ამ ვალდებულებების შესრულებაში ეხმარება როგორც ფინანსურად, ისე საექსპერტო რჩევებით.

ტურიზმის ბიზნესის გლობალურ კონკურენციაში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ინტეგრაციული პროცესების გაფართოება. ინტეგრაციაში იგულისხმება საწარმოებს შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულებების დამყარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტეგრირებული და ინტეგრირებადი ტურისტული კომპანიების გენერალური მიზნების გრძელვადიან მიახლოებას და უპირატესობებს ანიჭებენ მათ.

ტურიზმის ინდუსტრია ბოლო წლებში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რაც მომავალში არსებით გავლენას მოახდენს ტურისტულ მოთხოვნებზე. ერთი მხრივ თანამედროვე ტექნოლოგიების დინამიკურმა განვითარებამ, მეორე მხრივ ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, ცალკეულ რეგიონში პოლიტიკურმა და ფინანსურმა არასტაბილურობამ ერთგვარად შეცვალა დამოკიდებულება ტურიზმისა და დასვენების მიმართ.

ტურიზმის მომავალი ტენდენციების თობაზე არაერთი ექსპერტული მოსაზრება არსებობს. თუმცა, ერთ რამეში ყველა თანხმდება, **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების აღსრულება, მათ შორის სავიზო რეჟიმის გამარტივება და მომავალში უვიზო მიმოსვლა განსაკუთრებულ ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს ტურიზმის მომავალზე, რომელთა შორის გამოვყოფდით შემდეგს:**

*ა. მკვეთრად* ***გაიზრდება 30 წლამდე ახალგაზრდების - სტუდენტური*** *ასაკის როლი ტურიზმის ინდუსტრიაში, ამ კატეგორიის ტურისტთა ინტერესის სფეროა მეგობრებთან ერთად, მცირე და საშვალო ჯგუფების სახით საერთაშორისო მოგზაურობები დასვენებისა და გართობის მიზნით.*

*ბ. ამავდროულად,* ***გაიზრდება ასაკოვან ტურისტთა*** *რაოდენობა. ეს კატეგორია გამოირჩევა კეთილდღეობის მაღალი დონით და აქვს მოგზაურობის დიდი მოთხოვნილება.*

***გ.*** *საქართველოს ბუნებრივი, კლიმატური და ბანელოგიური კურორტების პოტენციალის გათვალისწინებით,* ***გაიზრდება მოთხოვნა - სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართ.***

***დ.*** *გაიზრდება მოთხოვნა* ***ბუნების, ე.წ. ,,მწვანე ტურიზმის''მიმართ.***

*ე. უნდა ვივარაუდოდ, ევროპის ქვეყნებიდან მოსალოდნელია* ***საოჯახო ტურიზმის ზრდა.***

*ვ. უკვე გაიზარდა მომავალში კიდევ უფრო მოთხოვნადი გახდება სპეციალური,* ***კრეატიული ტურიზმის როლი, აღსანიშნავია ე.წ „ღვინის ტურების“*** *და სხვა, ანუ მოგზაურობები გარკვეული მისიით.*[12]

ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ევროპული ტურიზმის სტანდარტის მისაღწევად გაიზრდება მოთხოვნა საქართველოს ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსების ხარისხის განვითარებაზე და მოთხოვნა ტურისტთა უსაფრთხოებასა და დაცულობაზე. პარალელურად, გაიზრდება 21-ე საუკუკუნის ტრენდის - **ელექტრონული ტურიზმის** როლი. თანამედროვე ტურისტების გარკვეული ნაწილი ტუროპერატორთან სტანდარტული ტურისტული პაკეტის შეძენის ნაცვლად, უპირატესობას ანიჭებს სამოგზაუროდ შერჩეულ ქვეყანაში დამოუკიდებელ პირდაპირ კავშირებს, ონ-ლაინ დაჯავშნასა და ა.შ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული - ევროპული სტრატეგიული ალიანსის საქართველოში გავრცელება ეს ნიშნავს მომავალში მსოფლიოს სასტუმროების ჯაჭვში ჩართვას, რაც სასტუმროს სტაბილური დატვირთვის უზრუნველყოფის წინაპირობაა. ამ მიმართებით საყურადღებო იქნება სასტუმროს ხარისხიანი მომსახურების ფორმირება. ევროპაში ყველა წამყვან სასტუმრო გაერთიანებას გააჩნია სასტუმროს ყველა სათავსოს აღჭურვის საკუთრი ნორმატივები და სტანდარტები. ამ სტანდარტების „ათვისება“, უფრო სწორად „გათავისება“ საჭირო და აუცილებელი საქმეა. საქართველოს ბაზარზე სასტუმროს შესასვლელად მსოფლიო სასტუმროების ჯაჭვში ყველაზე უფრო გავრცელებულია ფრანჩაიზინგის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ნებართვას, ბრენდული

[12] უკლება მ. დანიშნულების ადგილი, როგორც სისტემა და მენეჯმენტი, ჟურნალი ,,კომერსანტი''. №2

მომსახურეობის „საფირმო ნიშნის“ გამოყენებაზე და ქსელის გასაღებისა და მარკეტინგის სისტემაში მონაწილეობის უფლებებზე.

2014 წლის მონაცემებით საქართველოს ზღვისპირა რეგიონი აჭარა და ასევე თბილისი დომინირებენ საქართველოს სასტუმროების ბაზარზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, „მთლიანობაში ქვეყანაში 1075 განთავსების საშუალებაა 37772 საწოლი ადგილით. ამ უკანასკნელით ლიდერობს აჭარის რეგიონი, მასზე საქართველოში არსებული განთავსების საშუალებების 28% მოდის. ადგილების რაოდენობით სასტუმრო ტიპის განთავსების საშუალებების სჭარბობენ ბაზარზე, მათი წილი 64% შედგენს“.[13]

სავარდაუდოა, რომ 2015 წელს, საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების (ახალგაზრდული ოლიმპიადა, ჭიდაობის ტურნირები, ევროლიგის საფეხბურთო მატჩი და სხვა) ვიზიტორების რაოდენობის მკვეთრი ზრდა განთავსების საშუალებების რაოდენობის გაზრდის საფუძველი უნდა გახდეს. მაგალითად, თუ საქართველომ 2014 წლის სექტემბერში 400 ათასამდე საერთაშორისო ტურისტი მიიღო.

**მიმდინარე წელს (ეკონომიკური და სავალუტო კრიზისის მიუხედავად) მსოფლიო და ევროპული რანგის საერთაშორისო ასპარეზობებზე ჩამოსულ გულშემატკივართა ხარჯზე მათი რაოდენობა ერთი ორად უნდა გაიზარდოს. ამ მოთხოვნას კი დაკმაყოფილება სჭირდება.**

ყველასათვის გასაგები ხდება, რომ თუ და როცა საქართველო ტურისტული მომსახურეობის ევროპული სტანდარტებში მოექცევა მისთვის ღიაა არა მარტო ევროპული არამედ ყველაზე მსყიდველუნარიანი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარიც.

**და ბოლოს, დღეს ტურიზმის სპეციალობა არაერთ უნივერსიტეტში ისწავლება. მარტივი ეკონომიკური კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ, <u>მოთხოვნაც არის და მიწოდებაც.</u> მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ევროპასთან ინტეგრაციის აუცილებელ, შეუქცევად პროცესებს, <u>მაშინ შესაბამისი ეკონომიკური თავისუფლების სტანდარტი,</u> ევროპული განათლების თავსებადობას და კიდევ უფრო მაღალი ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტთა მომზადებას მოითხოვს.**

---

[13] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ,, ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში“ 2014წ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ,, ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში“ 2014წ.
2. მაია უკლება . **დანიშნულების ადგილი, როგორც სისტემა და მენეჯმენტი,** ჟურნალი ,,კომერსანტი’’. №2
3. მაია უკლება - **მსოფლიო ტურიზმის მომავალი ტრენდები და საქართველოს დესტინაციების ამოცანები.** საერთაშორიშო სამეცნიერო კონფერენცია - „გზა ევროინტეგრაციისაკენ“, გთსუ, 2014 წელი.
4. სოფიკო თევდორაძე, **ინტეგრაციის თანამედროვე ასპექტები ტურიზმში.** საერთაშორიშო სამეცნიერო კონფერენცია - „გზა ევროინტეგრაციისაკენ“ გთსუ, 2014 წელი.
5. ამირან (სიმონ) თავართქილაძე. **საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციისა და სავიზო საკითხებზე.** გთსუ სამეცნიერო შრომების კრებული N 4
2014 წელი.

# ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური ზრდა

**ნუცა გულიაშვილი** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**სალომე გულიაშვილი** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფლება - ესაა თავისუფალი ნება, როდესაც მოქმედი პირი თვითონვე წყვეტს რაიმე ქმედების განხორციელებას. ადამიანი თავის არსებობის დღიდან მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ. მისი არსებობის გარეშე პრაქტიკულად საზოგადოებას თუ პიროვნებას რაიმეს მიღწევისა თუ შექმნის ნაკლები მოტივი აქვს.პიროვნულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად ადამიანის მუდმივი საჭიროებას წარმოადგენდა ეკონომიკური თავისუფლებაც.

ეკონომიკური თავისუფლება წარმოადგენს მთავარ ბაზისს თანამედროვე სამყაროში ჩამოყალიბებულ საბაზრო ეკონომიკაში.აღნიშნულ ეკონომიკურ სტრუქტურაში სახელმწიფოებს,კორპორაციებსა თუ მცირე ზომის საწარმოებს აქვთ დამოუკიდებლად პროდუქციის გაცვლისა და მიღების საშუალება.თუკი გადავხედავთ განვითარებულ სამყაროს სახელმწიფოებს დავინახავთ,რომ საბაზრო ეკონომიკა და მასთან ერთად ეკონომიკური თავისუფლება წარმატებისა და დოვლათის დაგროვების საუკეთესო გზაა.მსგავსი ტიპის სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით თავისუფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა გახდა ეკონომიკურ ზრდასა და მისი ცალკეული სექტორების განვითარებაში.

კეთილდღეობის ზრდის ფაქტორი, უმეტესწილად, სწორედ ეკონომიკურ თავისუფლებაზეა დამოკიდებული.თანამედროვე საბაზრო სისტემაში ამ უკანასკნელს და მასთან ერთად  კერძო საკუთრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.მით უფრო გარდამავალი სახელმწიფოებისათვის,რომელთაც მოუწიათ დასავლეთისაგა განსხვავებულ პოლიტიკურ ფორმაციაში ცხოვრება და დღეს თავიდან უწევთ იმ გზის გავლა ეკონომიკის განვითარებისათვის,რაც უკვე განვითარებულმა სახელმწიფოებმა რამდენიმე ათეული წელია გაიარეს.ეს პროცესი საკმაოდ რთულია

და ძალიან ბევრი დაბრკოლებებით არის აღსავსე,ამავდროულად გრძელვადიან პესპექტივაშია გაწერილი. თუმცა უმთავრესი რამ, რაზეც თანამედროვე ცივილიზებული

საზოგადოება თანხმდება, არის, რომ თავისუფლების გარეშე ეკონომიკური განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია.შესაბამისად, იმის მიხედით თუ როგორ პოლიტიკურ გარემოში ცხოვრობს საზოგადოება, აისახება მისი განვითარების დონესა და შესაძლებლობებზე.

მეოცე საუკუნეში არსებული პოლიტიკური სახელმწიფოებიდან სოციალისტური სახელმწიფოები გამორიცხავდნენ რაიმე ტიპის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ თავისუფლებას.ტოტალიტარული სახელმწიფოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი,რითაც ახასიათებდა მათ კარლ ფრიდრიხი, იყო მთელი საწარმოო და ეკონომიკური საშუალებების კვაზიმონოპოლია ,რომელიც ექვემდებარებოდა ცენტრალიზებულ დაგეგმარებას.ხოლო ტოტალიტარიზმის საბჭოური ვარიანტი უმთავრესად ხასიათდებოდა,როგორც კერძო მესაკუთრის სრული მოსპობით,ისე თავისუფლებისა და საკუთარი ნების დაქვემდებარებით საერთო ღირებულებებსა და ნებაზე.როგორც ფ.ბლოკი მიუთითებს,,სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში იყო და არის ცენტრალური საკითხი საუკუნეების მანძილზე’’.შესაბამისად სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ განვთარებაში არსებითია.[14]

ფ.ბლოკი სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობების კვლევისას ფართოდ გამოჰყოფს სახელმწიფოების ტიპს, პირველი ტიპის ურთიერთობებში სახელმწიფო და ეკონომიკა არის ერთმანეთისგან გაყოფადი ფენომენი, რომლთაგან თვითოეული მუშაობს თავისი პრინციპით.ხოლო მეორე ტიპის ურთიერთდამოკიდებულებაში სახელმწიფოს მიერ გარკვეული ტიპის ჩარევა ხდება.

უფრო დაწვრილებით კი ფ.ბლოკი გამოჰყოფს ხუთი იდეალური ტიპის სახელმწიფოს, რომელთაგან პირველი არის საზოგადოებრივი საქონლის სახელმწიფო, რომელიც ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ სახელმწიფომ უნდა აწარმოოს მხოლოდ იმ სახის საქონელი და მომსახურება,რომელსაც ბაზარი ვერ უზრუნველყობს. სახელმწიფომ უნდა შექმნას პიროვნების თავისუფლების დამცველი მექანიზმი. ეს კლასიკური ლიბერალიზმის პოზიციაა. ა.სმიტის თეორიის პოპულარული ცნებაა,,უხილავი ხელი’’- ესაა ობიექტურ-ეკონომიკური კანონების სტიქიური მოქმედება.ადამ სმითისათვის თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი კონკურენცია ის პირობებია,რომლებშიც ეგოისტური ინტერესების საზოგადოებრივი შედეგები ყველაზე კარგად ვლინდება,რომლის მიხედვითაც ადამიანის

[14] ლ.მეზვრიშვილი.ეკონომიკური სოციოლოგია.2003.გვ.137-159

მისწრაფებაა,გაიუმჯობესოს საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა .ეს უძლიერესი სტიმულია თითოეული ადამიანისათვის და თუ მისი შეზღუდვა არ მოხდება,მაშინ საზოგადოება ბუნებრივად მივა კეთილდღეობამდე.[15]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა გამოიყოფა აგრეთვე სხვა ოთხი ტიპის სახელმწიფო,სადაც მათი გავლენა მეტ-ნაკლებად იზრდება.ექსპანსიის უფრო დიდ ხარისხს გულისხმობს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწოფო.აქ ,,შესაძლებლობების პრინციპი'' ჩანაცვლებულია სოციალური თანასწორობის პრინციპით.უკიდეურესი ექსპასიანისტურ პოლიტიკას კი ბაზრების თავისუფლებასთან დაკავშირებით ატარებს სოციალისტური ტიპის სახელმწიფო.მათი აზრით რესურსების ალოკაცია იწვევს საბაზრო მექანიზმის მიერ სოციალურ უსამართლობას და უთანასწორობას ,ამიტომ აუცილებელ პირობად მიიჩნევა სახელმწიფოს აბსოლუტური ჩარევა ეკონომიკაში,რაც გამართლებულია იმით,რომ ასე მოხდება სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა.მაგრამ როგორც ისტორიულმა მაგალითმა აჩვენა,სოციალისტურმა მიდგომამ ეკონომიკასთან დაკავშირებით არ გაამართლა.რადგანაც სოციალისტური სახელმწიფოებისათვის,მათ შორის ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის ცენტრალური დაგეგმარება.ეკონომიკის ნებისმიერი დარგი სრულად მონოპოლისტური ხდება.საერთოდ არ გვხვდება დამოუკიდებელი აქტორის თავისუფალი ნება,რომელიც დამოუკიდებლად გადაწყვეტს ,როგორ წარმართოს მის ხელში არსებული რესურსები.ამ რეჟიმებისათვის უმთავრესი პრობლემა სწორედ თავისუფლების არ ქონაა.შეუძლებელია,მმართველმა ძალამ იცოდეს ყველა ის საჭიროება,რაც აქვს თითოეულ დარგს და მოახდინოს მისი რელევანტური რეალიზაცია.

ეკონომიკური კაპიტალის დაგროვება და მისი დარგების განვითარება ვერ მოხდება ერთბაშად და ერთი აქტორის მოქმედებით.თუ მაინც ვხვდებით მსგავს პრეცედენტებს,თუნდაც საბჭოთა კავშირის მაგალითზე,ეს მოკლევადიანი იქნება და როგორც კი ამოწურავს თავის რესურსს,ეკონომიკაც ჩამოიშლება.

ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა თავისუფლება და მათ შორის საზოგადოებრივი კაპიტალის შექმნა.იგი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მთავარ პირობად საზოგადოების წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისა და

[15] მ.მუსხელიშვილი.სამოქალაქო საზოგადოება:შედარებითი ანალიზი.2006

განვითარებისათვის.რაც უფრო მეტი არჩევანის საშუალება არსებობს,მით უფრო მეტადაა შესაძლებელი ეკონომიკური თავისუფლების განვითარება.ალტერნატივების არრასებობის შემთხვევაში ეკონომიკა ერთ დონეზე არსებობს და მისი განვითარება ნაკლებ სავარაუდოა.შესაბამისად თავისუფალ და გახსნილ სახელმწიფოში ეკონომიკური ზრდა ბევრად უფრო ადვილია ვიდრე თავისუფლება შეზღუდულ სახელმწიფოებში.ამის დასტურია თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება და მაგალითი.

თავისუფლების გავლენის შესახებ ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკურ განვითარებაზე გამოკვლევა ჩაატარა რობერტ პატნემმა,რომელმაც გამოიკვლია სამხრეთ და ჩრდილოეთ იტალია.მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იტალიის ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ აუცილებელ პირობად გამოცხადდა ცენტრალიზებური მართვის მოდელი,რაც მნიშვნელოვნად მიაჩნდათ უკიდურესად განსხვავებული რეგიონების გასაერთიანებლად და ერთიანი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად.აღნიშნულმ  აქტმა გარკვეული როლი ითამაშა სახელმწიფოს ერთიანობის ჩამოყალიბების საქმეში,მაგრამ მისი ეკონომიკური განვითარება ვერ მოხდა,რადგან თითოეული რეგიონისათვის ინდივიდუალური მიდგომა იყო საჭირო.ერთიანმა პოლიტიკამ მოცემულ შემთხვევაში არ გაამართლა.მიდგომა იცვლება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ,როდესაც ხდება ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის პრინციპზე გადასვლა და შესაბამისად ხდება ცალკეულ რეგიონებში პირდაპირი არჩევნებით არჩეული ხელისუფლების სათავეში მოსვლა.

ქვეყნის ცალკეული რეგიონების განვითარების მაჩვენებლი განსხვავებული აღმოჩნდა.ჩრდილოეთ რეგიონებმა ბევრად მეტ წარმატებას მიაღწიეს,ვიდრე სამხრეთ იტალიის რეგიონებმა.ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ცალკეული ხელისუფლებების მოღვაწეობა შეიძლება იყოს.ერთმა ნაწილმა უკეთ მოახერხა რეფორმების გატარება და შესაბამისი სფეროს განვითარება,დანარჩენებმა კი ნაკლებ ეფექტურად წარმართეს საკუთარი საქმიანობა.თუმცა პოლიტიკური მიდგომა და რეფორმები ერთი ხასიათის იყო.განვითარების სხვადასხვა დონის ასახსნელად პატნემი სხვა არაპოლიტიკურ ფაქტორებს იშველიებს.მათ შორის არის სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორები.მესამე მნიშვნელოვან ფაქტორად კი მოიაზრება საზოგადოებრივი მოწყობის წესი.[16]

---

[16] მ.მუსხელიშვილი.სამოქალაქო საზოგადოება:შედარებითი ანალიზი.2006

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებასთან მიმართებაში საზოგადოების მოწყობის წესს?ამისათვის საჭიროა მცირედიდ თვალი გადავავლოთ იტალიის ისტორიას,სადაც ნათლად ჩანს ცალკეული რეგიონების საზოგადოების ცხოვრების განსხვავებულ წესი.ჩრდილოეთ იტალია ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნიდან აყალიბებს ქალაქ-რესპუბლიკას.ამ ტრადიციამ მოსახლეობას შეუმუშავა ისეთი ჩვევები,როგორიცაა თანასწორობა,პასუხისმგებლობა და სოლიდარობა.სამხრეთ იტალია კი განიცდიდა სიცილიის სამეფოს ბატონობას,რამაც ჩამოაყალიბა არა მოქალაქე,არამედ ქვეშევრდომი.თუმცა დეცანტრილიზებულმა მმართველობამ და დემოკრატიული მმართველობის შედეგად მომხდარი ცვლილებები თვალში საცემია.თავისუფლების გაჩენამ შესაძლებელი გახადა იტალიის ცალკეული რეგიონების განვითარება.მართალია განსხვავებული შედეგები გამოიღო,მაგრამ გარკვეულწილად დამოკიდებული აღმოჩნდა თავისუფლები ხარისხზე და საზოგადოების მხრიდან მის აღქმაზე.

თანამედროვე მსოფლიოში ვხვდებით თვასლაჩინო მაგალითებს,რომელიც ამტკიცებს,რომ ეკონომიკური თავისუფლება ხშირ შემთხვევაში განმსაზღვრელ ფაქტორად იქცევა ხოლმე ქვეყნის ეკონიმიკური ზრდასა და განვითარებაში.ამის მაგალითად გამოდგება აზიის სახელმწიფო კორეა,რომელიც დღესდღეობით ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეად არის გაყოფილი და ფაქტობრივად ერთი ქვეყნის ორი ნაწილი იდეოლოგიური თუ სხვა თავისებურებების გამო ერთმანეთისაგან გაყოფილი აღმოჩნდა.დიდი როლი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ისტორიულმა წინამძღვრებმა ითამაშა,რამაც საბოლოოდ განაპირობა დღემდე დაურეგულირებელი სიტუაცია აღნიშნულ ტერიტორიაზე.მეოცე საუკუნეში მომხდარი კონფლიქტის შედეგად სამხრეთ კორეა აშშ–მა,დიდმა ბრიტანეთმა და ჩინეთმა დაიკავა –ჩრდილოეთი კი საბჭოთა კავშირმა.აღნიშნული სახელმწიფოების გავლენა არსებითი აღმოჩნდა,რაც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც აჩვენა.

ჩრდილოეთ კორეაში დღემდე კომუნიზმი მეფობს,სამხრეთში კი კაპიტალიზმი ჩამოყალიბდა.მოწყობის აღნიშნულმა ფორმაციებმა განაპირობა ქვეყნის ნაწილების განვითარების განსხვავებული დონე.დღესდღობით სამხრეთ კორეა ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა მრეწველიბის მხრივ.იგი დღითიდღე ავითარერბს საკუთარ შესაძლებლობებს და ბრწინვალე მიღწევებიც აქვს ტექნოლოგიური თვალსაზრისით.რაც შეეხება

ჩრდილოეთს,იგი დღემდე განვითარებადი სახელმწიფოების რიცხვს მიეკუთვნება და ზევრად ჩამორჩება სამხრეთს. ამის ერთ-ერთ განმაპირობებლ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ თავისუფლების ხარისხი. ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკა ისევ ცენტრალიზებულ დაგეგმარებას ექვემდებარება, სამხრეთში კი თავისუფალი ეკონომიკური სივრცე არსებობს, რაც უზრუნველყოფს ქვეყნაში ეკონომიკის განვითარებას.

როგორც იტალიისა და კორეის მაგალითმა აჩვენა ეკონომიკური თავისუფლება მთავარ წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ წარმატებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ეკონომიკური თავისუფლების ჩამოყალიბებას წინ უძღვის პოლიტიკური თავისუფლების შექმნა,რაც განაპირობებს აქტიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.ეს უკანასკნელი კი სრულფასოვანი თავისუფლების არსებობის წინაპირობაა.ინდივიდუალური აქტივობების შედეგად ხდება ცალკეული ეკონომიკური სფეროების განვითარება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა,რითაც საბოლოოდ ხდება ეკონომიკური ზრდა. თანამედროვე საბაზრო სისტემაში ეკონომიკური თავისუფლების არსებობის გარეშე პრაქტიკულად გამორიცხულია ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი.ამ უკანასკნელის გარეშე კი ქვეყნის განვითარება და საერთაშორისო ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სარბიელზე მისი წარმოჩენა შეუძლებელი იქნება.აქედან გამომდინარე თავისუფალი ეკონომიკური სივრცის შექმნა ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარი მისწრაფება და პრიორიტეტი უნდა იყოს,რაც შემდგომში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის წინაპირობად იქცევა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ.გერლიანი.ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში.ramazepec.wordpress.com/2011/05/02/ეკონომიკური-თავისუფლება

2. ლ.მეზვრიშვილი.ეკონომიკური სოციოლოგია.თბილისი,2003.გვ.137-159

3. მ.მუსხელიშვილი.სამოქალაქო საზოსაზოგადოება:შედარებითი ანალიზი.თბილისი,2006

# კერძო საკუთრება და კერძო საკუთრების დამკვიდრების პრობლემები საქართველოში

**ანი რაზმაძე** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**შესავალი**

აღნიშნულ ნაშრომში სხვადასხვა მოსაზრებებისა თუ წყაროების საფუძველზე ვეცდები განვიხილო კერძო საკუთრება და მისი დამკვიდრების პრობლემები საქართველოში,თუმცა აღსანიშნავია,რომ ნახსენები საკითხი ეხება არა მარტო ჩვენს ქვეყანას,არამედ მსოფლიოს სხვა ქვყნებშიც საკმაოდ აქტუალურია.

მსჯელობის პროცესში ყურადღებას გავამახვილებ კერძო საკუთრების დამკვიდრების პრობლემებზე საქართველოში და ვფიქრობ,რომ თითოეული მათგანის გამოკვეთა პარალელურად დაგვანახებს მათი გადაჭრის გზებს.

**კერძო საკუთრება - არსი და დეფინიცია**

კერძო საკუთრება გულისხმობს ფიზიკური ან იურიდიული პირის აბსოლუტურ,კანონით განსაზღვრულ უფლებას მოძრავ ან უძრავ ქონებასა და კონკრეტულ ნივთზე.ტერმინი „კერძო საკუთრება" პირველად გამოყენებულ იქნა ძველ რომაულ სამართალში.საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ კი ეს უფლება აღიარეს როგორც ხელშეუხებელი და წმინდა.[17] დღესდღეობით 21-ე საუკუნის ეპოქაში კერძო საკუთრების უფლება უფრო ხელშეუხებელია , ვიდრე წმინდა.

როდესაც ვსაუბრობთ კერძო საკუთრებაზე,აუცილებლად უნდა აღინიშნოს სხვადასხვა ფილოსოფოსების შეხედულებები აღნიშნულ საკითზე.სახელდობრ,ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი საუკეთესოდ მიიჩნევდა საერთო საკუთრების ფორმას,ვინაიდან მიიჩნევდა,რომ კერძო საკუთრება ადამიანებს შორის შუღლსა და დაპირისპირებას იწვევდა.ამ მოსაზრებას არ ეთანხმება გამოჩენილი მოაზროვნე არისტოტელე,რომელიც თვლიდა,რომ „იდეალური" სახელმწიფოს შემთხვევაში უნდა ყოფილიყო კერძო საკუთრება და საერთო მოხმარება,რაც სახელმწიფოს დაშლასა და რღვევას თავიდან ააცილებდა.

[17] 2007). სოლიდარობა #2(11). In ნ. ცინცაძე, მოამზადებულია სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე,ნათელია,რომ ჯერ კიდევ ჩვ.წ. IV საუკუნეში მრავალი მოსაზრება არსებობდა საკუთრების საუკეთესო ფორმაზე.დროის ცვლილებასთან ერთად კერძო მფლობელობა განსხვავებულად აღიქმებოდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

კერძო საკუთრება საქართველოში

საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს,შორის სადაც ამჟამად კერძო საკუთრების უფლება კანონმდებლობითაა დაცული და განსაზღვრული.ერთი შეხედვით,მოქალაქეებს კერძო ქონება გააჩნიათ,ხოლო თუ ამ მოვლენას მეორე მხრიდან შევხედავთ ყველაფერი სხვანაირად არის. სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლი კვლავ ხორციელდება 300 ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე(70%-ის ფარგლებში),500-მდე საწარმოსა და მილიონობით ჰექტარ მიწასა და სახნავ-სათესზე.

გამომდინარე იქიდან,რომ კერძო საკუთრება და მისი ქონა აუცილებელია თავისუფალი და კონკურენტული ბაზრის განვითარებისთვის,საჭიროა,რომ საქართველოს მთავრობამ საკუთრების გადაცემა განახორციელოს მოქალაქეთა ხელში,რაც ნიშნავს პრივატიზაციას.[18]აღსანიშნავია,რომ კერძო საკუთრება არის ის ფაქტორი,რომელიც ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას წარმართავს.ვინაიდან ეკონომიკა არის სახელმწიფოს ძირითადი მამოძრავებელი და მაცოცხლებელი ძალა ქვეყანამ უნდა იზრუნოს მოქალაქეთა კერძო საკუთრების ფორმირებაზე,რაც გარკვეულ პრობლემებსაც გამოიწვევს,თუმცა სამოქალაქო აქტივობის გაუმჯობესების საწინდარია.რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება,სახელმწიფომ მათ უნდა გადასცეს ქონება კერძო საკუთრებაში და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ეკონომიკურ კეთილდღეობას,რაც ქვეყნის დაწინაურებაზეც გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს.

დღესდღეობით თითქმის ყველა ჩვენგანს გვაქვს კერძო საკუთრებაში საკუთარი საცხოვრებელი ბინა და ესა თუ ის ნივთი,რაც განსხვავებულია სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის.თუმცა სახელმწიფოს ხელში რჩება საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი,რომლის მეშვეობითაც ქართველ ხალხს შეუძლია ეკონომიკური თვითგანვითარება და დაწინაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ სახელმწიფო აღნიშნული მფლობელობის პრივატიზაციას მოახდენს.

**კერძო საკუთრების დამკვიდრების პრობლემები საქართველოში**

[18] ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი (EPEC)

კერძო საკუთრების გაგება და თავად კერძო საკუთრება საქართველოში არ არსებობდა მანამ,სანამ არ დაიშალა საბჭოთა სოციალისტური სისტემა,რომელიც კომუნისტური წესწყობილების შემოღებით თავად ერთადერთი და უკონკურენტო კაპიტალისტი იყო.კომუნისტური თეორიის მიხედვით,ინდივიდუალური თავისუფლება დაუშვებელი და მიუღებელია.თითოეულ მოქალაქეს კერძო საკუთრებად აღიქმებოდა მხოლოდ მისი პირადი და აუცილებელი ნივთები.შესაბამისად,საბჭოთა პერიოდში უგულებელყოფილი იყო მოქალაქის კერძო საკუთრების უფლება და მხოლოდ რესპუბლიკასთან კავშირში განიხილებოდა.

სოციალისტური სისტემის რღვევის შემდგომ აუცილებელი გახდა სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადასვლა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ახლად შექმნილმა სახელმწიფოებმაც დაიწყეს ამ მიმართულებით ფიქრი.საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ,პოსტსაბჭოთა სივრცის პერიოდში საქართველოში საკუთრების უფლების დანერგვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთადერთი გზით-პრივატიზაციით.1990-იანი წლების დასაწყისში ვითარება შემდეგნაირი იყო: ეს არის პერიოდი,როცა უძრავ ქონებაზე გაჩნდა საკუთრების უფლება.მაგალითად,შეიძლეობოდა,რომ კონკრეტული შენობა ყოფილიყო როგორც მოქალაქის,ისე სახელმწიფოს საკუთრებაში,თუმცა იგი მაინც რჩებოდა ხელისუფლების მფლობელობაში.

საქართველოში კერძო საკუთრების დამკვიდრების პროცესში პირველი,რაც შემუშავდა იყო საცხოვრებელი ბინების უსასყიდლო პრივატიზაცია,რაც ნიშნავს იმას,რომ ბინები,რომლითაც სარგებლობდნენ მოქალაქენი მათი საკუთრება გახდა,რაც ხორციელდებოდა მმართველობის ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე.[19]

ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო საპრივატიზაციო ბარათის-ვაუჩერის შემოღება,რომლის მეშვეობითაც ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ გადაეცემოდა.აღნიშნული ვაუჩერი თითოეულ მოქალაქეს ურიგდებოდა განურჩევლად მისი ასაკისა.

კერძო საკუთრების დამკვიდრების პროცესზე საუბრისას საყურადღებოა აგრეთვე იჯარა-გამოსყიდვის ფორმით ქონების გასხვისება,რაც გულისხმობს შემდეგს: მოქალაქეს

[19] საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წ. #107 და 1994წ #520 დადგენილებები

შეეძლო,რომ გარკვეული ქონების ღირებულება გადაეხადა ათი წლის განმავლობაში ისე,რომ ამ პერიოდში ქონების მფლობელიც ყოფილიყო.

გასათვალისწინებელია,რომ 1990-იანი წლებიდან ვარდების რევოულიციამდე პერიოდში სახელმწიფო ქონების მხოლოდ 7-8% გადავიდა მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში.ზემოაღნიშნული პრივატიზაციის პროცესი ხორციელდებოდა,რა თქმა უნდა,კანონმდებლობის საფუძველზე,რაც ასე თუ ისე მოწესრიგებული იყო.

კანონმდებლობა - კერძო საკუთრების უფლება საქართველოში

კერძო საკუთრება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა,რაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობაში:"საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად".[20] თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება ჰქონდეს კერძო საკუთრება და საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს იგი.

აღსანიშნავია,რომ საქართველოს ისტორიაც მეტყველებს საკუთრების გამომხატველი ტერმინების სიძველეზე და IX საუკუნიდან დასტურდება.თავად ფაქტები კი საკუთრების ხსენებისა VI საუკუნიდან მოგვეპოვება.[21]

საკუთრების უფლება განმტკიცების ერთ-ერთ პირველ მცდელობად უნდა მივიჩნიოთ 1921 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირებული 114-ე მუხლი:"საკუთრების იძულებით ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით.ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული". სამწუხაროდ, აღნიშნულმა კონსტიტუციამ დიდხანს ვერ იმოქმედა.

ზემოაღნიშნული ფაქტები ნათლად მიუთითებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე დასტურდება კერძო საკუთრების საკითხი, თუმცა ეს უფლება პრაქტიკულად ჩამორთმეული ჰქონდა ქარველ ხალხს საბჭოთა კავშირის პერიოდში და მხოლოდ მისი დაშლის შემდგომ შეძლო ქართულმა საზოგადოებამ კერძო საკუთრების ფორმირება, თუმცა ეს უკანასკნელი არც ამჟამადაა სრული სახით კონცენტრირებული მოქალაქეების ხელში, რაზეც ზემოთ გავამახვილე ყურადღება.

---

[20] საქართველოს კონსტიტუცია,საკუთრების უფლება მუხლი 17,მუხლი 21

[21] საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება. (2005). თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემლობა.გვ.5-6.

დასკვნის სახით უნდა ითქვას,რომ დღესდღეობით 21-ე საუკუნის ეპოქაში იურიდიულად და სამართლებრივად დაცულია მოქალაქეთა საკუთრების უფლება.ისინი ფლობენ გარკვეულ ქონებას,თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით,ხოლო სახელმწიფო კვლავ კონტროლს ახორციელებს ქონების დიდ ნაწილზე.აგრეთვე მიუღებელი და დაუშვებელია მთავრობის ისეთი ქმედება,როგორიცაა მიწების გასხვისება უცხოელებზე,რაც ქარველ ხალხში წინააღმდეგობასა და პროტესტს იწვევს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Marx, K. (n.d.). Economic and Philosophic Manuscripts of 1844. *Private Property and Communism* .
2. გერლიანი, რ. (2014, ოქტომბერი 9). სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის *70%* - იანი წილი მთლიანად საქართველოს მოქალაქეებზე თანაბრად უნდა განაწილდეს. Retrieved from www.commersant.ge.
3. (2007). სოლიდარობა #2(11). In ნ. ცინცაძე, მოამზადებულია სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ.

# მულტინაციონალური კომპანიების ნეგატიური გავლენა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე

**ნინო ჭოველიძე** - მაგისტრი,
ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს გლობალიზაცია.

ჯ.ბჰაგვატის განმარტებით გლობალიზაცია წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის,კაპიტალის ნაკადების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, სამუშაო ძალის, ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლის საფუძველზე მსოფლიო სისტემაში ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაციას.[22]

გლობალიზაციამ შექმნა იმის პირობა, რომ მოხდეს საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ტექნოლოგიების ურთიერთხელსაყრელი და თავისუფალი გაცვლა ქვეყნებს შორის. შეგვიძლია ვთქვათ, გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო წარმოგვიდგა , როგორც ერთი "დიდი ქალაქი", სადაც ყველამცხოვრები ცდილობს მაქსიმალური მოგების მიღებას.[23]

დამოკიდებულება გლობალიზაციის პროცესისადმი როგორც სპეციალისტებში, ასევე მოქალაქეებს შორის რადიკალურად განსხვავებულია. მათ ნაწილს მიაჩნია, რომ გლობალიზაცია რეალური საფრთხეა მსოფლიო ეკონომიკისთვის, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ გლობალიზაცია მნიშვნელოვანი პროცესია, რომლითაც განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარება. რა თქმა უნდა, გლობალიზაციის პროცესს თან ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნების ეკონომიკებზე. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენს საკმაოდ გავლენიან ძალას. ძალას, რომელიც განსაზღვრავს დედამიწის განვითარების მიმართულებას და დღევანდელი ჩვენი რეალობიდან გამომდინარე არის შეუქცევადი პროცესი.

ანტიგლობალისტების აზრით, მოწინავე განვითარებული ქვეყნები გლობალიზაციის პირობებში ყოველთვის დაინტერესებულნი იქნებიან "შეინარჩუნონ თავიანთი მადომინირებული პოზიციები საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. ისინი არ მისცემენ

[22]JagdishBhagwati. In Defense of Globalization. 2004
[23]ლეილაქადაგიშვილისსაკონფერენციონაშრომი, გვ.154, 2012 წელი

თავიანთ პოტენციურმოწინააღმდეგეებს, არა მარტო მათთვის თანაბარ ეკონომიკურ პირობებს, არამედ უფლებასაც კი- გააძლიერონ თავიანთი საფინანსო რესურსები."[24]

სხვადასხვა წარმოდგენებით გლობალიზაციის შესახებ შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი 5 საფეხური. გლობალიზაციის ნეგატიური შედეგები არის:[25]

1) ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა;

2) მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის გავრცელება;

3) გლობალური, საერთო-საკაცობრიო პრობლემების აღმოცენება;

4) რამდენიმე ქვეყნის მიერ მსოფლიოზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება;

5) მთელს მსოფლიოში ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესების გავრცელება;

6) ქვეყნების მიერ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა;

7) ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის შემცირება;

8) ქვეყნებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება;

1995 წლიდან ქვეყნების ეკონომიკური გახსნილობის დონის შესაფასებლად გამოიყენება ორგანიზაციის Heritage Foundation-ის მიერ შემუშავებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც 10 კომპონენტისგან შედგება: სავაჭრო პოლიტიკა, ფისკალური პოლიტიკა, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში, მონეტარული პოლიტიკა, კაპიტალის ნაკადები და უცხოური ინვესტიციები, ბანკები და ფინანსები, ხელფასებისა და ფასების კონტროლი, საკუთრების უფლებები, სამუსაო ძალის თავისუფლება, კორუფციის დონე.ქვეყნები დაყოფილია ეკონომიკის თავისუფლების ხარისხის მიხედვით 5 ჯგუფად: თავისუფალი (80 - 100 ქულა), უმეტესწილად თავისუფალი (70 - 79,9 ქულა), ზომიერად თავისუფალი (60 - 69,9 ქულა), უმეტესწილად არათავისუფალი (50 - 59,9 ქულა), შეზღუდული (0 - 49,9 ქულა).[26]

ტრადიციულად საუბრობენ 4 სახის გლობალიზაციაზე: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გლობალიზაციაზე.

მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაცია სულ უფრო მაშტაბურ ხასითს ღებულობს ბოლო წლებში. ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავებას დღეს ხელს უწყობს მრავალი

---

[24] http://www.nplg.gov.ge

[25] http://globalizationforus.blogspot.com/

[26] ლეილაჯამაგიძე, სადისერტაციონაშრომი "ტრანსნაციონალურიკორპორაციებისროლიმსოფლიოეკონომიკისგლობალიზაციისპროცესში", გვ.36, 2008 წელი

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია,მსოფლიო ბანკი და ევროპის ერთიანი სავალუტო კავშირი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით "ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს ეროვნულ საზღვრებს მიღმა საქონლისა და მომსახურების მზარდი ნაკადების მოძრაობისა და შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების პროცესს, რათა სათანადოდ იმართებოდეს საერთაშორისო ეკონომიკური გარიგებების სულ უფრო მზარდი ქსელი."[27]

ეკონომიკურ გლობალიზაციას სხვადასხვა პროცესებად ყოფენ, თუმცა მათგან მთავარია ორი სახის გლობალიზაცია: ბაზრების გლობალიზაცია და წარმოების გლობალიზაცია.

თ.ლევიტო თავის ნაშრომში "ბაზრების გლობალიზაცია" აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარე მოვლენებმა: ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, სოციალურ, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, მსოფლიო გახადა გლობალური. ბაზრების გლობალიზაციის შედეგადმსოფლიოს ყველა კუთხეში მომხმარებლები ერთსა და იმავე საქონელს მოიხმარენ.[28]

რაც შეეხება წარმოების გლობალიზაციას, ეს გულისხმობს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების წარმოება, დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან რესურსების მოპოვება და გამოყენება, საწარმოთა განლაგება ნებისმიერ ადგილას და გაყიდვებისგანხორციელება.

ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელნი არიან საერთაშორისო კორპორაციები. ესენია:[29]

1) **ტრანსნაციონალური კორპორაციები** - ნაციონალური მონოპოლიები უცხოური აქტივებით. ასეთი კორპორაციები საბაზისო ქვეყნის გარეთ ქმნიან ფილიალებსა და შვილობილ კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან, მსხვილ სამეწარმეო კომპლექს. ტრანსნაციონალურ კორპორაციებში სააქციო კაპიტალზე საკუთრების უფლება აქვს ქვეყანა -

[27] ლეილაჯამაგიძე, სადისერტაციო ნაშრომი "ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში", გვ.13, 2008 წელი
[28] ლეილა ჯამაგიძე, სადისერტაციო ნაშრომი "ტრანსნაციონალური კორპორაციების როლიმსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში", გვ.22,23, 2008 წელი
[29] http://tsotnechikobava.blogspot.com/

დამფუძნებელს და საბაზისო ქვეყანაში არის მართვის ცენტრი. მისი ძირითადი მიზანია მსოფლიო ბაზრებისათვის საქონლის მაქსიმალურად დაბალ ფასებში წარმოება;

2) **მულტინაციონალური კორპორაციები** (მნკ) - ამ ტიპის საერთაშორისო კორპორაციები წარმოადგენს რიგი ქვეყნების ნაციონალური კორპორაციების გაერთიანებას. ეს კორპორაციები განსხვავდებიან ტრანსნაციონალური კორპორაციებისგან, თუმცა ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარობენ. მულტინაციონალური კორპორაციები არიან ეროვნული კომპანიები, რომელთა აქვთ შვილობილი კომპანიები სხვადასხვა ქვეყნებში. გადაწყვეტილების მიღება ხდება ცენტრალიზებული შტაბის მიერ, ხოლო ტრანსნაციონალური კორპორაციები, მაგ: როგორიცაა Nestle, ცდილობენ გადაწყვეტილების მიღებას გლობალური პერსპექტივებიდან გამომდინარე. პირველი მულტინაციონალური კორპორაცია იყო The Dutch East India Company, რომელიც დაარსდა 1602 წლის 20 მარტს.[30]

მულტინაციონალური კორპორაციების ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: მულტინაციონალური სააქციო კაპიტალის არსებობა და მულტინაციონალური მართვის ცენტრების არსებობა;

**3) გლობალური კორპორაცია;**

**4) ინტერნაციონალური კორპორაციები;**

მას შემდეგ რაც წარმოიქმნენ საერთაშორისო კორპორაციები, ცდილობენ შეიმუშაონ მათი საქმიანობის სტრატეგიული მიდგომები, რომელმაც შეიძლება მოიცვას რამდენიმე ასპექტი:[31]

1) საკუთარი წარმოების უცხოური ნედლეულით უზრუნველყოფა;

2) ფილიალების მეშვეობით უცხოურ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება;

3) იმ ქვეყნებში განათავსონ წარმოება, სადაც წარმოების დანახარჯები დაბალია საბაზისო ქვეყანასთან შედარებით;

4) სამეწარმეო, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობის დივერსიფიკაცია;

მულტინაციონალური კორპორაციების გავლენა ეკონომიკაზე დღითიდღე იზრდება. ისინი სწრაფად და დაუბრკოლებლად ახდენენ სახელმწიფოთა ეროვნული და ეკონომიკური საზღვრების გადალახვას და უცხო ქვეყნებში ეკონომიკური გავლენის მოპოვებას. მათი მთავარი მაზანი და მამოძრავებელიმოტივი არის მაქსიმალური მოგების მიღება. გარემოს

[30]http://en.wikipedia.org/wiki/Multinational_corporation
[31]http://tsotnechikobava.blogspot.com/

დაცვა, სახელმწიფოს ეკონომიკური ავტონომიურობის შენარჩუნება და სხვა ასპექტები რაც ქვეყნის მიზანია, მულტინაციონალური კომპანიებისათვის უცხოა.

ხშირად აკრიტიკებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რადგან ისინი ძირითადად უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე: როგორც მიმღები ქვეყნის, ასევე საკუთარი ქვეყნის.[32]ესენია:

1) ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, რითაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნებზე. მაგ: "უოლ მარტი", რომელიც არის ამერიკული მულტინაციონალური კორპორაცია. მისი შემოსავლების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია რამდენიმექვეყნის მშპ-ზე. Wal-Mart Stores და Royal Datch Shell არიან უფრო დიდები ფინანსურად,ვიდრე ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: დანია, ტაილანდი, კოლუმბია, საბერძნეთი და ვენესუელა. **იხ. დანართიN1**

2) საერთაშორისო კორპორაციები ბაზრებზე იყენებენ მონოპოლიურ მდგომარეობას. საერთაშორისო კორპორაციებს შეაქვთ ახალი ტექნოლოგიები მიმღებ ქვეყანაში, რითაც შეუძლიათ გააუმჯობესონ მიმღები ქვეყნის მწარმოებლურობა და ეკონომიკურად გაძლიერდეს ქვეყანა, თუმცა არსებობსშემთხვევები და ხშირად არის ეს, როცა ახალიტექნოლოგიური უპირატესობა ბარიერი ხდება სხვა ადგილობრივი ფირმებისათვის ბაზარზე შესასვლელად. აქედან გამომდინარე მულტინაციონალური კომპანიები ხდებიან მონოპოლისტები და მათ "მონოპოლისტურ მონსტრებსაც" უწოდებენ;

3) საერთაშორისო კორპორაციები ექსპლუატაციას უწევენ ადამიანურ რესურსებს. ეს ეხება ღარიბ ქვეყნებს, სადაც მულტინაციონალური კომპანიები მუშებს უხდიან დაბალ ხელფასებს და ამასთანავე, უმატებენ სამუშაო საათებს;

4) საერთაშორისო კორპორაციები იღებენ მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვან შეღავათებს, რაც იწვევს სახელმწიფო შემოსავლების დაკარგვას. შეღავათების მიღება ძირითადად ხდება იძულებით, რადგან ქვეყნებს ეშინიათ არ დაკარგონ ინვესტიციები (ეს ეხება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს);

[32]კონფერენცია "გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები", გვ.149,150,151, 2012 წელი

5) საერთაშორისო კორპორაციები ექსპლოატაციას უწევენ გარემოს. ხშირად მულტინაციონალური კორპორაციებს ან სუსტი ეკოლოგიური რეგულაციები აქვთ ან საერთოდ არ აქვთ. ისინი მიიჩნევიან ჰაერისა და წყლის დაბინძურების მთავარ მიზეზად;

6) საერთაშორისო კორპორაციების საქმიანობა ღარიბ მოსახლეობას ზიანს აყენებს. ინგლისელი მკვლევარი ჯონ მადელეი თავის წიგნში "დიდი ბიზნესი და ღარიბი ხალხი", წერს, რომ მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობა მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. მულტინაციონალური კორპორაციები მიმღები ქვეყნის ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე მოთხოვნას ამცირებენ და ამით დიდ ზიანს აყენებენ ადგილობრივ მრეწველობას. ღარიბი მოსახლეობა ყიდულობს მულტინაციონალური კომპანიების პროდუქტებს, რადგან ადგილობრივი პროდუქტის ფასთან შედარებით დაბალ ფასად სთავაზობენ;

UNCTAD (United Nations Conference on Trade and Development) მიერ გამოქვეყნებული, 2009 წლის მონაცემებით, მსოფლიოში არსებობს 889, 416 მულტინაციონალური კომპანია, აქედან 82,053 არის შვილობილი კომპანია, ხოლო 807,363 არის ფილიალი. 2008 წელში 100-მა უმსხვილესმამულტინაციონალურმა კომპანიამ გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღო დაახლოებით $8,5 ტრილიონი. სამი ყველაზე მსხვილი მულტინაციონალური კომპანიები 2009 წელს იყვნენ: Citigroup Inc, Allianz SE, ABN AMRO.[33]

გამოვყოფ იმ ძირითად ასპექტებს, თუ როგორ ახდენს მულტინაციონალური კომპანია უარყოფით გავლენას როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაზე.[34]

მულტინაციონალური კომპანიების უარყოფითი გავლენა მიმღებ ქვეყნებზე:

1) მულტინაციონალური კომპანიების მთავარი მიზანი არის, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მაქსიმალური მოგების მიღება. მათმა რომ მიაღწიონ დასახულ მიზანს, ისინი ინვესტიციებს დებენ განვითარებად ქვეყნებში. ამის მიზეზი არის ის, რომ მუშახელი არის ძალიან იაფი ამ ქვეყნებში. მოგების დიდი ნაწილი მიღებული განვითარებადი ქვეყნებიდან მიდის მულტინაციონალური კომპანიის მთავარ შტაბში. მაგ: ერთ-ერთ წელს ამერიკის 300-მა მულტინაციონალურმა კომპანიამ მიიღეს $400 მილიარდი განვითარებადი ქვეყნებიდან;

[33]http://www.numberof.net/number%C2%A0of%C2%A0mncs-in-the-world/
[34]http://ru.scribd.com/doc/36568163/Multinational-Corporation

2) მულტინაციონალური კომპანიები "კლავენ" ადგილობრივ წარმოებას და ბაზარზე მონოპოლისტები ხდებიან;

3) მულტინაციონალური კომპანიები ტექნოლოგიურად მეტად განვითარებულნი არიან და ადგილობრივი კომპანიები კონკურენციას ვერ უწევენ;

4) მულტინაციონალური კორპორაციები ახორციელებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებას მიმღებ ქვეყნებში, ხოლო მიმღები ქვეყნები ამცირებენ ადგილობრივ განაკვეთებს, რათა შეინარჩუნონ ინვესტიციები;

5) მულტინაციონალური კომპანიები სარგებლის მომტანნი იქნებოდნენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის მოკლევადიან პერიოდში, ხოლო ზიანის მომტანები არიან გრძელვადიან პერიოდში. მათი სამოქმედო მიზნები კი გრძელვადიანია განვითარებად ქვეყნებში;

6) თანამშრომელთა მიღება ხდება ეთნოცენტრული მიდგომით ანუ იყვანენ თავიანთი ეროვნების ხალხს, რაც იწვევს უმუშევართა რიცხვის ზრდას მიმღებ ქვეყანაში;

7) მულტინაციონალური კომპანიების მიერ მიმღები ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შეუზღუდავმა გამოყენებამ, შეიძლება გამოიწვიოს მიმღები ქვეყნის რესურსების შემცირება და გამოფიტვა;

8) მულტინაციონალური კომპანიები თავიანთი ფინანსებითა და სხვა რესურსებით გავლენას ახდენენ მიმღები ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ისინი მთავრობას აღებინებენ იმ გადაწყვეტილებებს რაც მათთვის არის ხელსაყრელი;

9) მულტინაციონალური კომპანიები თავს არიდებენ საგადასახადო ვალდებულებებს. მათ არ შეაქვთ სარგებელი მიმღები ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადების სახით და ამით ქვეყნის ეკონომიკურად განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებენ;

10) მულტინაციონალურ კომპანიებს საკუთარი მოგება გააქვთ დოლარებში მიმღები ქვეყნიდან, რაც გამოიწვევს მიმღები ქვეყნის უცხოური რეზერვების შემცირებას;[35]

11) მულტინაციონალური კომპანიების არსებობა ხდის მიმღებ ქვეყანას მნც-ის საკუთარ ქვეყანაზე დამოკიდებულს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მიმღები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე; ქვეყანას შეიძლება განსხვავებული საგარეო კურსი ჰქონდეს

[35] http://virtualguide4u.blogspot.com/2012/09/multinational-companies-advantages.html

აღებული, მაგრამ მულტინაციონალური კომპანიების არსებობამ შეცვალოს მისი საგარეო კურსი. შეიძლება ეს ქვეყანას ძვირადაც დაუჯდეს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის თვალსაზრისით;

12) მულტინაციონალური კომპანიები, როგორც ზემოთ ავღნიშნე, გარემოს საფრთხეს აყენებენ თავისი წარმოებით. არ ახდენენ წარმოების გადამუშავებას რაც გარკვეულ ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშირებული. მათვის ეს არ არის პრობლემა და აქვთ იმის განცდა, რომ ეს არ არის მათი ქვეყანა და არ ზრუნავენ მასზე, მხოლოდ სარგებლომის მიღებაზე ფიქრობენ;

13) მულტინაციონალური კომპანიები განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებ ისედაც გაჭირვებულ ხალხს, მცირე ხელფასებს უხდიან თუ მოხდა საერთოდ ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმება;

14) მულტინაციონალური კომპანიები ახდენენ მიმღები ქვეყნის კულტურის ჰომოგენიზაციას ანუ ხდება ახალი კულტურის შეტანა და მისით ძველის ჩანაცვლება;[36]

მულტინაციონალური კომპანიების უარყოფითი გავლენა საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაზე:

1) კაპიტალის გადაცემა საკუთარი ქვეყნებიდან სხვადასხვა მიმღებ ქვეყნებში მულტინაციონალური კომპანიების მიერ, იწვევს არასასურველ საგადასახადო ბალანსროდესაც ქვეყნიდან ხდენა კაპიტალის დიდი ოდენობით გადინება ეს აისახება გადასახადებზე ანუ იზრდება გადასახადები;

2) სამრეწველო და ეკონომიკური განვითარება საკუთარი ქვეყნის უგულებელყოფილია მულტინაციონალური კომპანიების მიერ, რადგან ისინი კაპიტალის დაბანდებას ახდენენ არა საკუთარ ქვეყანაში, არამედ სხვადასხვა ქვეყნებში;

3) მულტინაციონალური კომპანიის მიერ სხვა კულტურის შემოტანა საკუთარ ქვეყანაში, შეიძლება საზიანო იყოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის;

4) მულტინაციონალური კომპანიები ვერ შექმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს თავიანთ ქვეყნებში, თუ ის ირჩევს გეოცენტრულ მიდგომას ანუ ფუნქციონირებას სხვადასხვა ქვეყნებში;

პარალელს თუ გავავლებთ მულტინაციონალური კომპანიებსა და საქართველოს შორის, დავინახავთ რომ საქართველოში საკმაოდ ბევრი მულტინაციონალური კომპანია არსებობს.

---

[36] http://ru.scribd.com/doc/25239404/Pros-and-Cons-of-Multinational-Companies

მაგ: კომპიუტერული ტექნოლოგიების გიგანტი "მაიკროსოფტი". ამ კომპანიის წარმომადგენელი საქართველოში აცხადებს, რომ კომპანია $150 მილიონ კარგავს ყოველწლიურად საქართველოში და ამის საპასუხოდ ქვეყნის ბიუჯეტში არ შეაქვთ გადასახადი, რომელიც შეადგენს 50-60 მლნ ლარის ოდენობას. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტია და ამაზე საჭიროა მთავრობის მხრიდან რეაგირების მოხდენა. გადასახადის არ შეტანა ბიუჯეტში პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე და ჩვენთვის, ისედაც ნაკლებად განვითარებული და ეკონომიკურად არამდგრადიქვეყანისთვის დამღუპველია.[37]

ასევე, ყურადღება გავამახვილოთ და ავღნიშნოთ ის მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც გენმოდიფიცირებულ პროდუქციას აწარმოებენ და შემოაქვთ საქართველოში. ეს კომპანია არის "მონსანტი". კომპანიამ იმდენი მოახერხა, რომ მთელი აფრიკის ტერიტორია აითვისა. ეს კომპანია შესაძლოა ცოტახანში მთელი მსოფლიოს პრობლემა გახდეს, რადგან მისი მოქმედების მაშტაბი დღითიდღე იზრდება. ეს კომპანია საქართველოსთვისაც საფრთხეს წარმოადგენს.მათ შეუძლიათ ჩვენ მოგვიწყონ ეკონომიკური დივერსია, რაც უკვე გააკეთეს აფრიკაში. თუ ადგილობრივი სათესლე მასალა არ გვექნება (ეს პრობლემა უკვე დგას საქართველოში) და მუდმივად სხვის მიერ მოწოდებულ თესლზე ვიქნებით, ეს მძიმე შედეგებს მოგვიტანს.

საქართველოში დღეს თესლის წარმოება აღარ ხდება, ადგილობრივი წარმოება შეჩერებულია. ეს სწორედ ის არის, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენენ მნკ-ები მიმღებ ქვეყანაზე. "მონსანტო" მონოპოლისტი გახდა. სოფლის მეურნეობაში მოღვაწე მწარმოებლები იძულებულნი არიან შეიძინონ გენმოდიფიცირებული თესლი, რომელიც იძლევა ცუდი ხარისხის მოსავალს და ეს მოსავალი ნაკლებად იყიდება. ქვეყნის ეკონომიკა თანდათან შესუსტდება თუ არ მოხდემა ამ ფაქტთან დაკავშირებით სათანადო რეაგირება.[38]

---

[37] http://www.polity.ge/georgia/economics.html?start=45

[38] http://www.ambebi.ge/meditsina/21317-frthkhilad-qfrankenshteinis-sakvebiq.html

**დასკვნა**

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამება რომ მოვახდინოთ, გამოვყოფ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს მულტინაციონალურ კომპანიებთან დაკავშირებით. ამ ასპექტებს ყველა განვითარებადმა ქვეყანამ უნდა მიაქციოს ყურადღება, გააანალიზოს და შემდეგ გადაწყვიტოს იყოს თუ არა მულტინაციონალური კომპანიები ასეთ ქვეყნებში. იქიდან გამომდინარე, რომ ისინი კლავენ ადგილობრივ წარმოებას, ეს გამოიწვევს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლისშემცირებას. ქვეყანა დამოკიდებული ხდება მნკ-ებზე, რადგან თუ მას აღარ ექნება ადგილობრივი წარმოება, მაშინ ვინ უნდა მიაწოდოს საჭირო პროდუქტები? ამ შემთხვევაში ასეთმა კომპანიებმა უნდა ჩაანაცვლონადგილობრივი პროდუქტები თავიანთი პროდუქტებით. ასეთშემთხვევაში მულტინაციონალური კომპანიები ძალაუფლების მფლობელები ხდებიან.

ასევე, ისინი თავს არიდებენ გადასახადებს ან იხდიან დაბალ ტარიფებს, ეს ყოველივე კი რა თქმა უნდა აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და შესაბამისად,ბიუჯეტის შემოსავლის შემცირებაზე.თუ ქვეყნის ბიუჯეტში არის მცირე ფინანსები, ამ შემთხვევაში ქვეყანა პრობლემების წინაშე შეიძლება დადგეს. ვერ მოახდინოს მოსახლეობის დაკმაყოფილება: ვერ გასცეს პენსიები, ხელფასები და ა.შ და შესაძლებელია მოდეს ქვეყნის შიგნით არეულობა, აქციებისსახით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მულტინაციონალურ კომპანიებს დიდი რაოდენობის ფული გააქვთ მოგების სახით მიმღები ქვეყნიდან დოლარებში კონვერტირებული. ეს ფაქტი კი მნიშვნელოვანია და საჭიროებს სათანადო კონტროლს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიოსმიმღები ქვეყნის უცხოური რეზერვების შემცირება და ამ ყოველივემ გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა ბანკების გაკოტრებაც კიგამოიწვიოს.

შეგვიძლია ვთაქვათ, რომ მულტინაციონალური კომპანიების არსებობა განვითარებად ქვეყნებში შეიძლება გამართლებული იყოს მაშინ, თუ ისინი მოკლევადით იქნებიან მიმღებ ქვეყანაში, ხოლო მათი ხანგრძლივი ვადით მიმღებ ქვეყანაში არსებობა არის გარანტია იმისა, რომ ეს ქვეყნები ვერასდროს ვერ განვითარდებიან და დაკარგავენ იმ ეკონომიკურ დამოუკიდებლობის ხარისხსაც, რაც მულტინაციონალური კომპანიების ქვეყანაში შემოსვლამდე ჰქონდათ.

**რეკომენდაციები**

1) განვითარებადმა ქვეყნებმა მოკლევადიანი კონტრაქტები გააფორმონ მულტინაციონალურ კომპანიებთან;

2) მოხდეს მათზე ფიქსირებული გადასახადის დაწესება;

3) ხელი შეუწყოს მთავრობამ მულტინაციონალური კომპანიების მიღების დროს ადგილობრივ წარმოებას;

4) გარემოს დაბინძურებისათვის გარკვეული სანქციები დაწესდეს ქვეყნის მიერ;

5) შეიქმნას კანონი მულტინაციონალური კომპანიების შესახებ - რისი უფლება აქვთ კანონით მინიჭებული და რისი არა;

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1) JagdishBhagwati. In Defense of Globalization. 2004

2) ლეილა ქადაგიშვილის საკონფერენციო ნაშრომი “,ეკონომიკური გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები”, გვ.154, 2012 წელი

3) საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.8&d=HASH011f66c640955a9eb52a007d.18&x=1

4) ბლოგი "გლობალიზაცია",http://globalizationforus.blogspot.com/

5) ლეილა ჯამაგიძე, სადისერტაციო ნაშრომი "ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში", 2008 წელი

6) ბლოგი ’’საერთაშორისოკორპორაციებისტიპებიდამათისტრატეგიები", http://tsotnechikobava.blogspot.com/

7) თავისუფალიენციკლოპედია "ვიკიპედია", multinationals companies, http://en.wikipedia.org/wiki/Multinational_corporation

8) http://www.numberof.net/number%C2%A0of%C2%A0mncs-in-the-world/

9) კონფერენცია "გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები", გვ.149,150,151, 2012 წელი

10) Multinationals corporations, http://ru.scribd.com/doc/36568163/Multinational-Corporation

11) Info mania – a complete virtual guide, “multinationals companies advantages and disadvantages,” http://virtualguide4u.blogspot.com/2012/09/multinational-companies-advantages.html

12) Scribd, “word beater INC and a world view”, http://ru.scribd.com/doc/25239404/Pros-and-Cons-of-Multinational-Companies

13) საინფორმაციო ინტერნეტ პორტალი " The Polity News”, „მაიკროსოფტი“ საქართველოში 150 მილიონ დოლარს კარგავს, 2010 http://www.polity.ge/georgia/economics.html?start=45

14) საინფორმაციო პორტალი "ambebi.ge” , ფრთხილად - "ფრანკენშტეინისსაკვები"! , 2010 http://www.ambebi.ge/meditsina/21317-frthkhilad-qfrankenshteinis-sakvebiq.html

დანართი 1.

**დანართი N1: მსოფლიოს უმსხვილესი მულტინაციონალურიკ ომპანიების შემოსავლები**




**წყარო:**კონფერენცია "გლობალიზაცია, საერთაშორისობიზნესისთანამედროვე პრობლემებიდაგანვითარებისტენდენციები", გვ.150, 2012 წელი

# კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება - არსი და ურთიერთკავშირი

**მანანა ღოღობერიძე** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ინგა ღოღობერიძე** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფლების სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს. მისი მიმართება ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან და საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებთან განსხვავებულია, თუმცა მოვლენის არსი და მიზანი ერთი და იგივე. იგი „სწრაფვაა ცნობიერების ფორმისა და შინაარსის დაძლევისკენ“.

პირველ რიგში, ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რისი თქმაც შეგვიძლია არის ის, რომ საბაზრო ეკონომიკა სწორედ მასზეა დამოკიდებული. ეს ჩანს არჩევანისა და საბაზრო ეკონომიკის სუბიექტებისა თუ ობიექტების მოქმედების თავისუფლებაშიც. სოციალისტები ლიბერალებისგან განსხვავებით მხარს თანამშრომლობას უჭერენ და კონკურენაციას ყოველივე სიბოროტისა და დაპირისპირების მიზეზად ასახელებენ. ლიბერალიზმში კონკურენცია გაიგივებულია მოტივაციასთან და პროგრესთან. პროგრესთან, რომელიც სახელმწიფოს კეთილდღეობას უწყობს ხელს. თუმცა მთავარია ის, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია სახელმწიფოში. მხოლოდ კონკურენციის ან მხოლოდ თანამშრომლობითი ურთიერთობების მომხრეებს ბევრი ოპონენტი ჰყავთ. მათი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ამ ორი მთავარი ბერკეტის გაერთიანებით სახელმწიფო უფრო ბევრს შეძლებს, ვიდრე მათი განცალკევებით. ქრისტიან დემოკრატია სწორედ ამ მოსაზრების საპირწონედ გვთავაზობს „სოციალური პარტნიორობის“ გაგებას, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების შენარჩუნებას უწყობს ხელს.

კონკურენციის პირობებში არჩევანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, იგი ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ნიადაგს პროგრესისთვის. მიიჩნეულია, რომ გლობალიზაციის პირობებში ყოველივე ზემოხსენებულის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ სახელმწიფომ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს. ეს ეხება ქვეყნებს შიგნით არსებულ სიტუაციას თუ საერთაშორისო დონეს. ეკონომიკური თავისუფლება თავისთავშივე გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებსა და

ზომებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა არეგულიროს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი (თვითმართველობები, ასოციაციები, ფონდები) მექანიზმებით, ინსტიტუტებით.

როგორც მილონ ფრიდმანი თავის წიგნში „კაპიტალიზმი და თავისუფლება" აღიარებს, რომ ადამიანი შეიძლება იყოს არასრულყოფილი და მან შეიძლება დაუშვას შეცდომები, მაგრამ ეს არ არის მისთვის თავისუფლების შეზღუდვის საბაბი. ის, ვინც ადამიანს უზღუდავს თავისუფლებას, ანუ მთავრობა, თავად შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი და არასრულყოფილი. ამის უარყოფითი შედეგი კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ის, რაც კერძო ადამიანის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება მოიტანოს.

ბაზარი, თავისთავად თავისუფლების წყაროა – თვლის ფრიდმანი, ხოლო მთავრობა – მორჩილებისა. ბაზარი ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, მთავრობა – კონფორმიზმს. ამიტომ, საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მთავრობის გავლენა მინიმუმამდე შემცირდეს. თავისუფალ ბაზარს უდიდესი როლი აკისრია პოლიტიკური თავისუფლების მიღწევაში. ისტორიულად, პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი იზრდებოდა სწორედ მაშინ, როდესაც იზრდებოდა ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება.

"სანამ უზრუნველყოფილია გაცვლის რეალური თავისუფლება ეკონომიკის საბაზრო ორგანიზების უმთავრესი ნიშანი არის ის, რომ იგი თავიდან იცილებს ერთი პიროვნების ჩარევას მეორეს საქმიანობის უმეტეს ნაწილში. მომხმარებელი დაცულია მომწოდებლის ძალადობისაგან სხვა მიმწოდებლის არსებობით, რომელთანაც მას ასევე შეუძლია საქმის დაჭერა - წერს ფრიდმანი - გამყიდველი დაცულია მომხმარებლის ძალადობისაგან სხვა მომხმარებლის არსებობით, რომელსაც შეიძლება მიეყიდოს საქონელი. დასაქმებული დაცულია დამსაქმებლის ძალადობისაგან, რადგან შეუძლია სხვა დამსაქმებლის მონახვა და ა.შ. თანაც, ყოველივე ამას ბაზარი ცენტრალური მართვის გარეშე ახერხებს".

ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ თავისუფალი ბაზარი ხელს უწყობს თანასწორობასაც. ის ეროვნების, რელიგიის, რასის და ა.შ. მიუხედავად, ყველას აძლევს თავის რჩენის საშუალებას. "როდესაც ჩვენ პურს ვჭამთ, ჩვენთვის სულ ერთია, ვისი მოყვანილია იგი: კომუნისტისა თუ კაპიტალისტის, ზანგისა თუ თეთრკანიანის. ეს გვიჩვენებს, თუ როგორც ახერხებს ბაზარი ეკონომიკური ინტერესების განცალკევებას პოლიტიკური შეხედულებებისაგან და იცავს ადამიანებს ნებისმიერ მიზეზით დისკრიმინაციისაგან,

გარდა შრომის ნაყოფიერებისა" წერს ფრიდმანი. თავისუფალ ბაზარს შეუძლია ადამიანი დაიცვას მთავრობის მხრიდან ძალადობისაგან, რადგან იგი ადამიანს საშუალებას აძლევს საარსებო წყაროთი არ იყოს მთავრობაზე დამოკიდებული. თავისუფალი ბაზრის პირობებში სახელმწიფოს პიროვნული თავისუფლების შეზღუდვა ძალზე ძვირი უჯდება. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებში გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ეკონომიკური თავისუფლებასთან დაკავშირებით ჩატარებულია რიგი გამოკვლევებისა ამ ნაშრომებში ავტორები პირდაპირ თუ ირიბად საუბრობენ ეკონომიკური თავისუფლების როლსა და ზომების კვლევის აუცილებლობაზე, ასახავენ ეკონომიკურ განვითარებაში ეკონომიკური თვისებების მნიშვნელობას.

ეკონომიკური თავისუფლება ყოველთვის რეგულირებადია და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული ნებისმიერ დონეებზე. იმ შემთხვევაში თუ, თავისუფლების გამოვლინება ანუ მისგან გამომდინარე ნება ნივთობრივ ხასიათში გადადის, ის იძენს ეკონომიკურ ხასიათს, ამიტომაც აუცილებელია მარეგულირებელი როლის შემსრულებელი ინსტიტუტი. როდესაც იდეალური ფასეულობები იღებენ მატერიალურ ხასიათს, ჩნდება ზღვარი თავისუფლებასა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის. თუმცა ისინი გამიჯნული არ არიან ერთმანეთისაგან, არამედ მჭიდროდ არიან შეკავშირებული. მეტიც, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისინი ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ არსებობენ. სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვაქვს საქმე ეკონომიკურ თავისუფლებასთან და უკვე საჭირო ხდება მისი როლისა და ზომის განსაზღვრა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია თავისუფალი არჩევანის ხარისხზე. აქ იგულისხმება არა ყოველგვარი არჩევანი, არამედ ეკონომიკური აქტიურობათა ოპტიმალური არჩევანი. საინტერესოა , როდის უნდა მოხდეს ეკონომიკური თავისუფლების დასაცავად სახელმწიფოს მხრიდან მისი პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის რეგულირება, ეს კი მაშინ ხდება, როდესაც არჩევანი იზღუდება.

ამრიგად, აუცილებელი ხდება ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან და ამის მაგალითია მონოპოლიები. მონოპოლია არის ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე დიდი გამოვლინება და მნიშვნელობა არ აქვს, რა სახის მონოპოლიაა.

ეკონომიკური თავისუფლება აუცილებელი პირობაა შერეული ტიპის საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისთვის. ეკონომიკური თავისუფლების მთავარი უზრუნველმყოფია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მისი ჩარევის მასშტაბები ისე, რომ მოგვცეს ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმუმი და იმავდროულად მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია.

როგორც ლუდვიკ ერჰარდი წერს, "თავისუფალი მეურნეობა შეესაბამება თავისუფალ მეწარმეობას, თავისუფლება ერთიანი და განუყოფელია – პოლიტიკური და სამეურნეო თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება ისეთი რთული დიალექტიკური ერთიანობაა, რომ მისგან თუნდაც ერთი ნაწილის გამიჯვნით, ყველა დანარჩენი დაიშლება".

კერძო საკუთრება, პირველ რიგში, ეკონომიკური თავისუფლების გარანტიაა. კერძო საკუთრების იდეა არა მხოლოდ შეესაბამება ჩვენს მორალურ ინტუიციასთან, არამედ იგი საზოგადოებრივი წყობისა და წინააღმდეგობების მოგვარების ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენს. სწორედ აქ ჩანს მისი კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასთან და კონკურენციასთან. კერძო საკუთრების ინსტიტუტი ეკონომიკური აღმავლობისა და „საზოგადოებრივი კეთილდღეობის" საფუძველს წარმოადგენს. თუკი ადამიანები კერძო საკუთრების ინსტიტუტით განსაზღვრულ წესებს იცავენ, საზოგადოებრივი კეთილდღეობა იზრდება.

საინტერესოა განვიხილოთ, ეგრეთ წოდებული პარეტოს პირობა, რომლის მიხედვით, „საზოგადოებრივი კეთილდღეობის" ზრდაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მეცნიერულად გამართლებული, როდესაც გარკვეული ცვლილების შედეგად თუნდაც ერთი ადამიანის ყოფა უმჯობესდება, ხოლო სხვების მდგომარეობა არ უარესდება. თავდაპირველი დაპატრონების ნებისმიერი შემთხვევა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. იგი ისე ზრდის ერთი ადამიანის, ანუ მესაკუთრის კეთილდღეობას, რომ სხვების საკუთრებას არ ხელყოფს. ყველას ისეთივე რაოდენობის საკუთრება რჩება, რაც მანამდე გააჩნდა, ხოლო მიმთვისებელი ახალ, მანამდე არარსებულ ქონებას იძენს.

ასეთი გზით მითვისებული დოვლათისა და სამკვიდროს შემდგომი გამოყენება ასევე ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მიუხედავად იმისა თუ როგორ იყენებს ის მას, ის მოწოდებულია, რომ მის კეთილდღეობა გაზარდოს. ეს მართებულია, მაშინაც როდესაც ადამიანი ამ საკუთრებას თავად მოიხმარს და მაშინაც, როდესაც ადამიანი ახალ ქონებას

„ბუნების ძღვენისგან“ ქმნის. ყველა ქმედება, რომელიც მიმართულია წარმოებისკენ განპირობებულია მწარმოებლის სურვილით, რომ ნაკლებად ღირებული საკუთრება უფრო ღირებულ საკუთრებად გადააქციოს. თუ წარმოება და მოხმარება არ იწვევს სხვა ადამიანთა მფლობელობაში მყოფი ქონების ფიზიკურ დაზიანებას ან შემცირებას, იგი ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება.

და ბოლოს, მითვისებული (მოპოვებული) ან წარმოებული ქონების ერთი მესაკუთრიდან მეორეზე ნებაყოფლობით გაცვლის და ან გადაცემის ყოველი შემთხვევა საზოგადოებრივ კეთილდღეობას აუმჯობესებს. საკუთრების გაცვლა შესაძლებელი მხოლოდ მაშინ არის, თუ ორივე მფლობელი უპირატესობას ანიჭებს იმას, რასაც მიიღებენ იმაზე, რასაც გასცემენ და ამდენად, გაცვლიდან სარგებელს ელიან. ასეთ შემთხვევაში ქონებრივი გაცლებიდან ორივე ადამიანი მოგებაში რჩება, ხოლო თითოეულის საკუთრებითი უფლებები ხელშეუხებებლი რჩება.

ზემოთაღწერილი ვითარების სრულიად საპირისპიროდ, კერძო საკუთრების ინსტიტუტიდან ნებისმიერი გადახვევა საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემცირებას გამოიწვევს. მნიშვნელოვანია ის მოსაზრებაც, რომ საყოველთაო და თანასწორუფლებიანი თანამფლობელობის, ანუ კერძო მესაკუთრეობის ნაცვლად უნივერსალური (ყოვლისმომცველი) კომუნიზმის დამკვიდრების შემთხვევაში, საფასური, რომლის გაღებაც კაცობრიობას მოუწევდა, დაუყოვნებელი გადაშენება იქნებოდა, რადგანაც საყოველთაო თანამფლობელობა ნიშნავს, რომ არავინ იქნებოდა უფლებამოსილი რაიმე ეკეთებინა ან სადმე წასულიყო. კერძო მესაკუთრეობიდან ყოველი გადახვევა ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას ნიშნავს, რომელიც უთანასწორობას და ჰეგემონიას დაამკვიდრებს. ანუ, ეს ისეთი წყობა იქნებოდა, სადაც ერთ პიროვნებას ან ადამიანთა ჯგუფს, ანუ მმართველებს, მჩაგვრელებს ან ზეადამიანებს, შესაძლებლობა ექნებოდათ საკუთრება არა თავდაპირველი დაპატრონების ან გაცვლის შედეგად შეეძინათ, არამედ სხვების ექსპლუატაციის ხარჯზე, ხოლო სხვა პიროვნებას ან ადამიანთა ჯგუფს, ანუ მართულებს, ჩაგრულებს ან არასრულფასოვან არსებებს, ამის კეთება შეზღუდული ექნებოდათ.

**გამოყენებული ლიტერატურა :**


1. „თავისუფლების ფული" - თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი VIII, 2010, მილთონ ფრიდმენი ;
2. „ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში" - რამაზ გერლიანი ;
3. „კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა" - ჰანს ჰერმან ჰოპე .

# ეკონომიკური თავისუფლება და გარემოს დაცვა საქართველოში

**ნათია მჟავია** – ბაკალავრიატი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

"მწვანე ეკონომიკის" კონცეფცია საკმაოდ ფართოა, ამასთანავე შედარებით ახალი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისთვის. ტერმინის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვ აკონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება. მიუხედავად მრავალი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი.

ამ პოსტულატმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, რომელიც საქართველოს უფლებებთან ერთად გარემოსთან დამოკიდებულებების ევროპული სტანდარტების შემოღების ვალდებულებას განსაზღვრავს.

რატომ არის ეკონომიკური თავისუფლება მნიშვნელოვანი? ეკონომიკური უფლებები ფუნდამენტური უფლებებია იმ გაგებით, რომ მათ გარეშე არ იარსებებდა არც პოლიტიკური და არც სამოქალაქო თავისუფლებები, ისინი არიან ზრდისა და განვითარების წინაპირობა, ისინი არიან ადამიანის ფართო განვითარების წინაპირობა. მსოფლიო „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის" გამოკვლევის შედეგები ქვეყნის განვითარება არაა დამოკიდებული მთლიანად რესურსები სარსებობაზე. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო სისტემას, კერძო მეწარმეობის არსებობას, სახელმწიფოს სიდიდეს. იქ, სადაც საკუთრების უფრო მეტი უფლება არსებობს და მეტადაა თავისუფალი, მით განვითარებულია ეს ქვეყანა, ხოლო ეკონომიურად ძლიერ ქვეყნებს ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვთ და მეტად ზრუნავენ გარემოს დაცვაზე. ამავე გამოკვლების მიხედვით, ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებში გარემოს დაცვითი მიზნებისათვის გაწეული ხარჯი ხუთჯერ აღემატება ეკონომიკურად არათავისუფალი ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელს. ვფიქრობ, იქ სადაც ადამიანებს შეუძლიათ თავისუფალ ეკონომიკურ გარემოში აწარმოონ პროდუქტი, მიიღონ მოგება, უფრო მეტად უნდა დაიცვან ეკოლოგია და ამის მაგალითის ნახვა შეგვიძლია ნებისმიერ თავისუფალი ეკონომიკის ქვეყანაში. გარემოს დაბინძურების ხარისხი პირდაპირ

დამოკიდებულებაშია ქვეყნის განვითარების დონისა, საიდანაც ვასკვნით, რომ განვითარების დონე უკუპროპორციულია დაბინძურების დონის. როცა მოსახლეობას იგი მეტ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვას და პირიქით, დაბალი შემოსავლების შემთხვევაში მოსახლეობას ელემენტარული მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება და სურვილი აქვს მხოლოდ. ასეთ საზოგადოებაში (მაგალითად საქართველოში) მოიხმარენ მეორად ავტომანქანებს, ქარხნებს არ გაჩნიათ არანაირი გამწმენდი საშუალებები, ნაგავი ყველგან იყრება და სხვა. მოკლედ ემპირიულადაც კი გარემოს მდგომარეობა პირდაპირ და ირიბად დამოკიდებული აქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებზე. რაც უფრო თავისუფალია ქვეყანა, მით უფრო კარგია გარემოს მდგომარეობა.

ათასწლეულების მიჯნაზე მსოფლიოში წარმოქმნილმა გლობალურმა, ეკონომიკურმა და ეკოლოგიურმა კრიზისებმა დღის წესრგიში დააყენა, არსებული ეკონომიკური კონცეფციების და გარემოსთან დამოკიდებულის ცვლილების აუცილებლობა. არსებულმა ე.წ. „ყავისფერი ეკონომიკის“ მიდგომებმა, სადაც მთავარი აქცენტები გადატანილია ეკონომიკურ ზრდაზე და უგულებელყოფილია სოციალური და გარემოსდაცვითი საჭიროებები, ვერ უზრუნველყო ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება, სიღარიბის დაძლევა და გარემოსდაცვითი რისკების შემცირება. ამიტომ, შემუშავდა განვითარების ახალი ეკონომიკური კონცეფცია და ხედვა ე.წ. „მწვანე ეკონომიკა“, რომელიც შეძლებს ბუნებრივი და ფინანსური კაპიტალის ბევრად უფრო ეფექტურად და ეფექტიანად მიმართვას პროგნოზირებად მომავალში. განვითარების „მწვანე“ სტრატეგია, მიმართულია ეკონომიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის ურთიერთ შემავსებელ ასპექტებზე.

მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ისე კონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ ირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივკაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, აზიისა და წყნარი ოკეანის კავშირის ეკონომიკური და სოციალური კომისია

მწვანე ეკონომიკას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს დაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს". (2. 9-10) მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. კლასიკური ეკონომიკის თანახმად, იგი არ განიხილება დამოუკიდებლად, რადგან ის ეკონომიკის ნაწილია. კერძოდ, ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ტრადიციულად მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს და დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან, შრომასთან.

მწვანეეკონომიკაექვსმთავარსექტორსმოიცავს:

1) განახლებადიენერგია
2) მწვანეშენობები
3) სუფთატრანსპორტი
4) წყლისმენეჯმენტი
5) ნარჩენებისმენეჯმენტი
6) მიწისმენეჯმენტი (1.2)

**ნარჩენების მართვა**

ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა სასარგებლო იქნება ნარჩენების მართვის მდგრადი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების საქმეში (როგორც ნარჩენების შეგროვების, ასევე მათი გადამუშავების თვალსაზრისით). ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ევროკავშირის ჩარჩო დირექტივა ნარჩენების მართვის შესახებ, რომელიც ნარჩენების მართვის დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ პრინციპებსა და პრიორიტეტებს აყალიბებს. უფრო კონკრეტულად, ნარჩენების პოლიგონზე განთავსებასა და მათ თერმულ დამუშავებას არეგულირებს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები. ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია საშუალებას მისცემს სახელმწიფოს უფრო ეფექტურად დაარეგულიროს გარკვეული სახის ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების საკითხები, მაგალითად, შესაფუთი მასალები და საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ელექტრონული ტექნიკა. ნარჩენების მართვის გაუმჯობესება შეამცირებს ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ჰაერის დაბინძურებას.(3.25)

**სუფთა ტრანსპორტი**

ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია ხელს შეუწყობს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის დახვეწას და გაუმჯობესებას. ევროკავშირის ცალკეული დირექტივები ეხება ჰაერის დაბინძურებას კონკრეტული წყაროებიდან, როგორიცაა მსხვილი საწარმოებიდან და საავტომობილო ტრანსპორტიდან, რადგან სწორედ საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს ჰაერის დაბინძურების უმთავრეს წყაროს საქართველოს ქალაქებში.

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუჯობესება შეამცირებს გარკვეულ დაავადებებს, ნაკლებად დაზიანდება ეკოსისტემა და ზოგადად, ცხოვრების დონე გაუმჯობესდება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებსა და საწაროების ახლოს.(3.25)

**წყლის რესურსების დაცვა**

წყლის რესურსების დაცვის სექტორულ კანონმდებლობასთან კონვერგენციას მთელი რიგი დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია. განსაკუთრებით საყურადღებოა დირექტივა სასმელი წყლის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სასმელი წყლის ხარისხს. ამ დირექტივასთან კონვერგენცია არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისათვის იქნება სარგებლის მომტანი, არამედ ისეთი სექტორებისათვისაც, როგორიცაა კვების მრეწველობა და ტურიზმი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ცალკეული დირექტივები არეგულირებენ მიწისქვეშა და საბანაო წყლის ხარისხს.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა აგრეთვე დადებითად იმოქმედებს ჩამდინარე წყლების კონტროლისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მხრივაც. ამასთან, გაუმჯობესდება სანაპირო წყლის და მდინარეების ხარისხი, რაც თავის მხრივ, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. (3.26)

**განახლებადი ენერგია**

შესაბამისად, ბოლოდროს განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მეტ ინვესტიციას დებენ განახლებადი ენერგიის გამომუშავების მიზნით. ცნობილია ევროკავშირის გეგმა, რომლის

თანახმადაც 2020 წლისთვის ენერგიის 20% მიღებ ამოხდება სწორედ განახლებადი ენერგორესურსებიდან. არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, წვადი (ნავთობი და გაზი) ენერგიის ტრადიციული წყაროები აუცილებლად დაექვემდებარებიან გარკვეულ შეზღუდვებს. ესეც რომ არა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა დასტაბილურობა საკმარისი მიზეზია საკუთარი ენერგო რესურსის არსებობისთვის. ამის გარანტია ენერგიის განახლებად წყაროებზე გადასვლაა. ამ მიზნით უკვე დღეს ბევრი ქვეყანა სთავაზობს კომპანიებსა და კერძო ინიციატივებს ფინანსურ დახმარებას და ენერგიის განახლებადი წყაროების დანერგვას. განახლებადს უწოდებენ ენერგიას, რომლის მიღებაც შესაძლებელია ამოუწურავი (მუდმივ განახლებადი) წყაროებიდან – ბუნებრივი რესურსებიდან, ასეთია მზე, ქარი, წყალი, ბიომასა და სხვა.

ქვემოთ მოცემულია "მწვანე ეკონომიკის" განხორციელების წარმატებული მაგალითები სხვადასხვა ქვეყნებში:

**განახლებადი ენერგია გერმანიში.** ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყნა განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების სექტორში არის გერმანია, სადაც განახლებად ენერგიებს სისტემაში 25% უჭირავს, მისი მეშვეობით შეიქმნა დაახლოებით 380 000 ათასი სამუშაოა დგილი, მომხმარებელი ხდება თემები და მცირე ბიზნესმენები შესაბამისად, უფრო გაძლიერდნენ სუფთა ენერგიის მწარმოებლები. ამასთან, გერმანიაში განახლებადი ენერგიის წარმოების ხარჯები მინიმუმამდეა დაყვანილი ასევე, მას შეუძლია ტექნოლოგიების ტრანსფერი აშშ-სა და ჩინეთში.

**ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა ინდოეთში.** ინდოეთის ურბანული განვითარების სამინისტროს მიერ ხორციელდება სპეციალური პროგრამა, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაუმჯობესებაზე.

**მზის ენერგია ტუნისში.** ქვეყნის დამოკიდებულება გაზსა და ნავთობზე რომ შემცირებულიყო, ტუნისის მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განახლებადი ენერგიის განსავითარებლად. შეიქმნა ენერგიის მართვისე როვნული ფონდი, რომლის მთავარი მიზანია განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების შემუშავება და ეფექტურობის გაზრდა.

აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორების გამო ეს ქვეყნები ბევრად უფრო "მწვანე მეურნეობას" ახორციელებენ.

საქართველო 2020-ს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. ამავდროულად, მწვანე ზრდა წარმოადგენს იმის უზრუნველყოფას, რომ ეს აქტივები არშეწყვეტენ რესურსებისა და მომსახურების მოწოდებას, რასაც ჩვენი კეთილდღეობა ემყარება.

სადაო არ არის, რომ საქართველოს მრავალფეროვანი რესურსები გააჩნია, რათამწვანეენერგეტიკადანერგოსდამოსახლეობასუკეთესი, გაცილებითუსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა ენერგია შესთავაზოს. მწავნე ეკონომიკა გულისხმობს ქარის, მზის, ბიომასის და გეოთერმული ენერგიის ათვისებას, რაც გარემოს სიჯანსაღისთვის თავისთავად მნიშვნელოვანი პირობაა.(5.3) კვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოში 28 ე.წ. ქარის დერეფანია, 12 ადგილი კი მზის აქტივობის (ხანგრძლივობა და სიმძლავრე) მაღალი მაჩვენებულები ხასიათდება. სრულიად აუთვისებელ შეუსწავლელ რესურს წარმოადგენს საქართველოს მრავალ კუთხეში არსებული გეოთერმული წყლები და სხვა.

აუცილებელია ასევე საქართველოს ჩართულობა „ევროპის აღმოსავლეთ თანამშრომლობის ქვეყნების მწვანე ეკონომიკის“ პროგრამაში. რაც გულისხმობს მწვანე ზრდის პოპულარიზაციას აღმოსავლეთის თანამშრომლობის ექვს ქვეყანაში: აზერბაიჯანი, ბელარუსია, საქართველო, სომხეთი, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა. პროგრამა გულისხმობს მდგრადი განვითარების ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას განახლებადი ენერგიის წარმოებისა და მოხმარების ზრდის , ხოლო მის პარარელურად წვადი ენერგიის შემცირებას რაც თავიდან აგვაცილებს გარემოს დეგრადაციასა და მხოლოდ ჰიდრო რესურსების გამოყენების ამოწურვის საშიშროებას.(4)

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მწვანე ეკონომიკა არ არის აბსტრაქტული კონცეფცია, ის რეალობაა, რასაც სამუშაოა დგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდისაკენ მივყავართ. სუფთა ენერგიის გეგმის შემუშავებისას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კალიფორნიი შტატში 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა. როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროსაც კი მწვანე სექტორში სამუშაოა დგილები იქმნება.

როგორც მიმდინარე ტენდენციები აჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ. მწვანე ეკონომიკა არის 21-ე საუკუნის ბიზნეს შესაძლებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივადი ზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და მცირდება კიდეც, მწვანე ბიზნესის განხორციელება აქტუალურია ისე როგორც არასდროს.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ვკითხულობთ, საქართველოს მოქალაქეების "ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობა, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.“ ხოლო შემდეგ, ცალკე თავად არის აღნიშნული, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში,სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1) ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი. ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.bec.ge/images/doc/green%20economy.pdf

2) http://www.ubcce.org/docs/GIZ_Georgia_Strategy_geo.pdf

3) http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/01/Guide_2013_KG_FINAL.pdf

4) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ოფიციალური ვებ-მისამართი: http://moe.gov.ge/?sec_id=119&lang_id=GEO&project_id=85

5) ჟურნალი „ზეტი“. ოფიციალური ვებ-მისამართი: http://zeti.ge/menu_id/27/id/637/

# საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოსალოდნელი შედეგები - ეკონომიკური თავისუფლების მაღალი ხარისხის მიღწევის შესაძლებლობა

**ნინო ესიავა** - ბაკალავრიატი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველო აგრძელებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებას. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად უჭერს მხარს მის სახელმწიფოებრიობას, დემოკრატიის, თავდაცვის უნარიანობისა დ ათავისუფალი ეკონომიკის განვითარებას. ამერიკის შეერთებული შტატების უწყვეტი დახმარება საქართველოსათვის, რაც თანამშრომლობის სხვადასხვა პროგრამებით გამოიხატება.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2011 წლის 30 იანვარს, თეთრ სახლში ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობაზე ისაუბრა. ”ჩვენ გვსურს გავაზიაროთ სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის, თავისუალი ვაჭრობ, ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და მთავარია, ეს მომგებიანი იყოს ორივე ქვეყნისათვის.”

თავისთავად, ნებისმიერ ქვეყანასთან ”თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების” გაფორმება გარკვეულ დადებით შედეგზეა ორიენტირებული. მაგრამ, ისეთ ქვეყანასთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ასეთი დონის თანამშრომლობა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია.რომელიც უზრუნველყოფს იმ აუცილებელი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებას.

შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების პერსპექტივა სრულიად განსხვავებულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იმდენას განსაკუთრებულს, რომ სამსჯელოა უახლოეს მომავალში, რომელი პოლიტიკური ნაბიჯია უფრო მიღწევადი- ნატოში გაწერვიანება, ევროკავშირში შესვლა, თუ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება. სამივე სამიზნე თითქმის ერთნაირად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკურ ვექტორს და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

მაგრამ, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდგომ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ლიდერის (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა) განცხადების შემდგომ, რომ „უახლოეს პერიოდში ნატოს გაფართოება, ახალი წევრების მიღება არ იგეგმება" გარკვეულს ხდის მიმდინარე პერიოდში ქვეყნის უსაფრთხოების სხვა გზების ძიებისათვის. ამ მიმართებით კი, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება შეიძლება, განვიხილოთ, როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია.

ამდენად, ამერიკასთან "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების" გაფორმებას, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანი აქვს და განუზომელი ეკონომიკური მნიშვნელობაც გააჩნია. ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საქართველოს და ამერიკას შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდას გამოიწვევს. დღეს ეს ციფრი წლიურად საშუალოდ დაახლოებით, მხოლოდ 400მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება" ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს. ამ პირობებში საქართველოს ტერიტორია უკვე ბევრად საინტერესო ხდება ინვესტორებისათვის. პირველ რიგში ამერიკული და ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის მკვეთრად გაიზრდება ინვესტიციური კაპიტალის საქართველოში განთავსების შესაძლებლობები. ამასთან, სრულიად ახალი მონდომებითა და მოცულობით წარმოჩინდება მეზობელი ქვეყნების - სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი, აგრეთვე შუა აზიისა და აზიის ქვეყნების საინვესტიციო შესაძლებლობები, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა პროდუქცია ჩვენთან აწარმოონ და "თავისუფალი რეჟიმით" ამერიკულ ბაზარზე შეაღწიონ. სწორედ ამ ფაქტორთა გამო ამერიკასთან "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება" განსაკუთრებულ მნიშვნელობას და წონას იძენს. აღიარებული სახელმძღვანელოს -ეკონომიკის პრინციპები-ს ავტორი გრეგორი მენქიუ აღნიშნავს, რომ ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპია ის რომ "ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობა გააუმჯობესოს". ამისათვის კი საჭიროა ამა თუ იმ ქვეყანაში ბუნებრივ უპირატესობათა დანახვა, შეფასება და გამოყენება.

ექსპერტების აზრით, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება პროდუქტიული მაშინ არის, როდესაც ქვეყანაში ადგილობრივი წარმოებაა განვითარებული. მაგრამ დღეს და უახლოეს მომავალში ადგილობრივი კონკურენტუნარიანი ევროპული და ამერიკული

ხარისხისა და სტანდარტის პროდუქციის წარმოება, ინვესტიციებისა და ინოვაციური, ბრენდული, მაღალტექნიკური წარმოების გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ საქართველო კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანად იქცეს, ადგილობრივი წარმოება ევროპული და ამერიკული ბაზრის სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, რისთვისაც აუცილებელია ახალი ტექნოლოგიები და შესატყვისი კაპიტალი. რისი მოზიდვაც თვით თავისუალი ვაჭრობის ხელშეკრულების არსიდან და შინაარსიდან გამომდინარეობს, როცა წარმოებული საქონლი ბევრად იაფი ჯდება და როცა იგივე პროდუქტი მსყიდველუნარიან მოსახლეობაზეა გათვლილი ამ შემთხვევაში ამერიკა და ევროპა უკონკურენტოა.

წინასწარ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მიმართ, ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მთავარი მოთხოვნა ეს სტანდარტები იქნება. ქართული პროდუქტი, თავისი სტანდარტებით, დღეს ძირითადში მხოლოდ დსთ-ს, აზიური და ლათინო-ამერიკულ ქვეყნების, პანამა, ტრინიდადი და ისეთი ტიპის ქვეყნების მოთხოვნებს შეესაბამება, სადაც მსგავსი ტიპის მოთხოვნები, ჯერჯერობით, არ არსებობს. სხვა ბაზრებზე თავის დასამკვიდრებლად კი, როგორც ტექნოლოგიურად, ასევე ხარისხობრივად და სხვა ბევრი პარამეტრით ამერიკული ბაზრის მოთხოვნებს, რომ მიუახლოვდეს - ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს.(1.67)

აშშ- საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მნიშვნელობისა და შედეგების გასააზრებლად კარგი მაგალითია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილო-ამერიკული შეთანხმება (NAFTA). მარტივად ეს ამერიკის, კანადისა და მექსიკის თავისუფალი სავაჭრო ზონაა, ხელშეკრულება 1992 წელს გაფორმდა. პირველივე შედეგები ძალზე შთამბეჭდავი იყო. 1993-1997 წლებში 2.5 ჯერ გაიზარდა საქონელბრუნვა მექსიკასთან, 2-ჯერ კანადასთან. ამავე დროს მკვეთრას გაიზარდა ამერიკული ინვესტიციების მოცულობა მექსიკაში და პირველივე წელს 140 მილიარდი დოლარი შეადგინდა, შემდგომ წლებში ყოველწლიურად 100 მილიარდზე მეტი, რომელთა უმრავლესობა ამერიკული ბრენდული საწარმოების აშენებას მოხმარდა. ერთის მხრივ ამერიკული ფირმების მხრიდან მსხვილმა ფინანსურმა და ტექნოლოგიურმა ინვესტიციებმა და მეორე მხრივ მექსიკის ადგილობრივი ნედლეულის და მუშახელის

გამოყენებით შექმნილი პროდუქცია სრულფასოვან კონკურენციას უწევს მსოფლიო ბაზარზე იაპონურ და ევროპულ საქონელს.

ეს მაგალითი (თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული შეთანხმება), საქართველოს მნიშვნელოვნად წაადგება. ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილება საქართველოსთან მიმართებაშიც უნდა იქნეს გამოყენებული.

აშშ პარტნიორებს სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად რამდენიმე ნიშნით არჩევს. კანადა და მექსიკა სწორედ ამის მაგალითია. მაგრამ მსგავსი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისათვის სრულიად არაა აუცილებელი ტერიტორიული სიახლოვე. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ - 1934 წელს, ამერიკაში გაჩნდა ტერმინი "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ქვეყანა". სწორედ აღნიშნული ცნება განსაზღვრავდა შეერთებული შტატების საგარეო სავაჭრო პოლიტიკას. არსი შემდეგი გახლდათ - შეერთებულ შტატებს სჭირდებოდათ იმ ქვეყნების წახალიხება, რომლებიც მისი პოლიტიკურად სრატეგიული პარტნიორები იყვნენ. ასევე თუ კი, აშშ აშკარად გრძნობდა, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობდა და ამერიკისთვის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობდა, მათან წახალისების მიზნით აფორმებდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. დღეს საქართველოს მწორედ ამ ჭრილში განიხილება.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მარტივად არ ფორმდება. მის მომზადებას წინ უძრვის გრძელვადიანი მოლაპარაკებების პროცესი, როდესაც მხარეები ერთმანეთს რეგულაციების შესახებ კონკრეტული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნებს აყალიბებენ. მაგ: ევროკავშირმა საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავსუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკება 6 წლის წინ დაიწყო, ქართულ მხარეს რამდენიმე მთავარი რეკომენდაცია მიეცა საკანონმდებლო გარემოსა და სახელმწიფო ინსტიტუციების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის, სურსათის უსაფრთხოების, ვაჭრობის საკითხებზე ევროპული ნორმების შესაბამისი კანონმდებლობის მიღების და სხვათა თაობაზე. აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეერთებული შტატები და ევროკავშირი ცდილობენ ერთმანეთს სრულიად დაუახლოვონ სტანდარტები. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის რეკომენდაციები სრულიად შეესაბამება ამერიკის მოთხოვნებს.

რამდენადაც აშშ დაინტერესებულია ძირითადში ითანამშრომლოს მხოლოდ ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ამ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებენ. ამიტომ ჩვენი ქვეყნის 6 წლიანი უკვე განვლილი გამოცდილება ევროკავშირთან საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში დააკმაყოფილოს ევროკავშირის სავაჭრო და სხვა შესაბამისი სტანდარტები ადეკვატურად და სასიკეთოდ უნდა აისახოს აშშ-სთან ურთიერთობაშიც და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შედარებით მოკლე ვადებში გაფორმებაშიც დაეხმარება.

თავად ის ფაქტი, რომ ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება რეალობა გახდეს ძალზედ დადებითია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აშშ- სთან ისედაც აქვს პრეფერენციული რეჟიმი, რომელიც 1200 დასახელების პროდუქციის ექსპორტზე, რაც არც თუ ისე ნაკლებ შეღავათიან რეჟიმს გულისხმობს. მაგრამ საექსპორტო პროდუქციის სტანდარტის შეუსაბამობის გამო ამ შეღავათის გამოყენება ვერ ხდება. 2014 წლის წინასწარი მონაცემებით საქართველოდან აშშ-ში 160 მილიონ დოლარამდე ღირებულების პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა, მაგრამ მოცულობა და საქონლის დასახელებათა არეალი მაინც ძალზე მწირია.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები რამდენიმე ქვეყანასთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი,რუსეთი, თურქეთი.) აქვს გაფორმებული. ამის მიუხედავად 2014 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 5 735 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებების არსებობის მიუხედავად, საექსპერტო პროდუქციის სიმწირისა და ე.წ მოთხოვნადი საქონლის არასტანდარტულობის გამო მსოფლიო ბაზარზე გატანა ვერ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის თითქმის სრულმაშტაბიანი ხელშეკრულება მოქმედებს ამ რეჟიმით 2014 წელს მხოლოდ 239 მლნ. აშშ დოლარის პროდუქცია გავიდა, საერთო ექსპორტის მხოლოდ 9% - ზე ცოტა მეტი. აღნიშნული კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ თურქეთთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ ჯერჯერობით სათანადო ეფექტი ვერ მოგვცა. ამასთან ამავე ქვეყნიდან იმპორტის მოცულობა 1727 აშშ დოლარს უტოლდება. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 1488 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც ყველაზე მაღალია ჩვენს სავაჭრო პარტნიორ

ქვეყნებს შორის. რეალურად, მსხვილი თურქული ინვესტიციები, მხოლოდ გრძელვადიან ენერგეტიკის სექტორში ხორციელდება და ხელშესახები საექსპორტო ქართული პროდუქციის შექმნას ხელი არ ეწყობა. ამასთან გასათვალისწინებელია, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებში კონკურენცია დაუნდობელი და გარკვეულწილად "აგრესიულიც" იქნება. ქართველ მეწარმეებს "პაექრობა" მოუწევთ ბიზნესში კარგად გარკვეულ და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე საწარმოებთან, რომლებიც ისედაც შესულნი არიან ამერიკულ ბაზარზე და სრულად აქვთ ათვისებული საკუთარი ქვეყნის წარმოებითი პოტენციალი და იმაზე მეტი პროდუქციის შეტანის შესაძლებლობები არ გააჩნიათ. ასეთ პირობებში ეს კომპანიები ინვესტიციებით, თავიანთი ბრენდული საწარმოებით შედიან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მქონე ქვეყნებში და იქ წარმოებული პროდუქციით ზრდიან საკუთარი პროდუქციის მოცულობას ამერიკასა და ევროპის ბაზარზე. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, თუ ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა იგივე თურქული ბიზნესის დაინტერესება - საქართველოს მეშვეობით, ამერიკის ბაზარზე შესაღწევად და საქართველოში საექსპერტო საქონლის ერთობლივი წარმოებითი პოტენციალის შესაქმნელად რამდენჯერმე გაიზრდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ-ში ქართული პროდუქცია, რომ შევიდეს საექსპორტო საქონელმა საერთაშორისო აღიარების მქონე სასერტიფიკაციო ცენტრებში სერტიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს და ჰარმონიზებული სტანდარტები დაინერგოს. რასაც ბუნებრივია დრო და შესაბამისი კადრების მომზადებაც სჭირდება.

დღეს საქართველოში მოქმედი საწარმოების ძირითადი ნაწილი შიგა მოხმარების ბაზარზეა ორიენტირებული. საექსპერტო საქონლის შექმნა, სათანადო გამოცდილების არქონის და სხვა მიზეზთა გამო, მათთვის ჯერ კიდე ბევრ სირთულეებთანაც ასოცირდება. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა აღნიშნოთ, რომ " ქართული პროდუქცია" ევროპულ ბაზარზე დღესაც, საკმაოდ სერიოზული პრეფერენცირების სისტემით სარგებლობს. 10000 სატარიფო პოზიციიდან, რომელთაც ევროკავშირის ერთიანი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს, დღეს 9300 დასახელების პროდუქცია, საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში, გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. მათგან 2100 სასაქონლო კატეგორიაზე ტარიფები, ქვეყნისთვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ადრე მინიჭებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ფარგლებში გაუქმდა. 7200 დასახელების

პროდუქციაზე კი - ევროკავშირის მიერ 2005 წლიდან დაწესებული პრეფერენციების განზოგადებული სისტემის დამატებით სატარიფო დათმობის ფორმატში (GSP+) არის განსაზღვრული, მაგრამ რეალური საექსპორტო საქონლის მოცულობა ძალზე მცირეა, (2.69)

აღნიშნული ვითარების გასწორებას რამდენიმე წელი და სერიოზული ინვესტიციის მოძიება დასჭირდება. სერიოზული ინვესტიცია კი რალურად, მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებთან თავისული სავაჭრო ხელშეკრულებით მიიღწევა. სწორედ ამიტომ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო სტრატეგიულ მიზნად უნდა იქცეს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები. თბ. 2012 წ.
2. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული #2 - თბ. 2012წ.
3. 2. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული #2 - თბ. 2012წ.
4. www. economy.ge - საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014 წელს.

# საქართველოს ეკონომიკური და საკუთრებითი თავისუფლება, გამოწვევები და პრობლემები

**გიორგი ხარშილაძე** - დოქტორანტი,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ქვეყანა ეკონომიკურად თავისუფლად ითვლება, თუ არ ზღუდავს ინდივიდუალურ არჩევანს, ნებაყოფლობით გაცვლას, კონკურენციის თავისუფლებას. აუცილებელი პირობას კი კერძო საკუთრების დაცვა წარმოადგენს.

ტერმინ **„საკუთრებაში"** უნდა ვიგულისხმოთ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში არსებული ობიექტური კავშირების სისტემა, რომელიც პირველ რიგში წარმოების საშუალებების და მოხმარების საგნების მითვისებას ახასიათებს და წარმოების ორგანიზაციის, სამუშაო ძალის წარმოების საშუალებებთან შეერთების ხასიათს განაპირობებს.

ყოველი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია მნიშვნელოვანწილად მისთვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმებით განსხვავდება. საწარმოო ძალების ამა თუ იმ დონეს შეესაბამება სათანადო ეკონომიკური ურთიერთობები. ამ ურთიერთობებში კი გადამწყვეტი საკუთრებითი ურთიერთობებია. საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში საკუთრებითი ურთიერთობები, მათი სტრუქტურა და ხასიათი იცვლებოდა მრავალფეროვანი ფაქტორების ზეგავლენით, იქნებოდა ეს დოვლათის შექმნა კვლავწარმოება, პოლიტიკური რევოლუციებით თუ საკანომდებლო აქტებით. ამ ცვლილების შედეგად საკუთრება იღებდა იმ ფორმებს რომლებიც წარმოების საზოგადოებრივ წესს შეესაბამებოდა, ახალი ურთიერთობების განმტკიცება კი სათანადო საკანომდებლო აქტებით ხდებოდა. სწორედ კანონმდებლობა ამყარებს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს ცალკეული პირების, ჯგუფების ან მთლიანად საზოგადოების კუთვნილებაში არსებული ქონების ფლობის, სარგებლობის თუ განკარგვის ურთიერთობებს ადამიანებს შორის. ამის შედეგად საკუთრების რეალურად არსებული საკუთრებითი ურთიერთობები იურიდიული ურთიერთობის ფორმებს იღებს, ხოლო სუბიექტებს გარკვეული უფლებები გააჩნიათ.

ეკონომიკური მეცნიერება საკუთრებას განიხილავს წარმოების მოწყობისა და მისი შედეგბის მითვისებას (განაწილებას) ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით. ეს ურთიერთობები იურიდიული თვალსაზრისით საკუთრების (მესაკუთრის) უფლებაა. ამრიგად, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საკუთრება როგორც (რეალური) ეკონომიკური ურთიერთობა და (ფორმალური) იურიდიული უფლება.

**საკუთრების (რეალური) ეკონომიკური ფორმა** მისი არსებობის ობიექტური სახეა. იგი იქმნება საწარმოო ძალების განვითარების გარკვეულ საფეხურზე და იცვლება ამ უკანასკნელის განვითარების შესაბამისად. საკუთრების ეკონომიკური ფორმის შინაარსი პირველ ყოვლისა ადამიანის მიერ ბუნების მითვისების საზოგადოებრივი ფორმაა. ბუნების მითვისება საფეხურებრივი ხასიათისაა და გამოიხატება შემდეგი ეკონომიკური კატეგორიებით: მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა (სრული საკუთრება) და მითვისება.

საკუთრების რეალიზაციის ასპექტები – მფლობელობაში სარგებლობა და განკარგვა ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების მატერიალურ საფუძველს ქმინს და გამოცალკევდება როგორც რეალური ეკონომიკური ურთიერთობები. შემდგომში ეს საფეხურებრივი კატეგორიები იურიდიულ ასპექტებში პოულობენ ასახვას, იურიდიულ კატეგორიებად იქცევიან და კანონების მეშვეობით აწესრიგებენ ადამიანთა ეკონომიკურ ურთიერთობებს.

**საკუთრების იურიდიული (ფორმალური) სახე** ობიექტური მოვლენაა და იმ ობიექტური რელობის ასახვაა რინეკუს დამახასიათებელია საკუთრების ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემისთვის. საკუთრების იურიდიული (ფორმალური) სახე კანონმდებლობით ყალიბდება. საზოგადოება გარკვეული კანონების მეშვეობით აწესრიგებს საზოგადოებრივი წარმოების რეალურ პროცესს. საკუთრების იურიდიული სახე გამოხატულებას პოულობს საკანომდებლო გადაწყვეტილებებსა და აქტებში. იურიდიულ-ნორმატიული აქტები არეგულირებს საკუთრების:

1. **ფლობას** – საკუთრებაში ფლობა ნიშნავს, რომ ესა თუ ისე წარმოების საშუალებები, საწარმო, ქონება ამა თუ იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირს ეკუთვნის და არა სხვას (სხვას ამ საკუთრებაზე უფლება არა აქვს თუ ისიც მესაკუთრე არ არის)
2. **გამოყენებას (სარგებლობას)** – საკუთრების გამოყენება ნიშნავს, რომ მფლობელი ქონებას (საკუთრებას) იყენებს თავისი შეხედულებისამებრ;

3. **განკარგვას** – საკუთრების განკარგვა შეიძლება ითქვას უმაღლესი უფლებაა, როდესაც მესაკუთრეს თავისი სურვილისამებრ შეუძლია გაასხვისოს (გაყიდოს, გააჩუქოს) საკუთრება.

საკუთრების ეკონომიკური ფორმა წარმოიშობა და არსებობს ადამიანთა ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, მისი იურიდიული უფლება კი განსაზღვრულია საკუთრების ფორმით, მაგრამ დამოუკიდებელია ადამიანთა ცნობიერებისგან. საკუთრების ეკონომიკური ფორმა პირველადია, ხოლო მისი იურიდიული უფლება – წარმოებული. ამიტომ ეს უკანასკნელი პირველს უნდა ასახავდეს. ეს არის ერთიანობის ორი მხარე და ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს.

საკუთრების უფლება არის ცალკეული პირის, ჯგუფის ან სახელმწიფოს ნებასურვილის შესაბამისად მის საკუთრებაში არსებულია წარმოების საშუალება თუ სხვა ქონების გამოყენების უფლება. შაკუთრების უფლება მოიცავს ქონების ფლობას, განკარგვას რაც აისახება იურიდიულ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში. საკუთრების უფლებაში უპირველესად იგულისხმება რესურსების გამოყენების კონტროლისა და მისი გამოყენების დროს წარმოქმნილი ხარჯებისა და სარგებლობის განაწილების უფლებები.

საკუთრების მითვისება ისეთი ფორმაა, რომელიც თავისთავში გულისხმობს გასხვისების შესაძლებლობას. მფლობელობა მოიცავს სარგებლობას, როგორც დაქვემდებარებულ მარტივ მომენტს. ანალოგიურად, საკუთრებაც დაქვემდებარებულ მომენტებად მოიცავს მფლობელობას და განაწილებას. ამრიგად, მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა ან სრული საკუთრება მითვისების ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ფორმებია.

დღევანდელ ცვალებად სამყაროში ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას ორი დამოუკიდებელი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია – Heritage Foundation და Fraser Institute ზომავს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება გარკვეულწილად შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუმცა ეს არ ეხება საქართველოს, რომელიც ორივე ორგანიზაციის რეიტინგში სტაბილურად წინ მიიწევს.

ამ ორი ორგანიზაციის კვლევის მეთოდოლოგია ერთმანეთისგან განსხვავდება. Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 10 ტიპის თავისუფლებას ცნობს: ბიზნესის, ვაჭრობის, მონეტარული, ფისკალური, საინვესტიციო, ფინანსური, შრომის თავისუფლება, კორუფციისგან თავისუფლება, საკუთრების უფლებების დაცვა და მთავრობის ზომა. თითოეული ფასდება 0 – 100 შკალით, სადაც 100 ქულა მაქსიმალურ

თავისუფლებას ნიშნავს. Fraser Institute-ის კვლევა ეყრდნობა 42 სხვადასხვა საზომს და 5 კომპონენტს – მთავრობის ზომა; საკანონმდებლო სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცულობა; ჯანსაღი ფულის მისაწვდომობა; საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; კრედიტის, შრომის და ბიზნესის რეგულირება. კომპონენტები იზომება 1 – 10 შკალით, უფრო მაღალი ქულა მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას ნიშნავს.

Fraser Institute 2014 წლის კვლევაზე „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება: 2014 წლის ანგარიში" მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს 2012 წელს 152 ქვეყანას შორის 16-ე, ხოლო ევროპის 40 ქვეყანას შორის მე-10 პოზიციას ანიჭებს საერთო რეიტინგით 7,73 რაც 2011 წელთან შედარებით მსოფლიო მასშტაბით 9 ადგილით გაუმჯობესებას ნიშნავს. საქართველოს ქულები გაუმჯობესდა შემდეგ 4 კომპონენტში: მთავრობის ზომა – 7.11 (გაუმჯობესდა 0.35 ქულით); სამართლებრივი სტრუქტურა & საკუთრების უფლების დაცვა – 5.77 (0.09 ქულით); მყარი ვალუტა – 9.17 (0.14 ქულით); რეგულაციები – 8.15 (0.07 ქულით). საქართველოს ქულა უმნიშვნელოდ შემცირდა 1 კომპონენტში, კერძოდ საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება – 8.45 (შემცირდა 0.07 ქულით).

Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" 2015-ის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 73.0 ქულა შეადგინა. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი" სტატუსით. 2014 წელს, საქართველო 22-ე ადგილს იკავებდა 72.6 ქულით. 2015 წლის შეფასებით, საქართველო, ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს იკავებს.

საქართველოს რეიტინგი ინდექსის 10-დან 7 კომპონენტშია გაუმჯობესებული, ხოლო 4 კომპონენტში გაუმჯობესდა როგორც სარეიტინგო ქულა, ასევე პოზიციები. საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია შემდეგ 7 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება. საქართველოს ქულები (ისევე როგორც რეიტინგი) გაუმჯობესებულია შემდეგ 4 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება. კვლევის მიხედვით, საქართველოს

სარეიტინგო მდგომარეობა მხოლოდ 1 კომპონენტში - შრომის თავისუფლება 11.3 ქულით შემცირდა და მე-5-დან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა (79.9 ქულა).

მიუხედავად იმისა, რომ „ფისკალური თავისუფლების" კომპონენტში საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.1-ით შემცირდა, სარეიტინგო ადგილი 5 პოზიციით გაუმჯობესდა და 34-ე ადგილი დაიკავა 87.2 ქულით. Heritage Foundation-ის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ქულები უცვლელი დარჩა, საქართველოს რეიტინგი 2 კომპონენტში - ვაჭრობის თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება - გაუმჯობესდა. 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო ვაჭრობის თვისუფლების კომპონენტში, 178 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია და მე-7 ადგილს იკავებს.

ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს სარეიტინგო ქულა 2.6-ით გაუმჯობესდა, ხოლო ინდექსის 5 კომპონენტში - კორუფციისგან თავისუფლება, სამთავრობო ხარჯების კონტროლი, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება და საინვესტიციო თავისუფლება საქართველოს მდგომარეობა სტაბილურად უმჯობესდება.

საქართველო ეკონომიკურად მოსაზღვრე ქვეყნებზე უფრო თავისუფალიცაა. Heritage Foundation-ის თანახმად, საქართველოს ინდექსი მეზობელი ქვეყნების ინდექსებზე საშუალოდ 11,6 პუნქტით მეტია: სომხეთის ინდექსს (67.1) 5,9 პუნქტით, აზერბაიჯანის ინდექსს (61,0) 12,0 პუნქტით, რუსეთის ინდექსს (51.1) 21.9 პუნქტით, თურქეთის ინდექსს (63.2) 9,8 პუნქტით აღემატება. Fraser Institute-ის თანახმად, საქართველოს ინდექსი ხსენებული ქვეყნების ინდექსებზე საშუალოდ 0.78 პუნქტით მეტია: სომხეთის ინდექსს (7.72) 0.01 პუნქტით, აზერბაიჯანის ინდექსს (6.39) 1.34 პუნქტით, რუსეთის ინდექსს (6.65) 1.08 პუნქტით, თურქეთის ინდექსს (7.03) 0.70 პუნქტით აღემატება. საკუთარ რეიტინგში საქართველოს წინსვლას ორივე კვლევა ერთნაირად ხსნის. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში მსოფლიოს მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველომ არ მიმართა საკრედიტო ექსპანსიას და რეგულირების მცდარ პოლიტიკას. Heritage Foundation-ის თანახმად, ქვეყანამ საკუთარი ინდექსი თავისუფალი ვაჭრობისა და კორუფციასთან ბრძოლის შედეგად გააუმჯობესა. თავისუფალი ვაჭრობის მხრივ, საქართველოს მაჩვენებელი (88.6) მეტია როგორც მსოფლიო საშუალო (75.4), ისე მეზობელი ქვეყნების ინდექსებზეც. საქართველოში ვაჭრობა მსოფლიოსთან შედარებით, საშუალოდ 13.2

პუნქტით უფრო თავისუფალია. სომხეთს (85.4) 3.2 პუნქტით, აზერბაიჯანს (76.0) 12,6 პუნქტით, რუსეთს (75.0) 13.6 პუნქტით, თურქეთს (84.6) 4,0 პუნქტით აღემატება.

მიუხედავად კორუფციასთან ბრძოლისა, საქართველოსთვის ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა რჩება. 1996-2012 წლებში საქართველოს კორუფციასთან ბრძოლის ინდექსი ჩამორჩებოდა მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს. სიტუაცია გამოსწორებდა მოყოლებული 2012 წლიდან, შესაბამისად უკვე 2015 წლისთვის იგი უკვე 7,1 პუნქტით აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს (41,9). მეზობელი ქვეყნებიდან, საქართველოზე მეტი მაჩვენებელი მხოლოდ თურქეთშია (50). საქართველო სომხეთთან შედარებით (36) 13, აზერბაიჯანთან შედარებით (28) 21, რუსეთთან შედარებით (28) 21 პუნქტით უფრო თავისუფალია.

Fraser Institute-ის თანახმად, პოზიციის გამყარება ეკონომიკური აქტივობის დერეგულაციის, ბიზნესის დაწყების გაადვილების, შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციისა და საზღვრის გადაკვეთის პროცედურების გამარტივების შედეგია. კრედიტის, შრომისა და ბიზნესის რეგულირების მხრივ, საქართველო (8,15) ყველა მეზობელთან შედარებით უფრო თავისუფალია: სომხეთი (7,63) 0,52 პუნქტით, აზერბაიჯანი (7,15) 1,0 პუნქტით, რუსეთი (6,80) 1,35 პუნქტით, თურქეთი (6.39) 1.76 პუნქტით ჩამორჩება. კიდევ უფრო თავისუფალი ვაჭრობის მაჩვენებლი. კერძოდ: საქართველოს მაჩვენებელი (8,50) სომხეთის მაჩვენებელზე (7,3) 1.2 პუნქტით, აზერბაიჯანის (6.80) 1.7 პუნქტით, რუსეთის (6,0) 2,5 პუნქტით, თურქეთის მაჩვენებელზე (7,2) კი 1.3 პუნქტით მეტია.

ორივე კვლევა საქართველოს მთავარ ნაკლად საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიიჩნევს. Heritage Foundation-ის თანახმად, ქვეყნის მაჩვენებელი (40.0) მსოფლიო საშუალოზე (42.2) 2.2 პუნქტით ნაკლებია. მეზობელი ქვეყნებიდან საკუთრების უფლებების დაცვის მხრივ უკეთესი მდგომარეობა მხოლოდ თურქეთში (45). საქართველოს საკუთრების უფლებების დაცვის მხრივ ჩამორჩება, სომხეთს, აზერბაიჯანს და რუსეთს. სამივე ამ ქვეყნის საკუთრების მაჩვენებელი იდენტურია და 20 პუნქტით განისაზღვრა. Heritage Foundation საკუთრების უფლებების დაცვის მხრივ მთავარ პრობლემად სასამართლო სისტემის გაუმართაობასა და მისადმი ნაკლებ ნდობას ასახელებს. განსაკუთრებით დაუცველად კი კერძო და ინტელექტუალურ საკუთრებას მიიჩნევს.

Fraser Institute-ის თანახმად, საქართველოს მაჩვენებელი (4,01) ყველა მეზობელ ქვეყანასთან შედარებით დაბალია: სომხეთს (5.93) 1.92 პუნქტით, აზერბაიჯანს (4,96) 0,95

პუნქტით, ხოლო თურქეთს (6,13) 2,12 პუნქტით ჩამორჩება. ერთადერთი ქვეყანა რომელსაც ქვეყნის მაჩვენებელი აღემატება რუსეთია (3,39) 0,62 პუნქტით. Fraser Institute ამ შედეგს შესაბამისი ინსტიტუტების არარსებობით ხსნის და მიიჩნევს, რომ ლიბერალიზაციასთან ერთად, ქვეყანამ მიღწეულის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად, ინსტიტუტები უნდა აშენოს. მთავარ პრობლემებად სასამართლოს დამოუკიდებლობას, მიუკერძოებელი განაჩენის გამოტანის პრაქტიკასა და სასამართლოზე ზეწოლას ასახელებს.

გამოვლინდა სამი საერთო ტენდენცია: ქვეყნების უმეტესობამ გლობალური კრიზისის საპასუხოდ თავისუფალი ბაზრის რეგულირების გზა აირჩია. ეკონომიკურ აქტივობაში მთავრობების ჩარევის ფონზე, ეკონომიკური თავისუფლება გლობალურად შემცირდა. ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევა მთავრობის ზომის ზრდის ხარჯზე არაეფექტიანი აღმოჩნდა.

ორივე კვლევით დასტურდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მეტი ეკონომიკური თავისუფლებაა, მშპ ერთ სულზე უფრო მაღალია. ასეთ ქვეყნებში ადამიანები სარგებლობენ მეტი ინდივიდუალური თავისუფლებით, უფრო ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით და დასაქმების მეტი შანსით. ასეთ ქვეყნებში გარემოსდაცვითი პრობლემები და მკვლელობების რიცხვიც ნაკლებია. ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს დემოკრატიულ მმართველობას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge
2. Frazer Institute - “Economic Freedom of the World: 2014 Annual Report” by James Gwartney, Robert Lawson, & Joshua Hall with the assistance of Ryan Murphy with Fred McMahon, Indra de Soysa, and Krishna Chaitanya Vadlamannati
3. The Heritage Foundation “2015 Index of Economic Freedom”
4. http://www.freetheworld.com/2014/EFW2014-POST.pdf
5. http://www.heritage.org/index/visualize

# ეკონომიკური თავისუფლება და უმუშევრობა

**ანა მიქაბერიძე** - ბაკალავრიატი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების და საბაზრო პრინციპების დანერგვისათვის მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის ყველა ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება. შრომის ბაზრის ჩამოყალიბება და მისი გამართული მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის განვითარებისთვის. საყოველთაოდ ცნობილია - საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია – ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

გასაკვირია, მაგრამ Heritage Foundation **„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2**015წ-ის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 73.0 ქულა შეადგინა. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. 2014 წელს, საქართველო 22-ე ადგილს იკავებდა 72.6 ქულით. ხოლო ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის საქართველო 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს იკავებს. ამასთან, საქართველოს რეიტინგი ინდექსის 10-დან 7 კომპონენტშია გაუმჯობესებული, ხოლო 4 კომპონენტში გაუმჯობესდა როგორც სარეიტინგო ქულა, ასევე პოზიციები. საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია: კორუფციისგან თავისუფლების, ფისკალური თავისუფლების, მთავრობის დანახარჯების, ბიზნესის თავისუფლების, მონეტარული თავისუფლების, ვაჭრობის თავისუფლების და ფინანსურითავისუფლების რეიტინგებში. ასევე, საქართველოს ქულები (ისევე როგორც რეიტინგი) გაუმჯობესებულია შემდეგ 4 კომპონენტში: კორუფციისგან თავისუფლება, მთავრობის დანახარჯები, ბიზნესის თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაღალი მაჩვენებელი თითქოს და მეტყველებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე და მიმზიდველს ხდის მას ბიზნესის დასაწყებად. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების

მაღალ და სტაბილურ შესაძლებლობებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, საქართველოში არსებული უმუშევრობის პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე და ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურულ უმუშევრობაზე დაყრდნობით რეალურად, უმუშევრობის მაღალი დონის მაჩვენებლები ნათელს ქმნის კვლევის მონაცემთა აშკარა შეუსაბამობას.

კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მხოლოდ 1 კომპონენტში - შრომის თავისუფლება 11.3 ქულით შემცირდა და მე-5-დან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა (79.9 ქულა).

ვფიქრობ უმუშევრობის პრობლემური მაჩვენებლები საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგებითაც დასტურდება. სახელმწიფომ ამ პრობლემის ძირეული კვლევის შედეგად გრძელვადიან იშედეგის მომტანი პროგრამები უნდა შეიმუშაოს.

სამუშაო იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები ხშირად იმეორებენ სიტყვებს: ,,უმუშევრობას ყველაფერი სჯობს, ყველანაირი სამუშაო'', - ამ სიტყვებით აჯერებენ თავს და ცხოვრობენ რთულ სამუშაოსთან ერთად: დილით იღვიძებენ, უფრო სწორედ, მაღვიძარა აღვიძებთ, ემზადებიან, რამდენიმე წამით იტაცებთ ლურჯი ცა, მერე გადაჭედილი ტრანსპორტით მგზავრობა, ღიმილით შედიან ოფისში და კარის გაღებასთან ერთად ხვდებიან, რომ დაიღალნენ და ამიტომ კიდევ უფრო სჭირდებათ ღიმილი, საღამოს სახლში ბრუნდებიან დაღლილები... არაფრის თავი აღარ აქვთ. ვიყოთ რეალისტები, გარკვეულწილად ყველა სამუშაოს თან სდევს მოწყენილობა და დაღლილობა. მაგრამ სამუშაო ადამინების თვით გამოვლენის საშუალებაა და როგორც ფსიქოლოგიის დოქტორი, ლინჰაგანი იტყოდა ,,ადამიანებს გვახასიათებს საკუთარი თავის გაიგივებ ასამუშაოსთან. ეს ჩვენი ცხოვრების იმდენად განუყრელი ნაწილია, რომ მისი დაკარგვის შემთხვევაში, თავს ცუდად ვგრძნობთ''...

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას თუ დავესესხებით, ადამიანი უმუშევარია, თუ ის ოთხკვირიანი აქტიური ძებნის მიუხედავად სამუშაოს ვერ პოულობს. უმუშევრობის დონეს ციკლურობა ახასიათებს და მჭიდროკავშირშია ზოგად ეკონომიკურ ციკლთან. თუმცა სხვა ფაქტორებიც ახდენს მასზე გავლენას, როგორებიცაა, მაგალითად, შრომითი ბაზრის კურსი და დემოგრაფიული განვითარება.

საქართველოში უმუშევრობა მწვავე პრობლემა დრჩება 1991 წლიდან, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს იმას, რომ უმუშევრობა არის უმთავრესი პრობლემა ქართული

საზოგადოებისათვის სიღარიბესთან ერთად. მიუხედავად ამისა,ეკონომიკური პოლიტიკა არ პასუხობს ამპრობლემას ადეკვატურად. მთლიანი შიდა პროდიქტის ზრდა არ იწვევს უმუშევრობის შემცირებას. უფრო მეტიც, ამის საპირისპიროდ უმუშევრობა იზრდება პარალერულად იმისა, რომ თითქოს გავრცელებული ცნობებით საქართველოში ეკონომიკა განვითარების პროცესშია. უმუშევრობის პრობლემა მრავალგანზომილებიანია, მათ შორის იგი შეიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: დასაქმების პოლიტიზირება, ასაკობრივი დისკრიმინაცია, არასწორი საკანონმდებლო ბაზა და პროფკავშირების ინსტიტუციონალური სისუსტე, უფრო სწორად „ჩანასახურ, უმწეო" მდგომარეობაში ყოფას. აგრეთვე, სტრუქტურულ პრობლემებს რაც უკავშირდება: განათლების პოლიტიკა, ლიბერტარიანული მიდგომები, გაბატონებისა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის უარყოფა, გლობალიზაციის გავლენა,ფინანსური კრიზისი და ა.შ. ეკონომისტები თვლიან, რომ უმუშევარი ადამიანი გამოუყენებელი სამუშო ძალაა და მისი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდ ადამატებითი პროდუქციის წარმოება. შესაბამისად, ისინი ითვლიან ეგრეთწოდებულ გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს, ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. მოკლედ თუ ვიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომისტთა აზრით, უმუშევრობა მხოლოდ უმუშევარს არ აზარალებს. ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს. ეს მონაცემი, სხვათაშორის, საქართველოს მაგალითზეც დასტურდება. გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგადაც. განვითარებულ ქვეყნებში, და ზოგ განვითარებადშიც, ხარჯი კიდევ უფროი ზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხარჯისგან თავი იმთავითვე გაითავისუფლა _ კომპენსაციაზე უარი თქვა. ამიტომ, თუ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს _ ვერ გამოშვებულ პროდუქტსა და ვერ გადახდილ გადასახადს არ ჩავთვლით, დღეს საქართველოში უმუშევრობის ძირითადი ტვირთი ისევ თავად უმუშევრებს აწვება - მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესირებს. ამავე დროს, უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს. ამ ყველაფერს კი უმუშევრობის ფსიქოლოგიურ ხარჯებთან მივყავართ, რომელსაც უმუშევარი ხალხი და მათი ოჯახები იმსტრესის სახით განიცდიან, რასაც ეკონომიური გაჭირვება და

შემოსავლის დაკარგვა იწვევს. ასევე უმუშევრობის ცალკეული და სოციალური შედეგებია: ფინანსური გაჭირვება და სიღარიბე, ვალი, უსახლკარობა და სტრესი, ოჯახური დაძაბულობა და ოჯახის დანგრევა, დეპრესია, გაუცხოება, სირცხვილი და სტიგმა, დანაშაული, თავდაჯერებულობისა და საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვა, სამუშაო უნარების დაქვეითება და ჯანმრთელობის გაუარესება. უმუშევრობის ხანგრძლივობასთან ერთად ეს შედეგები მწვავდება. ზოგადად, უმუშევრობის სოციალური ხარჯი შედგება ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხარჯების ჯამისგან. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაულის, ძალადობის, ნარკომანიის და სხვა სოციალური პრობლემების ზრდა აღინიშნება. ეს ხარჯები, ზოგადად, საზოგადოებას აწვება, ვინაიდან ამ პრობლემებთან გასამკლავებლად სახელმწიფო მეტ თანხებს ხარჯავს. მაგალითად: კრიმინალთან საბრძოლველად მეტი პოლიციელის დაქირავებისთვის. ან მეტი ფულის დახარჯვ აუწევს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფების შემწობებისთვის, ჯანდაცვისთვის და ა. შ. რაც საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდა შკარაა. ეს, ცხადია, ზრდის საბიუჯეტო გარღვევების რისკსა და ასევე _ დასაქმებულ ადამიანებზე დაკისრებულ საბიუჯეტო ტვირთს. მილთონ ფრიდმენის პრაგმატული ლიბერტარიანიზმი ერთ-ერთი ავტორი ამტკიცებდა რომ ინფლაცია და უმუშევრობა გრძელვადიან პერიოდში ერთი მიმართულებით მოძრაობს. მისი აზრით, მთავრობა მუდმივად ვერ გააკეთებდა ინფლაციას და უმუშევრობას შორის არჩევანს იმიტომ, რომ რაციონალური და კარგად ინფორმირებული მუშაკები და მომუშავეები ყურადღებას აქცევენ რეალურ ხელფასებს. ფრიდმენი განმარტავს, რომ ე.წ. “ფულის ილუზიისგან” ადამიანები მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში დაზარალდებიან, როცა ისინი აღიქვამენ მხოლოდ ნომინალური ხელფასების ზრდას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ამჩნევენ ეკონომიკაში ფასების საერთო დონის ზრდას. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი მიისწრაფვიან უფრო მეტი სამუშაოს მიწოდებისაკენ და უმუშევრობის დონე მცირდება. დროთა განმავლობაში ისინი აცნობიერებენ რეალობას და ახალ მოლოდინებს, რის შედეგადაც სუფთა ხარჯები და შრომის მიწოდება უბრუნდება საწყის დონეებს და შედეგად ტოვებს მხოლოდ ინფლაციის მაღალ დონეს. რეალური სახელფასო განაკვეთები უბრუნდება ადრინდელ დონეს, უმუშევრობის დონე კი ბუნებრივს.ფრიდმენის თანახმად, უმუშევრობის დონის ბუნებრივზე უფრო დაბლა დაწევა ინფლაციას იწვევს. როცა მუშაკებს აქვთ მაღალი ინფლაციური მოლოდინი, ისინი ხელფასების გაზრდას ითხოვენ. რეალური სახელფასო

განაკვეთი უცვლელი რჩება, როცა მოსალოდნელი ინფლაციის ნებისმიერ ზრდას სახელფასო ინფლაცია უპირისპირდება. რეალური სახელფასო განაკვეთის უცვლელობის პირობებში უმუშევრობის დონე მუდმივია. აქედან გამომდინარე ფრიდმენი ასკვნის, რომ მხოლოდ მოულოდნელი ინფლაცია იწვევს უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან შედარები თდაკლებას. მაშასადამე, გრძელვადიან პერიოდში ინფლაცია სრულიადმ ოსალოდნელია და ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არ არსებობს არჩევანი.

## უმუშევართა განათლების დონე

უმუშევრობაზე საუბრისას, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეკონომისტები ყურადღებას აქცევენ, შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეა. საქართველოში ამ მხრივ პარადოქსული სიტუაციაა, რამაც  საერთაშორისო სტატისტიკისა და ანგარიშების მწარმოებლებიც დააბნია: მაგალითად, 2010 წლის ადამიანური განვითარების ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებული სამუშაო ძალა  გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს. ამავე დროს, მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშის მიხედვით (2011-2012 წლები), ქვეყანაში ბიზნესის კეთების მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი არა ადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალაა. მოკლედ ეს იმას ნიშნავს, რასაც ჩვენ დიპლომიანი ტაქსისტის ფენომენს ვეძახით _ საქართველოში დიპლომი ყველას აქვს, თუმცა, სამწუხაროდ, ეს დიპლომი შესაბამისი განათლების მაჩვენებლი სულაც არ არის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არასათანადოდ განათლებული სამუშაო ძალა მხოლოდ უფროს თაობებს არ მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტიანია ისეთი მომავალი ლიდერების აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ განვითარებული. ამ ვარაუდს ადასტურებს მონაცემები უმუშევართა შესახებ საქართველოში _(2011-2012 წლის მონაცემები), რომლის თანახმადაც, უმუშევართა ყველაზე დიდ ჯგუფს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები - 20-35 წლის ადამიანები შეადგენენ.

ვითარება საგანგაშოა საქართველოსთვისაც, სადაც უმუშევრობის სერიოზული პრობლემაა. არსებული მონაცემებით, დასაქმების საერთო მაჩვენებელი 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით 2.5-ჯერ ჩამორჩება უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელს. 20-24 წლის ასაკის უმუშევარი ახალგაზრდების მაჩვენებელი 67%-ზე მეტია.

საქსტატის მიხედვით, რომელიც ასახავს 2010 წლის მდგომარეობას, 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში 9% არის დასაქმებული, ხოლო 20-24 წლამდე დასაქმებულ ახალგაზრდათა რაოდენობა ქვეყანაში მცხოვრები ახალგაზრდების საერთო რაოდენობის 33% შეადგენს. დარჩენილი ნაწილი კი სამუშაოს უშედეგოდ ეძებს.

**უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში**

ახალგაზრდა 15 წლის ასაკს ზემოთ, თუ ის არ არის მოსწავლე ან სტუდენტი, უმუშევრად მიიჩნევა. ადრე ეს ასაკი 18 წლის და ზემოთ განისაზღვრებოდა. ახალგაზრდობაში უმუშევრობის დონე ძალიან მაღალია და ასე იყო ბოლო წლების განმავლობაშიც. სტატისტიკური მონაცემებით, უმუშევრობის მაჩვენებელი 15-16%-ის ფარგლეშია და გაცილებით მეტია ახალგაზრდებში. საზღვარგარეთ, ბავშვები უკვე სკოლის ასაკიდან იწყებენ მუშაობას და თავისი ჯიბის ფული აქვთ. ეს იმიტომ, რომ იქ არამარტო ბევრი სამუშაო ადგილია, არამედ ახალგაზრდებს ხელსაც უწყობენ იმაში, რომ პარალელურად სწავლაც შეძლონ. მათი უმრავლესობა სწავლის გადასახადსაც კი თავისი ხელფასით იხდიან. საქართველოში კი როგორი სიტუაციაა? ძლივს ნახავა დგილს სადმე გამყიდველად, ოფიციანტად ან რამეს ამის მსგავსს და დილიდან დაღამებამდე უნდა იყო სამუშაოზე საკმაოდ დაბალი ხელფასის სანაცვლოდ. არდაგავიწყდეთ, ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაგიმართლა. სტუდენტი, რომელიც სწავლითაა დაკავებული, რათქმა უნდა, ვერ იმუშავებს სრული განაკვეთით. გამოდის, რომ არჩევანი უნდა გააკეთოს - ან სწავლაზე, ან საკუთარ შემოსავალზე, ხოლო ეს შემოსავალი იმდენად დაბალია, რომ რასაკვირველი ასწავლას ვერ მიატოვებს და ისევ მშობლის ხარჯზე უხდება ყოფნა. თანაც არც ისე სასიამოვნოა 20-22 წლის ასაკში დედის და მამის ხელის შემყურე იყო, მითუმეტეს, რომ ყოველდღიური ხარჯები, ყველას მოგეხსენებათ, არც ისე ცოტაა. აქედან გამომდინარე, დასაქმების მხრივ ყველაზე ცუდ დღეში ახალგაზრდები არიან. ნუ ვიმსჯელებთ მხოლოდ თბილისით, რაიონებში ესპ რობლემა საერთოდ მოუგვარებელია. საქართველოს შრომის

კოდექსში წერია, რომ შრომისუნარიანობა ადამიანს 16 წლის ასაკიდან წარმოეშობა და მისი სამუშაოზე მიღება სრულწლოვანებამდე უნდა მოხდეს იმ პირობით, რომ განათლების მიღებაში არ შეეშალოს ხელი. რეალურად ეს მოთხოვნა ჩვენსქ ვეყანაში სრულდება? რა თქმა უნდა არა, იმიტომ რომ ფიზიკურად არაა ისეთი სამუშაო ადგილები, სადაც ახალგაზრდებს არასრული განაკვეთით მოუწევთ ყოფნა და დარჩენილ დროს განათლებას დაუთმობენ.

სამსახურის ძებნის პარალელურად უმუშევრებმა მაქსიმალურად უნდა ეძებონ კვალიფიკაციის ამაღლების გზები და ტრეინინგებს ერთი წუთითაც კი არ უნდა გაანებონ თავი. „მათ, ვინც განათლების მიღებას აგრძელებს და ტექნოლოგიები სგანვითარებას ფეხს უწყობს, მეტი შანსი აქვთ სამუშაო ადგილებზე დაბრუნების ან ახალი სამსახურის მოძებნის“. ამერიკაში ბევრი კომპანია ადგილს და ზოგჯერ ქვეყანასაც კი იცვლის იმის გამო, რომ უფრო კვალიფიციურ მუშახელთან თუ არა, ისეთ ადამიანებთან იყოს ახლოს, რომლებსაც სწრაფად ათვისების უნარი აქვთ. ასეთ დროს სხვაგვარ კომპრომისს აქვს ადგილი: მათ შედარებით დაბალიკვალი ფიკაციის თანამშრომლები აყავთ და ახალი თანამშრომლების წვრთნაში დებენ მეტ ინვესტიციას. ვფიქრობ ვერავითარი ფულადი კომპენსაცია, ვერავითარი ერთჯერადი დახმარებები გაჭირვებული მოსახლეობისადმი ვერ გამოიყვანს ეკონომიკური სიდუხჭირიდან მოსახლეობას და ქვეყანას. მთავარია ხალხს ჰქონდეს სამუშაო ადგილი და პირადი უწყვეტი შემოსავალი.

ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. და თუ ეს ადგილები არ იქმნება?! მაშინ „ფასადურ“ ეკონომიკურ თავისუფლებასთან გვაქვს საქმე.

# კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება

**ლალი გოგუა** - ბაკალავრიატი,
სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია

ეკონომიკა არის მეცნიერება, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილებები შეზღუდული რესურსების პირობებში. ადამიანის სურვილები და მოთხოვნილებები შეუზღუდავია მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები კი მცირეა. სხვადასხვა პოლიტიკური მოწყბა სხვადასხვაგვარად გვთავაზობს ამ პრობლემის გადაწყვეტას , თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო საუკეთესოდ გადაეჭრა ეს რთული დილემა. მიზეზი კი ის არის რომ მოსახლეობის ხელში არასოდეს ყოფილა სრულად გადაცემული კერძო საკუთრებაში ის ეკონომიკური დოვლათი, რომელსაც სახელმწიფო ფლობს.

კომუნიზმის დროს საკუთრება მთლიანად სახელმწიფოს ხელშია მოქცეული, არსებობდა გეგმიური ეკონომიკა, რაც ხელს უშლიდა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესს, იგი საერთოდ არ არსებობდა. პროდუქციის შემქმნელები და გამყიდველებიარ იყვნენ ჩართული იმ პროცესში, რასაც კონკურენცია ჰქვია. მათ ეს არც სჭირდებოდათ, რადგან მათ იცოდნენ რომ მათი პროდუქცია მაინც გაიყიდებოდა. მათთვის მოგება არ იყო სტიმულის მიმცემი კონკურენციაში ჩსაბმელად. საბოლოო ჯამში დაზარალებული უპირატესად მაინც მომხმარებელი დარჩა, რადგან კონკურენციის ამაღლება იწვევს მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნას, ფასების ცვლილებას მომხმარებლის სასარგებლოდ და გამუდმებულ ბრძოლას, შეჯიბრს უკეთესი პროდუქციის შესაქმნელად.

სოციალიზმის დროს არსებობს, როგორც კერძო საკუთრება ასევე სახელმწიფო საკუთრება. გარკვეულ სფეროებში სახელმწიფო გამოდის მესაკუთრის როლში.თუმცა სიტუაციის უკეთესობისკენ შესაცვლელად ესეც არ არის საუკეთესო გამოსავალი.გამომდინარე იქედან სახელმწიფოს ხელშია ის ძირითდი საშუალებები, რომლებსაც შეუძლია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

იმისათვის რომ მივაღწიოთ ეკონომიკურ კეთილდღეობასამისათვის საჭიროა საკუთრება საზოგადოების ხელში იყოს მოქცეული.

ჩვენი ქვეყანა ცდილობს მიბაძოს სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის მხრივ საკმაოდ გამოცდილები არიან. მარტივი მაგალითია მარკეტინგული და მენეჯერული საქმიანობის ცოდნა. ამ მხრივ ამერიკა და ევროპის ქვეყნები გამოცდილნი არიან და ჩვენც გვინდა, მაგრამ საქმე რჩება მხოლოდ და მხოლოდ სიტყვა გვინდაზე, შემდეგ განვითარების სხვა ეტაპების გავლის გარეშე. შედეგად კი გვიჩნდება კითხვა რატომ არ იყიდება ჩვენი საქონელი და მომსახურება? ეს პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია პრობლემის მეორე ნაწილი კი სახელმწიფოს დამსახურებაა. ეს გახლავთ საკუთრება რომელიც სახელმწიფოს ხელშია.

შევეცდები ეს საკითხი რამოდენიმე მაგალითით ნათელი გავხადო.

საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის ნაწილი კი კერძო საკუთრებაშია. ამ შემთხვევაში სამივე მხარე დაზარალებული რჩება. ერთის მხრივ სახელმწიფოს მიერ გაცემული საყოველთაო დაზღვევის პოლისი, რომელიც სამედიცინო მომსახურებას უფასოს ხდის და ყოველგვარი მომსახურება ბიუჯეტიდან ფინანსდება და რომლის გადახდის საშუალებაც ჩვენ ბიუჯეტს გარკვეული მიზეზების გამო არ აქვს, კერძო დაწესებულებები იმისათვის რომ არ გაკოტრდნენ იძულებულნი არიან, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ფასი მაღალი დააწესონ მომსახურების მაღალ ხარისხთან ერთად, ამისი გადახდის საშუალება კი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 20%-ს არ შეუძლია და მესამე მხარე გამოდის სამედიცინო მომსახურების მიმღები, რომელსაც საათობით და კვირობით უწევს იმისი ლოდინი როდის მიიღებს უფასო მომსახურებას, რაგდან იქ ვერ მიდის სადაც იმისი ლოდინი არ მოუწევს როდის გადმოურიცხავს მას სადაზღვეო კომპანია სადაზღვეო თანხას.

მეორე ასევე ნათელი მაგალითია მიწის რესურსი, საიდანაც სახელმწიფოს საკუთრებაშია 6679,5, ხოლო კერძო საკუთრებაშია 949.5. გამომდინარე აქედან ფასის დამდგენლად სახელმწიფო გამოდის. შეიძლება ფიქრობენ რომ დაბალი ფასი უფრო მიმზიდველია, მაგრამ მეორეს მხრივ ეს ეკონომიკას ასუსტებს და ჩვეულებრივ ბაზრის მაგალითზე რომ გადავიტანოთ მომხმარებელს ყოველთვის უკვირთ და ეჭვის თვალით უყურებენ საქონელს, რომელიც დაბალ ფასად იყიდება მიუხედვად იმისა რომ ის შეიძლება

იმაზე უფრო მაღალი ხარისხის იყოს ვიდრე ის ძვირადღირებული საქონელი. მომხმარებელს ამ შემთხვევაში უჩნდება ეჭვი რომ რაღაც ისე არ არის როგორც უნდა იყოს და არსებობს რაღაც დაფარული პრობლემა, ნაკლი.

რითი ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის მეშვეობითაც ფინანსდება სხვადასხვა პროექტები, სამინისტროები და სხვა უწყებები? გადასახადების მეშვეობით, ხოლო გადასახადები იკრიბება მოსახლეობის შემოსავლებიდან, მოგებიდან და სხვა გადასახადებიდან. გამომდინარე აქედან თუკი გავზრდით მიწის ფასს და კერძო საკუთრებაში გადავცემთ მას მოსახლეობას მათ მეტი შემოსავალი ექნებათ და ბუნებრივია მეტ შენატანსაც გადასცემენ ბიუჯეტს.

გარდა იმისა რომ კერძო საკუთრება ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ის ასევე წინაპირობაა ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი ფენომენისა რაც გახლავთ თავისუფლება, როგორც აკაკი ბაქრაძე წერდა ,,კერძო საკუთრების გარეშე თავისუფლება არ არსებობს''. ერთი შეხედვით შეიძლება იფიქრონ თუ რა კავშირშია ერთმანეთთან ეს ორი ცნება ,,კერძო საკუთრება'' და ,,თავისუფლება'' მაგრამ ისინე ერთმანიეთისთვის ძლიან მნიშვნელოვანია . ადამიანი, რომელსაც ამ ქვეყანაზე არაფერი არ გააჩნია, უსახლკაროა და მატერიალურად სხვისი შემყურეა, შეიძლება თავისუფალ ადამიანად წარმოვიდგინოთ მიუხედავად იმისა  რომ ის ციხეში არ არის და არც არავის ემორჩილება ის უპირველეს ყოვლისა საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ტყვეა. კერძო საკუთრების მქონე ადამიანი უფრო თავდაჯერებულია , მას არ აშინია ფინანსური პრობლემების და ნებისმიერ დროს შეუძლააამუშაოს თვისი კაპიტალი.

,,სახელმწიფოს ღერძი არის თავისუფალი ადამიანი, ეკონომიკური სისტემისა კი- ეკონომიკური თავისუფლება''.

იმისათვის რომ ჩამოვაყალიბოთ ნორმალური საბაზრო ეკონომიკა აუცილებელია მეწარმე თავისუფალი იყოს თავის გადაწყვეტილებაში. მას არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს თვითონ გადაწყვიტოს რა აწარმოოს და რა ოდენობით, თვითონ შეარჩიოს სასურველიბაზრის სეგმენტი და ჩერთოს კონკურენციაში.

თუმცა სახელმწიფოს ჩარევა ზოგ შემთხვევაში აუცილებელი ხდება, მაგრამ ეს არ მიმაჩნია რომ იყოს შეზღუდვა. მაგალითად მონოპოლიის წინაამღვდეგ ბრძოლა. ვთვლი რომ

ეს არის სამართლიანობის დამყარება და ყველას გათანასწორება ერთ სიბრტყეზე, მონოპოლიით დაჩაგრულს საშუალება ეძლევა თვითონაც ამოქმედდეს იმ სფეროში, რომელშიც სურთ მოქმედება, ხოლო მონოპოლისტი უთანაბრდება მის კონკურენტს. თავისუფლება თავისთავად გულისხმობს პასუხისმგებლობასაც, სწორედ ასევეა ეკონომიკური თავისუფლება, როდესაც გაქვს ეკონომიკური თავისუფლება შენ ავტომატურად გაქვს ეკონომიკური პასუხისმგებლობაც, რაც გამოიხატება იმაში რომ დაემორჩილო ანტიმონოპოლიურ კანონს, გადაიხადო გადასახადები და ა. შ.

მსოფლიო პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები და თავისუფალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები ბევრად უსწრებენ მათ ვინც წარსულს მისტირის და მაღალგანვითარებული ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნებიან. მიზეზ კი ის არის რომ სახელმწიფოს კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერით რაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებს ნამდვილად აქვთ.

# გლობალური კრიზისი და ეკონომიკური თავისუფლება

**ზიზი მაღალდაძე** - ბაკალავრიატი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**თეა კაკაბაძე** - ბაკალავრიატი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ტერმინი ,,გლობალიზაცია“ ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს პოლიტიკურ, სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში. გაეროს გენერალური მდივანი კოფიანანი 53-ე სესიაზე ამბობდა: ,,თავისი გამოცდილებით მილიონობით მოქალაქე რწმუნდება იმაში, რომ გლობალიზაცია ბედის საჩუქარი კი არ არის, არამედ იგი წარმოადგენს დამანგრეველ ძალას, რომელიც ძირს უთხრის მათკ ეთილდღეობას. მსოფლიო ფინანსური კრიზისები მათი პირველად წარმოშობის დღიდან მსოფლიოსთვის არასასურველ მდგომარეობას წარმოადგენს.

თანამედროვე გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიოს განვითარების თვისობრივად ახალ მოვლენას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. სწორედ გლობალიზაციისათვისაა დამახასიათებელი ეროვნული და გლობალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ადგილების გადანაცვლება.

XIX-XX საუკუნის განმავლობაში მრავალი ფინანსური კრიზისი გადაიტანა მსოფლიო ეკონომიკამ დ ათითოეული მათგანი იყოს ხვადასხვა ნიუანსის მასწავლებელი ფინანსური სისტემებისთვის.

- გაკოტრება;
- უმუშევრობა;
- დეფოლტი;
- უნდობლობა;
- ინფლაცია;

გლობალური ფინანსური კრიზისისგამომწვევი უამრავი მიზეზიდან ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებია:

- ✓ არასწორიმენეჯმენტი;

- ✓ საბაზროწონასწორობისდარღვევა;
- ✓ ფინანსური ინსტიტუტების ეგოისტური ქმედება.

ფინანსური კრიზისების მახასიათებლები:

- ✓ გაურკვევლობა;
- ✓ მოულოდნელობა;
- ✓ სისტემისთვის (ქვესისტემებისათვის) ზიანისმიყენებისსაფრთხე;
- ✓ მრავალფაქტორთაერთობლიობა.

გლობალური კრიზისი მსოფლიო ფინანსური სისტემის რადიკალური რეფორმის აუცილებლობის ნათელი დადასტურებაა. საზოგადოდ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს ძირითადი აქცენტი კეთდება მის ნეგატიურ მხარეებზე, რაც საზოგადოებასა და საქმიან წრეებში პესიმისტურ განწყობას იწვევს. კრიზისის მასშტაბებზე ნებით, თუ უნებლიედ ვრცელდება ცალსახა, ზედაპირული, ხშირად ხელოვნურად გაზვიადებული ინფორმაცია, ხოლო ობიექტური, გაწონასწორებული და კომპეტენტური ანალიზი რეალურ მიზეზებსა და მოსალოდნელ შედეგებზე იშვიათია. ტერმინი „გლობალური კრიზისი“ თავისთავად საშინლად ჟღერს, იგი ასოცირდება ისეთ მოვლენებთან როგორიცაა: ფასების ზრდა, მასობრივი უმუშევრობა, ანაბრების დაკარგვა და ა.შ.

თუმცა, თანამედროვე კრიზისი არსებითად განსხვავდება იმ „დიდი დეპრესიისაგან“, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას XX საუკუნის 30-იან წლებში დაატყდათავს.

**„საკრედიტო კრიზისი“ (credit crunch 1966)**

1) კომერციული ბანკების პოლიტიკამ უეცრად შეეწყვიტათ ბიზნესის დაფინანსება;

2) ფედერალური სარეზერვო სისტემის (FOMC) გადაწყვეტილება სარეზერვო პოლიტიკის გამკაცრებაზე

**პენ ცენტრალის კრიზისი (Penn Central 1970)**

1) სესხების მოზიდვა უცხოურ ვალუტაში, სავალუტო რისკი;

2) FOMC_ის გამარტივებული საკრედიტო პოლიტიკის მიუხედავად, კომერციული ბანკების ქმედება;

3) დამატებითი ფულადი სახსრების მოსაზიდად ფასიანი ქაღალდების ისტერიული წარმოება.

4) კორპორაციათა გადახდის უუნარობა

**„აზიის კრიზისი“ (Asian crisis 1998)**

1) ინსტიტუციონალური ინვესტორებისგან გადაინაცვლა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში;

2) მთავრობის შეუფერებელი დამოკიდებულება პრობლემებისადმი, შედეგად უამრავი კომპანიის ბაზრიდან გასვლა;

3) რუსეთის ფედერაციის დეფოლტი;

**„ უძრავი ქონების კრიზისი“ (Real estate crisis 2008)**

1) ამერიკული ფინანსური კორპორაციის“LehmanBrothers”-ის გაკოტრება;

2) ფინანსურ ბაზარზე სახსრების ლიკვიდურობის მკვეთრმა დაცემამ აიძულა ბანკები ნაკლები კრედიტი გაეცათ;

3) აშშ-ს სავაჭრო და საგადასახდელო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი.

თანამედროვე კრიზისის შინაარსს, ყველაზე ობიექტურად ალბათ ჩინური დამწერლობის სიმბოლოები გამოხატავენ. ჩინურად სიტყვა კრიზისი გამოისახება ორი იეროგლიფით „საშიშროება“ და „შესაძლებლობა“. ზოგი იფიქრებს, რომ ეს იეროგლიფი იკითხება როგორც „საშიშროების შესაძლებლობა“, თუმცა, კრიზისი უკვე დამდგარი საშიშროებაა და არა ჯერ კიდევ შესაძლებელი.

ეკონომიკურ კრიზისს დღეს სხვა და სხვა ქვეყანა განსხვავებული მეთოდებით „მკურნალობს“: პირველი, როცა მთლიანი თანხები საფინანსო სფეროში მიედინება, ანუ ის, რაც აშშ-მ გააკეთა, მან ბანკებს დასახმარებლად 2,3 ტრილიონი დოლარი გამოუყო, ხოლო რეალური ეკონომიკის მხარდასაჭერად - ათჯერ ნაკლები. კანადის, ირლანდიის, ნიდერლანდების და შვედეთის მთავრობები ასეთივე პრინციპით მოქმედებენ.

მეორე მოდელი, როცა მთავრობა მთელს ძალისხმევას ეკონომიკის რეალური სექტორებისკენ მიმართავს. ასეთი გზა სოციალისტურმა ჩინეთმა აირჩია. მისმა ხელისუფლებამ ინვესტირება მოახდინა ინფრასტრუქტურაში, სოფლის მეურნეობასა და სოციალურ სფეროში. კომპანია Merrill Lynch-ის ანალიტიკოსების აზრით, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ჩინეთის ბაზარი ინვესტორებისთვის ჯერ კიდევ მიმზიდველია. ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს თანაბრად დაეხმაროს როგორც საფინანსო სექტორს, ასევე რეალურ ეკონომიკას. ამ მოდელს სახელმწიფოებმა აშშ-ს ცუდი მაგალითის შემდეგ მიმართეს. ბევრი ქვეყანა დარწმუნდა, რომ მხოლოდ საფინანსო სფეროს დახმარებითკ რიზისი ვერ

დაიძლეოდა. ასეთ ქვეყნებს შეიძლება გერმანია, საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია და იაპონია მივაკუთვნოთ. ევროს კრიზისი უმალ ხდება მსოფლიო კრიზისი, რადგანაც გლობალური ეკონომიკის პირობებში, ნებისმიერ სექტორში კრიზისი დაუყოვნებლივ მოქმედებს ყველა დანარჩენზე. ადამიანის, როგორც სოციალური არსების უფლებათა შორის, სამი უმნიშვნელოვანესი უფლება უნდა გამოიყოს, რომლებიც თავისი არსით უზენაეს ფასეულობებს წარმოადგენენ. ესენია, - სიცოცხლის უფლება, თავისუფლება და საკუთრების უფლება.

,,ბედნიერებაა დაიბადო ქვეყანაში, სადაც შენი ცხოვრების წესს მხოლოდ ღმერთი და ხალხის მიერ შექმნილი კანონები განსაზღვრავს." ჟან-ჟაკ რუსსო

ცხოვრების დონე გიჩვენებთ ადამიანის კეთილდღეობის ხარისხს. ადამიანის მოთხოვნილებები უსაზღვროა, მაგრამ მოთხოვნას ის მისი შემოსავლის მიხედვით ქმნის.

მაშასადამე, შემოსავლის სიდიდე გიჩვენებთ ადამიანის მიერ პროდუქტისა და მომსახურების მოხმარების სტრუქტურას. როდესაც ადამიანის საშუალო წლიური შემოსავალი არ აღემატება $3,500-ს, ისეთი ტიპის ძვირადღირებული მომსახურება, როგორიც არის ჯანდაცვა, განათლება და სხვა, ფუფუნების საგანია და მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი გამოხატავს აღნიშნული ფასეულობებით სარგებლობის დიდ სურვილს, იგი ნაკლებად ხელმისაწვდომია. საერთო ჯამში, ეს გავლენას ახდენს ისეთ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე, როგორიცაა სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობა, განათლების დაბალი დონე და სხვა.

საშუალო წლიური შემოსავალი პირობითი ტერმინია, რადგან საზოგადოებაში შემოსავალი არ არის განაწილებული თანაბრად. შესაბამისად, ზოგიერთის შემოსავალი ამ მაჩვენებელზე მაღალია, ზოგიერთის – დაბალი.

ჩვენ ხშირად გვექმნება ილუზია, რომ თუ მოხერხდება დაგროვილი სიმდიდრის გადანაწილება მდიდართა საზიანოდ და ღარიბთა სასარგებლოდ, ეს გაზრდის ნაკლები შემოსავლების მქონე ადამიანების ხელმისაწვდომობას ძვირადღირებულ მომსახურებებზე. სინამდვილეში, დროთა განმავლობაში, სიმდიდრის გადანაწილების პროცესმა შესაძლებელია მიიღოს იმდენად საშიში ტენდენცია, რომ მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანებისთვის ბევრი მომსახურება გახდეს ფუფუნების საგანი.

ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში ყოველ ადამიანს აქვს სრული უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ და თავისუფალი არჩევანის პირობებში, საკუთარ მიზნებს მიაღწიოს. სახელმწიფო მის საქმიანობასა და არჩევანში არ ერევა. რამდენად ასრულებს ამ პირობებს მსოფლიოს 183 ქვეყანა და, მათ შორის, საქართველო, ამას საერთაშორისო ფონდი Heritage, 1995 წლიდან ყოველწლიურად იკვლევს.

ეკონომიკური თავისუფლების კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისთვის აუცილებელი არ არის დიდი გეოგრაფიული არეალი ან მდიდარი ბუნებრივი რესურსები. ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, ინდივიდუალური თავისუფლება იზრდება. ეს საფუძველს უყრის მდგრად განვითარებასა და კოლექტიურ ბედნიერებას.

ქვეყნები, სადაც თავისუფლებაა, საკუთარი ხალხისთვის უკეთეს მომავალს ქმნიან.ეკონომიკური თავისუფლების მსოფლიო ქსელმა ფრეიზერის ინსტიტუტის 2014 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც ასახავს ქვეყნების 2012 წლის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლებს.

ანგარიშის მიხედვით, საქართველომ საუკეთესო ოცეულში დაიმკვიდრა პოზიცია და 152 ქვეყანას შორის მე-16 ადგილი დაიკავა. კვლევითი ინსტიტუტი ყოველწლიურად საკუთარ ანგარიშს ორი წლის წინ არსებულ მდგომარეობაზე ავრცელებს.

,,მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლება მცირდება“ ასეთ დასკვნას აკეთებს საერთაშორისო ფონდის Heritage ყოველწლიური ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ამ კვლევას ფონდი 1995 წლიდან რეგულარულად აქვეყნებს. 2015 წლის რეიტინგი სულ 177 ქვეყანას აფასებს, რომლებიც 6 რეგიონში ნაწილდება. ყველაზე წარმატებული რეგიონებია ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა, ხოლო ყველაზე წარუმატებელი რეგიონია სუბ საჰარული აფრიკა.

საერთაშორისო ფონდის Heritage კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი ხანგრძლივი დროით, როცა ეკონომიკური სისტემა ინდივიდის არჩევანს სცემს პატივს და მასში მთავრობის ჩარევა მინიმუმამდე არის დაყვანილი. ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ინდივიდებს მეტი შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ყოველდღიური ცხოვრება დამოუკიდებლად

გააკონტროლონ. ამდენად, ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასაც.

Heritage Foundation „ეკონომიკურითავისუფლებისინდექსი“ 2015-ისმიხედვით, საქართველოსსარეიტინგოქულა 0.4 პუნქტითგაუმჯობესდაწინაწელთანშედარებითდა 73.0 ქულაშეადგინა. საქართველომსოფლიოს 178 ქვეყანასშორისკვლავ 22-ეპოზიციაზეა „უმეტესადთავისუფალი“ სტატუსით. 2014 წელს, საქართველო 22-ეადგილსიკავებდა 72.6 ქულით.

2015 წლის შეფასებით, საქართველო, ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს იკავებს. 2015 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო ვაჭრობისთვის უფლების კომპონენტში, 178 ქვეყანას შორის პირველ ათეულშია და მე-7 ადგილს იკავებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს სარეიტინგო ქულა 2.6-ით გაუმჯობესდა, ხოლო ინდექსის 5 კომპონენტში — კორუფციის განთავისუფლება, სამთავრობო ხარჯების კონტროლი, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება და საინვესტიციო თავისუფლება საქართველოს მდგომარეობა სტაბილურად უმჯობესდება. 2013 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. ადამიანის თავისუფლების, ისევე, როგორც თავისუფალი კერძო ბაზრის, საფუძველი არის ადამიანის უფლება, რომ საკუთარი გადაწყვეტილება თვითონვე მიიღოს, იმდენად, რამდენადაც ეს იმავე უფლების გამოყენებაში ხელს არავის შეუშლის. მე ვფიქრობ, აქედან ცხადი ხდება, თუ რატომ არის თავისუფალი კერძო ბაზარი ასე მჭიდრო კავშირში პიროვნულ თავისუფლებასთან. ეს ერთადერთი მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ რთული ურთიერთკავშირების მქონე საზოგადოება ქვემოდან ზემოთ ავაგოთ და არა ზემოდან ქვემოთ.

ეკონომიკური თავისუფლება, თანამედროვე გაგებით, გულისხმობს ხელშეუხებელ კერძო საკუთრებაზე და ფუძნებული წარმოების, ვაჭრობის, დაგროვების, ინვესტირების, გამომუშავების და შექმნილის გამოყენების, თანამემამულეებთან ან და უცხოელებთან ეკონომიკურ კონტაქტში შესვლის, ფასების დაწესების, კონტრაქტში მონაწილე პირთა ურთიერთ თანხმობის შედეგად ნებისმიერი ფულადი ერთეულის გამოყენების თავისუფლებას. სახელმწიფოს მთავარი ამოცანა ხდება ეკონომიკური თავისუფლების დაცვა, მის მთავარ მოვალეობად - მოქალაქეთა განუყოფელი უფლებების უზრუნველყოფა:

პიროვნების, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის, არაძალადობრივი საქმიანობის თავისუფლების, სამეურნეო ცხოვრების ერთიანი და სტაბილური წესები და ნორმები. ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა იგივეა, რაც ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფისა და გაფართოების პოლიტიკა.

# ასოცირების ხელშეკრულება და ეკონომიკური თავისუფლება სავაჭრო მიმოსვლისა და უცხოური ინვესტიციების საქართველოში მოზიდვის ხელშემწყობი პირობები

**გვანცა კელაპტრიშვილი** - ბაკალავრიატი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის ვექტორი რამდენიმე საბაზო მიზანზე გადის. პირველ რიგში, ცხადია, ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანებამდე, ეს არის ასოცირებული წევრობის სპეციალური სტატუსი. ამ სტატუსის მისაღებად შეიქმნა ე. წ ,,ახალი გზა'', ევროკავშირის თავისებური ,,მაპი[39]''. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ საბჭოთაკავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღადგინა. 1995 წელს თბილისში ევროკომისიამ წარმომადგენლობა (დელეგაცია) გახსნა. 2004 წელს კი, ევროკავშირის გაფართოებს შემდეგ ევროკავშირის სამეზობრლო პოლიტიკა შემუშავდა. მისი მიზანი იყო ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების მოხსნა და სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველოფა. ხელშეკრულების მიზანი იყო, თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის დამკვიდრება. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოზე 2004 წლის ივნისიდან (საქართველოში მომხდარი ,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ) გავრცელდა.[40] ევროპა მხარს უჭერს იმ ქვეყნების წახალისებას, რომლებიც მისი პოლიტიკურად სტრატეგიულ პარტნიორებად მოაზრებიან. დღესაც, თუ კი ევროკავშირი აშკარად გრძნობს, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობს, და ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობს, მასთან წახალისების მიზნით, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას ქმნის.

საქართველოს ეწვია ევროკომისიის ექსპერტთა სპეციალური მისია ვაჭრობის საკითხებში, გენერალური დირექტორის მოადგილის ბატონი პიტერ ბალაშის ხელმძღვანელობით. მისიის

---

[39]მაპი-ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისთვის შემუშავებული პროგრამა. MAP-ის ფლობა ნატოს წევრობის ტოლფასი არ არის.

[40]აღსანიშნავია, რომჯერკიდევ 203 წელს, ზოგიერთისამხრეთევროპისქვეყნისმოთხოვნითსაქართველო, აზერბაიჯანი
დასომხეთიამოღებულიიქნასამეზობლოპოლიტიკიდან - „ ისინიამდროისთვისარწარმოადგენენამინიციატივის მიზნებისთვისგანკუთვნილგეოგრაფიულსაზრვრებს“.

მიზანი იყო, შეესწავლათ საქართველოში არსებული ვითარება, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და შეეფასებინათ საქართველოს მზაობა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დასაწყებად.

2009 წლის მარტში გამოქვეყნდა ზემოთ აღნიშნული მისიის დასკვნა. დასკვნაში დელიკატურად და დიპლომატიური ენით  აღნიშნულია, რომ საქართველომ მიაღწია გარკვეულ პროგრესს, ხანგრძლივი ბრძოლისა და მონდომების შედეგად საქართველომ ენერგო დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლო და რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებული აღარ არის. ასევე მან დაძლია მძიმე ეკონომიკური ემბარგო რუსეთის მხრიდან, ისე რომ მისი ეკონომიკა და ფინანსური სექტორი არ ჩამოშლილა. ქვეყანაში გატარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმები, აღმოფხვრა კორუფცია და შეამცირა ბიუროკრატია, აგრთვე შეიცვალა ქვეყანაში ,,ფასადები, ინტერიერი'' და შეიცვალა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, მაგრამ ეს რეფორმები არასაკმარისი აღმოჩნდა ევროკავშირთან ხელშეკრულების დასადებად. პიტერ  ბალაშის დასკვნაში ასახულია ის სფეროები, რომლებშიც საჭიროა რეფორმები განხორციელდეს. აქვე მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები დაყოფილია ორ ნაწილად : პირველი, რომელთა შესრულება მიჩნეულია აუცილებლად თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დასაწყებად და მეორე, რომელთა შესრულება მიჩნეულია აუცილებლად ამ შეთანხმების გასაფორმებლად.ევროკავშირის მიერ ჩამოყალიბებული 4 ძირითადი მოთხოვნა (სტატისტიკის უწყებისა და სტატისტიკის სისტემის რეფორმირება, შრომის კოდექსის შეცვლა, სურსათის უვნებლობის პრობლემის მოგვარება, ანტიმონოპოლიური რეგულირების უზრუნველყოფა) აუცილებელია ზედმიწევნით იყოს შესრულებული. საქართველო, სამწუხაროდ იმ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, რომელსაც უცხოური კაპიტალის გარეშე არ შეუძლია ეკონომიკის დაჩქარებული აღორძინება. მიუხედავადა მისა, საზოგადოებაში ხშირად არის აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, სასარგებლოა თუ არა ქვეყნისთვის უცხოელი ინვესტორის შემოსვლა, როგორც ე.წ. „მწვანე ველის" ინვესტიციების, ასევე მოქმედი ობიექტების შესყიდვის გზით. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი ორად იყოფა ნაწილი თვლის რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება  ევროპას მხოლოდ თავისი ინტერესების გამო სურს და რომ მათ მხოლოდ საქონლის ახალი ბაზარი სჭირდებათ, ხოლო მეორე ნაწილი თვლის რომ ყოვლის მომცემი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედება ევროპელთა მხრიდან კეთილგანწყობილი, პოლიტიკური გადაწყვეტილებებაა, იმიტომ  რომ ევროპული სავაჭრო სივრცის საერთო ბრუნვაში ჩვენი წილი, ალბათ 00,01 პროცენტი თუ იქნება.ეს ხელშეკრულება  დადებითად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ინვესტიციების მთავარი ფუნქციაა ხელი

შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას, გამოაცოცხლოს და წაახალისოს კრიზისში მყოფი საწარმოები, უზრუნველყოს შიდა წარმოება აუცილებელი ფინანსური სახსრებით, ხელი შეუწყოს ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესში ჩართვასა და ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის რაც უფრო ღრმავდება კავშირი მით უფრო იზრდება უცხოური ინვესტიები. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოგვიდგენს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მაგალითად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 2 015 მლნ აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც 69,3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2008 წლის აგვისტოს ომი მკაფიოდ აისახა საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე. 2012 წელს კისაქართველოში უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ კვლავ იმატა და 912 მლნაშშდოლარი შეადგინა. 2013 წლის წინასწარი მონაცემები 2012 წლის მონაცემებს 0,3%-ით აღემატება.

2013 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 914 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2012 წლის დაზუსტებული მონაცემებით ეს მაჩვენებელი 912 მლნ აშშ დოლარი იყო. როგორც ვხედავთ 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 მლნ აშშ დოლარით აღემატებოდა წინა წლის დაზუსტებულ მონაცემებს, ხოლო 2014 წელს 1272 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 35 პროცენტით აღემატება 2013 წლის დაზუსტებულმონაცემებს.



**2014 წლის 9 თვის შედარება 2013, 2012 წლების 9 თვესთან**

- 2014 წლის 9 თვეში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 923 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს;
- 2013 წლის 9 თვეში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 715 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს;
- 2012 წლის 9 თვეში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 678 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.
- 2014 წლის 9 თვეში, 2013 წლის 9 თვესთან შედარებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია 29%-ით;
- 2014 წლის 9 თვეში, 2012 წლის 9 თვესთან შედარებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია 36%-ით;
- 2014 წლის 9 თვეში, 2011 წლის 9 თვესთან შედარებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაზრდილია 19%-ით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის მესამე კვარტალში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი მშენებლობაზე მოდის. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნულ სექტორში, სულ 181 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მთლიანი ინვესტიციების 36%-ს შეადგენს.

განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, მშენებლობას მოჰყვება ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სადაც 109 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია (მთლიანი ინვესტიციების 21%) განხორციელდა, შემდეგ მოდის უძრავი ქონება – 61 მლნ. აშშ დოლარი (12%), დამამუშავებელი მრეწველობა – 48 მლნ. აშშ დოლარი (9%), საფინანსო სექტორი 38 მლნ. აშშ დოლარი (8%),  ენერგეტიკა – 36 მლნ. აშშ დოლარი (7%), სხვა – 34 მლნ. აშშ დოლარი (7%).

2014 წლის 9 თვეში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 923 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 29%-ით აღემატება, ხოლო 2012 წლის 9 თვის მაჩვენებელს 36%-ით აღემატება. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, 2014 წლის 9 თვეში, ქვეყნებიდან ნიდერლანდები ლიდერობს, საიდანაც განხორციელდა 264,4 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. ჯამში ევროკავშირი დანდაფიქსირდა USD 178.9 მილიონნისინვესტიცია, რაც

ჯამური მაჩვენებლის 35.3%-ს შეადგენსდა 6%-ან ზრდას წარმოადგენს მიმდინარე წლის მე-2 კვარტალთან შედარებით. 2013 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია 69.1%-ით, ხოლო 2012 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით - თითქმის 5-ჯერ.

საინტერესოა რას მოუტანა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ საქართველოს?

2015 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1433 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 324 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (26 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 1,1 მილიარდ აშშ დოლარს (2 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წლის იანვარ-თებერვალში 786 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55 პროცენტი შეადგინა.

2015 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 385 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 108 მლნ. აშშ დოლარი იყო (9 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი - 277 მლნ. აშშ დოლარი (6 პროცენტით ნაკლები).

შესაბამისად, მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედება ევროკავშირის იმპორტსგ აზრდიდა მხოლოდ, არასწორი აღმოჩნდა და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ეს ხელშეკრულება, პირველ რიგში, სწორედ ექსპორტის წახალისებას ემსახურება. გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნების წილიც საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში - მათმა წილმა 27 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში - 33 პროცენტი და იმპორტში -25 პროცენტი (2014 წლის იანვარ-თებერვალში, შესაბამისად, 25, 22 და 26 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 22 პროცენტი (2014 წლის იანვარ-თებერვალში - 28 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ ეს ხდება იმ დროს, როცა საქართველო აქტიურ ნაბიჯებს დგამს რუსეთის ორი წლის წინ გახსნილი ბაზრის ასათვისებლად.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წლისიანვარ-თებერვალში 429 მლნ. აშშ დოლარიშ ეადგინა (2014 წლის იანვართან შედარებით, 23 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 110 მლნ. აშშ დოლარი (53 პროცენტით ნაკლები), ხოლოი მპორტი 319 მლნ. აშშ დოლარი იყო (1 პროცენტით ნაკლები). შესაბამისად, შემცირება ძირითადად ექსპორტს შეეხო.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 30 პროცენტი იყო, მათ შორის, ექსპორტში - 34 პროცენტი დ აიმპორტში - 29 პროცენტი (2014 წლის იანვარ-თებერვალში, შესაბამისად, 35, 53 და 28 პროცენტი).

აღსანიშნავია, რომ კლების ძირითადი წილი რუსეთსა და უკრაინაზე მოდის, რაც მოსალოდნელიც იყო.

აღსანიშნავია თხილის ექსპორტის განსაკუთრებული ზრდა, კერძოდ: 2015 წლის იანვარ-თებერვალში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა, 41 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 13 პროცენტი შეადგინა. თხილისა და სხვა კაკლის ექსპორტიც 41 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 13 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე ფეროშენადნობების ჯგუფმა გადმოინაცვლა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 34 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 11 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი კი 2015 წლის იანვარ-თებერვალში ნავთობის აირები და აირისებრინახშირწყალბადები იყო. მეორე ადგილზე იმყოფებოდა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი. მესამე ადგილზე ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა.

**არსებული მდგომარეობა:**

**ბოლო წლებში ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საინვესტიციო გარემო და რეგულირების მინიმუმამდე დაყვანითა და ელექტრონული სერვისების დანერგვის გზით მარტივი გახადა ბიზნესის კეთება საქართველოში.**

კორუფციისაგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები წარმატებული და შედეგიანი იყო, რაც ასევე აისახა კერძო სექტორის ფუნქციონირებასა და ანტიკორუფციულ რეიტინგებში. როგორც სტრატეგიის შესავალში აღინიშნა, “Trace Inetrnational”-ის 2014 წლის კორუფციული რისკები ბიზნესისთვის ინდექსის მიხედვით, საქართველო მე-11 ადგილს იკავებს მსოფლიოს 197 ქვეყანას შორის და წინ უსწრებს ისეთქვეყნებს, როგორიცაა: ნორვეგია, საფრანგეთი, შვეიცარია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და ავსტრია.

ამასთან, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing Business) 2015 წლის ანგარიშის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით საქართველო პირველ ადგილზეა ქონების რეგისტრაციის, მესამე ადგილზე სამშენებლო ნებართვების გაცემის, მეხუთე ადგილზე ბიზნესის დაწყების და მეშვიდ ეადგილზე კრედიტის აღების კუთხით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ბიზნესის კეთების პრობლემურ ფაქტორებს შორის კორუფციის მაჩვენებელი მხოლოდ 0.1 ერთეულს უდრის, ხოლო მსოფლიო ბანკის 2013 წლის საწარმოების კვლევის თანახმად, გამოკითხულ საწარმოთა წარმომადგენლების მხოლოდ 2.9% ასახელებს კორუფციას, როგორც ერთ-ერთ პრობლემას და გამოკითხულთა მხოლოდ 0.2% თვლის, რომ ქრთამის მიცემა საჭიროა საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას. ლიცენზიების ამღებ მეწარმეთა შორის კორუფციის აღქმის ნულოვანი მაჩვენებელია. პირისთვის ქრთამი მიცემული ჰქონდა გამოკითხულთა მხოლოდ 2.2%-ს მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საშუალო მაჩვენებელი 17.2%-ს, ხოლო მსოფლიო მაჩვენებელი - 17.1%-ს უტოლდება. მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ქვეყანაში კორპორაციული მართვის გამჭვირვალე პრინციპებისა და ეთიკის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა, ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების შესწავლა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ბიზნესის კეთილსინდისიერებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ასევე კორუფციულ რისკებთან დაკავშირებით კომპანიებისა და სახელმწიფოს შესაბამის ისტრუქტურების წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარებამ ნიშვნელოვან ამოცანად რჩება.

გარდა ამისა, სამომავლო პრიორიტეტად დასახულ უნდა იქნეს შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შემცირება/გასხვისება მათი შემდგომი გააქტიურებისა და სახელმწიფოს მხრიდან არამიზნობრივი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით. მნიშვნელოვანია ასევე პრიორიტეტულად განისაზღვროს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ანტიკორუფციული პოლიტიკის დაგეგმვის ხელშეწყობა და იმპლემენტაცია. ამასთან, პრიორიტეტულია საწარმოების ანგარიშგების პროცესის სრულყოფა და არსებული ანგარიშების დახვეწა, ასევე ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოებში ეთიკის

მარეგულირებელი წესებისა და თვითშეფასების კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის დანერგვას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება მისი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწის გზით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში კორუფციის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით სათანადო მექანიზმების დანერგვის უზრუნველსაყოფად.

**ამოცანები:**

**- ბიზნესის კეთილსინდისიერების თემატიკისა და რისკების შესწავლა;**

**- ბიზნესის კეთილსინდისიერების თემატიკის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;**

**- კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება კორუფციის პრევენციის მიზნით;**

**- უმოქმედო და არამომგებიანი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შემცირება;**

**- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამების იმპლემენტაცია; ცნობიერების ამაღლება;**

**- გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ზრდა პრივატიზების პროცესში;**

**- კორუფციული რისკების შემცირების მიზნით სახელმწიფო რეგულირების პროცესის ელექტრონიზაცია.**

თუ საქართველო შეძლებს ამ მიმართულებებით სიარულს და ნაბიჯ-ნაბიჯ კიდევ უფრო გააუმჯობესებს და გამოასწორბს ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს ის კიდევ უფრო მიმზიდველი სხვადასხვა ეკონომიკურად მსხვილი ქვეყნებისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1) სტატია,,რა სარგებლობა მოაქვს ასოცირების ხელშეკრულებას’’? ავტორი: პაატა კუპატაძე 28 ნოემბერი 2013.

2) სტატია „საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რეალობა და მომავალი“ ავტორი : ამირან თავართქილაძე.

3) სტატია „პირდაპირი უცხოური ინვეტიციები საქართველოში“ ავტორი : თეონა აბსაძე 16 აპრილი 2014.

4) სტატია ,, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2014 წლის მესამე კვარტალი (წინასწარი მონაცემები)“ დეკემბერი 2014 ეკონომიკის სამინისტრო.

5) სტატია,, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ახალი გამოწვევები’’ ავტორი: ელგუჯა ხოკრიშვილი;

# Does It Exist a Positive Relationship Between Economic Freedom and Economic Growth?

**კლარა ღურწკაია** - დოქტორანტი,
საქართველოს უნივერსიტეტი

The common views about economic freedom and economic growth suggest that, in general, an increase of economic freedom exerts a positive influence on the development of economic wealth. Economic freedom is accepted as one of the most important factor in determining the well-being of people in the world. Furthermore, according to the general views spread worldwide, countries become wealthier, people become richer, social problems decline as the economic freedom increases in the country.

Most of theoretical views suggest that economic freedom is a necessary for democratic development. The dependence on government in a planned economy does not allow them to make their own economic and political choices, in this conditions liberty does not exist. Also, there is no personal choice, voluntary exchange, and open markets without free economic. “Freedom” or “Liberty” are not usual words, in fact they imply a huge history of people struggling for the main point of life: Freedom and Liberty. These magic words gave people impel and motivate to live better. Modern living standards require respecting human rights, personal choice, open markets, protection of private property. As once Adam Smith, Friedrich Hayek and Milton Friedman said, freedom of exchange and market coordination provide the fuel for economic progress.

Economic freedom is essential for the whole society because it affects every aspect of an individual’s life. Economic freedom leads to higher incomes, lower poverty, less unemployment, longer life expectancies, and cleaner environments.  More economic freedom improves well-being and leads to a higher quality of life.

Besides, Economic freedom is the key factor to greater opportunity. What we mean is economic freedom helps to choose how to produce, sell, and use our own resources, while respecting others’ rights to do the same.  While a simple concept, economic freedom is an engine that drives prosperity in the world.

As economic freedom is beneficial for the whole country and society, governments should take real steps to increase the level of economic freedom:

- Provide the security of internal and external market participants;
- Provide inviolability of private property;
- Provide equal, transparent and stable rules for economic life;
- Performance of contracts by individuals;
- Elimination of external participation in the economic life, instead the promotion of competition is highly recommended.

All these discussed above are the advantages of economic freedom authors usually suggest in their working paper. As for practice and observation on real relationship between economic freedom and economic growth, scientists arguments are different and they suggest different views and findings. Some of them are supporting the main idea of strong relationship between economic freedom and economic growth, and some findings approve a contrary opinion and reject strong connection between them. For instance, Hanke and Walters (1997) studied the relationship between economic freedom and GDP per capita and find it to be significant and positive. Leschke (2000) evinced that, in particular, the framework within which the market economy functions and the degree of interventionism in the political process are of great importance for the wealth of nations.

For example, if a correlation between economic freedom and growth can be established, does this imply that economic freedom causes growth, or is it the other way around? On this issue, Gwartney, Lawson, and Holcombe (1999) find that economic growth is not capable of predicting future increases in economic freedom in a significant manner.

One of the authors of the Economic Freedom of the World report, Robert Lawson, says: “The big question is: Do countries that exhibit greater degrees of economic freedom perform better than those that do not? Much scholarly research has been and continues to be done to see if the index of economic freedom correlates with various measures of the good society: higher incomes, economic growth, income equality, gender equality, life expectancy, and so on. While there is scholarly debate about the exact nature of these relationships, the results are uniform: measures of economic freedom

relate positively with these factors.41” The existence of a sustainable statistical connection between economic freedom, the absolute level of well-being and economic growth rates are not the only important thing, but the rates among their surplus. In countries where governments increase economic freedom they increase the level of the economic growth rate. And where the governments limit economic freedom, economic growth slows down and becomes negative. All these are main views about connections of economic freedom and economic growth.

*Table 1. Top ten countries with the Index of Economic Freedom*

| Country | Overall Score 2013 | Overall Score 2014 | Overall Score 2015 | Index of Economic Freedom growth 2014 | Index of Economic Freedom growth 2015 |
|---|---|---|---|---|---|
| Hong Kong | 89.3 | 90.1 | 89.6 | 1% | -1% |
| Singapore | 88 | 89.4 | 89.4 | 2% | 0% |
| New Zealand | 81.4 | 81.2 | 82.1 | 0% | 1% |
| Australia | 82.6 | 82 | 81.4 | -1% | -1% |
| Switzerland | 81 | 81.6 | 80.5 | 1% | -1% |
| Canada | 79.4 | 80.2 | 79.1 | 1% | -1% |
| Chile | 79 | 78.7 | 78.5 | 0% | 0% |
| Estonia | 75.3 | 75.9 | 76.8 | 1% | 1% |
| Ireland | 75.7 | 76.2 | 76.6 | 1% | 1% |
| Mauritius | 76.9 | 76.5 | 76.4 | -1% | 0% |

*Source: http://www.heritage.org*

We will try to find any interconnection between Economic growth and Economic freedom to strengthen these hypotheses or recant them. We will make measurements based on the last 3 year dates, and we will compare Index of Economic Freedom and GDP growth to find out if countries top countries with highest scores of economic freedom have the highest GDP, or vice versa.

[41] kansaseconomicfreedom.com/the-importance-of-economic-freedom

*Table 2. GDP based on PPP valuation (Current international dollar (Billions))*

| Country | GDP 2013 | GDP 2014 | GDP 2015 | GDP Growth 2014 | GDP Growth 2015 |
|---|---|---|---|---|---|
| Hong Kong | 382.9 | 397.5 | 412.3 | 4% | 4% |
| Singapore | 433.5 | 452.7 | 470.6 | 4% | 4% |
| New Zealand | 151.7 | 158.9 | 165 | 5% | 4% |
| Australia | 1051.2 | 1095.4 | 1136.6 | 4% | 4% |
| Switzerland | 456.9 | 472.8 | 480.9 | 3% | 2% |
| Canada | 1530 | 1591.6 | 1640.4 | 4% | 3% |
| Chile | 396.2 | 409.3 | 424.2 | 3% | 4% |
| Estonia | 34.4 | 35.6 | 36.8 | 3% | 3% |
| Ireland | 213.3 | 226.8 | 237.6 | 6% | 5% |
| Mauritius | 22.3 | 23.4 | 24.4 | 5% | 4% |

*Source: Own measurements of author, dates are taken from the websites: www.heritage.org, and www.knoema.com*

From the table 1 and table 2 we can see that top countries with the Index of Economic Freedom have GDP growth in 2013, 2014 and 2015 years. For instance, Hong Kong Index of Economic freedom was 89.3 scored and raised by 1% next year and GDP raised for 4% in 2014 year compared to 2013 year. As for 2015 year Index of Economic Freedom for Hong Kong decreased, but still the growth of GDP is 4% compared to 2014 year. As for Singapore Index of Economic Freedom was 88 in 2013 and then in 2014 it increased by 2 % and at the same time *GDP based on PPP valuation was* 433.5 in 2013, which increased by 4% compared to 2014 year. On the following year GDP based on PPP valuation increased by 4% again while Index of Economic Freedom stayed the same scored 89.4.

If we compare Index of Economic Freedom score growth to the GDP growth, we can conclude that there is no correlation between them. As a matter of fact, none of the countries rated as the most Economically free countries are not in the list of countries with high GDP (see Tables 1 and 2, Figures 1. and Figures 2. below). Hong Kong ranks one hundred and seventh place in the world by gross domestic product, Singapore ranks one hundred and thirteenth place in the world by gross domestic product and New Zealand rank 81st place in the world according to 2014 year.

*Figure 1.*




*Figure 2. Growth trend of the Index of Economic Freedom and GDP growth trend based on PPP valuation (2013-2015 years)*




Source: *Own measurements of author, datas are taken from the websites:* www.heritage.org, *and* www.knoema.com

One of the core aspects for countries are wages. After researching countries with GDP and Economic freedom, we looked through the average monthly wages of the top economically free countries. As we see from Figure 3. The line of average monthly wages are raising as the GDP raises. In 2012 year average monthly wage increased from 13250 to 13600, and GDP raised from 1 to 1.8. As

for in 2013 year, despite of the GDP growth in the first and second quarter of 2013 year, it increased from 1.8 to 3.2 compared to the last year, the average monthly wage decreased from 13600 to 13450, and in the third and fourth quarter of 2013 year while GDP decreased from 3.2 to 2.8, average monthly wage increased to from 13450 to 13900. In 2014 year, GDP decreased and become 1.8 like in 2012, but still the average monthly wages continues to grow and it is more than 14200. Besides, Index of economic freedom increased in this period by 1% in 2014 year (see figure 3.).

*Figure 3. Hong Kong GDP Annual Growth compared to average monthly wages (for 2012-2015 years)*




*Sources: www.tradingeconomics.com*

Compared to Hong Kong, Singapore GDP and average monthly wage does not follow to each other's trend. As for the index of Economic freedom, in 2014 it increased by 2% and at the same time average monthly wage in the first and second quarter increased importantly. From 4200 it increased to 5100 compared to 2013 year. There was no index change in 2015 year for Singapore, while the average monthly wage decreased dramatically in the end of 2014 year and then it increased to 5000, while GDP continues to decrease. Again we see, that there is no strong correlation between high incomes, wages and economic freedom after comparing Singapore and Hong Kong, as Robert Lawson suggested above (see Figure 4).

**Figure 4. Singapore** ***GDP Annual Growth compared to average monthly wages (for 2012-2015 years)***




*Sources:* *www.tradingeconomics.com*

In the list of top economically free countries, on the third place is ranked New Zealand. Here we see quite different picture. While the average monthly wages increases GDP decreases slightly in the first two quarter in 2012 year, in the fourth quarter GDP increases and average monthly wages stays the same. From 2013 year average monthly wages has increasing trend and it continues to increase until 2015 year. During this period GDP for New Zealand has not the same increasing trend in 2013 year when GDP decreased from 2.4 to 2.1. In 2014 GDP increases and slightly follows the average monthly wages trend, despite of this Index of Economic Freedom does not improve and declines from 81.4 to 81.2. Of course we **do not approve** that declining of economic freedom causes GDP improvements or wages decline, *nevertheless* in our opinion there is no strong relationship between index of economic freedom and various measures of the good society, like higher incomes, economic growth, income equality, gender equality, life expectancy, and so on (see figure 4.).

**Figure 4. New Zealand** ***GDP Annual Growth compared to average wages (for 2012-2015 years)***




*Sources:* *www.tradingeconomics.com*

***If we have theoretical reasons to expect a positive relationship between economic freedom and economic growth, does empirical evidence confirm this effect?*** In our research answer this question negatively. From our working paper we suggest that non of the top countries with high Index of Economic freedom was listed in the top of countries with high GDP. In addition to this, as the GDP is one of the main economic measurements of economic growth, we can conclude after the research results that economic freedom and economic growth has no positive relationship. In our opinion, if a country has improved the rank in the list index of Economic Freedom, it does not mean that we should expect economic growth in this country. No results showing that economic freedom hampers growth or that it is associated with lower GDP per capita have been reported. In conclusion, economic freedom does not predispose the economic growth.

## კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება

**ანა ურუშაძე** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგადად, ეკონომიკა, ბერძნულისიტყვა, ქართულად განიმარტება, როგორც საოჯახო მმართველობა, უფრო ფართო გაგებით კი ეს არის სოციალური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. ამ სოციალურ მეცნიერებას საფუძველი მე-18 საუკუნის ბოლოს ჩაეყარა ადამ სმითის მიერ, რომელმაც შექმნა კლასიკური ეკონომიკური სკოლა.

ეკონომიკური მეცნიერების ორი უმთავრეის დარგია: მაკრო და მიკრო ეკონომიკა.

ეს ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ზოგადი მიმოხილვაა და მისი ცალკეული ასპექტების წარმოჩენა. თუმცა უფრო ყოფითად რომ განვიხილოთ და გასაგებად წაროვაჩინოთ , ეკონომიკა ეს ჩვენი მაცივარია, ჩვენი ჯიბეა, დილემაა, წარმოქმნილი ჩვენს სურვილებსა და შესძლებლობებს შორის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2014 წელს განსაზღვრავდა ჩვენი ქვეყნის რეიტინგსაც ამ კუთხით. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მხრივ 16 ქულა აქვს მინიჭებული და რეგიონში ამ მხრივ ის ლიდერობს. ასევე ეს ანგარიში საინტერესოა იმდენად, რამდენადა ჩვენ ვიგებთ რომ ეკონომიკური თავისუფლება ხუთი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება. ესენია:

1. მთავრობის ზომა
2.სამართლებრივი სტრუქტურა
3.მყარი ვალუტა
4.საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება
5.რეგულაციები.

და მაინც რა არის ეკონომიკური თავისუფლება?

რამაზ გერლიანი, თსუ-ს ეკონომიკიისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორი, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი დირექტორი, ეკონომიკური თავისუფლების ცნებასა და მნიშვნელობას ასე განმარტავს:

„სახელმწიფოს ღერძი არის თავისუფალი ადამიანი, ეკონომიკური სისტემისა კი – ეკონომიკური თავისუფლება''.

თავისუფლება ის ძირითადი ელემენტია, რომელმაც მთელი კაცობრიობის ისტორიაში პროგრესი შვა და საზოგადოება დღემდე მოიყვანა. თავისუფლება სწორედ ის ძირითადი ქვაკუთხედია, რომელიც აერთიანებს პერსონებს და ქმნის საზოგადოებას, ერთობას, ძალას.

თავისუფლება უდიდესი მადლია, თუმცა, არ შეიძლება იგი ყველაფრის უფლებად აღვიქვათ. თავისუფლება ნიშნავს მოვალეობასაც, რაც საკუთარი თავის განკარგვისა და სხვისი თავისუფლების აღიარებაში, პატივისცემაში გამოიხატება. საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია – ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ნიადაგს ნოვაციებისთვის. ყოველივე ზემოხსენებულის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ სახელმწიფომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს ქვეყნებს შიგნით თუ საერთაშორისო დონეზე.

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებში გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი, რეგენერაციის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ამრიგად, მიზანი და ამოცანა მდგომარეობს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის განსაზღვრაში და მის მნიშვნელობაში თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში. უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური რეგულირების სფეროები ეკონომიკური თავისუფლების ხარისხობრივი ზრდის კვალობაზე.

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია თავისუფალი არჩევანის ხარისხზე. აქ იგულისხმება არა ყოველგვარი არჩევანი, არამედ ეკონომიკური აქტიურობათა ოპტიმალური არჩევანი. ამრიგად, ჩვენეული დეფინიცია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხისა არის შემდეგი:

> რაც მეტია ოპტიმალურ ალტერნატივათა რაოდენობა (რიცხვი), რომელთა ცალ-ცალკე არჩევას შეუძლია ოპტიმალური და რაციონალური (მომგებიანი) შედეგის მოტანა, მით მეტია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი. <

თანამედროვე საზოგადოება თანხმდება ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობაში. თუმცა ისმის ბუნებრივი კითხვა, თუ როდის უნდა მოხდეს ეკონომიკური თავისუფლების დასაცავად სახელმწიფოს მხრიდან მისი პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის რეგულირება. პასუხი ერთი შეხედვით მარტივია – მაშინ, როდესაც არჩევანი იზღუდება, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ეკონომიკური რეგულირება, როცა ირღვევა თავისუფალი, ალტერნატიული და ოპტიმალური არჩევანი, ეკონომიკაში მოქმედ ერთეულთათვის ისე, რომ მას საბაზრო რეგულატორები (მოთხოვნა, მიწოდება, ჯანსაღი კონკურენტული გარემო და A ა.შ.) ვერ არეგულირებენ. ამრიგად, აუცილებელი ხდება ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან და ამის მაგალითია მონოპოლიები. მონოპოლია არის ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე დიდი გამოვლინება და მნიშვნელობა არ აქვს რა სახის მონოპოლიაა. გარდა ბუნებრივი და წმინდა გონებრივი შესაძლებლობებისა, ეს უკანასკნელი სამომავლო განვითარებისა და პროგრესის წყაროა და ამავდროულად სამართლიანიც. გარდა ამისა, როდესაც საუბარია ოპტიმალურ არჩევანსა და იმ რაციონალურ ალტერნატივებზე, რომელთაც შეუძლიათ ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ეკონომიკურად დადებითი შედეგების მოტანა, ვგულისხმობთ შესაბამის გარემოს, რომელშიც სამქიმიანი სასწორის პრინციპით საზოგადოებრივი ინტერესებია გაწონასწორებული:

ა) ადამიანის, საზოგადოების კეთილდღეობა;

ბ) ეკონომიკურ ერთეულთა არსებობის ზღვრული არეალი (რომლის მიღმაც ისინი ვერ წარმართავენ ეკონომიკურ საქმიანობას, წინაამღდეგ შემთხვევაში ლიკვიდაციას განიცდიან);

გ) სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინტერესი.

სწორედ ამ სამ მხარეს შორის უნდა მოხდეს წონასწორულად ყველას ინტერესების დაბალანსებული დაკმაყოფილება, ისეთი ეკონომიკურად ოპტიმალური არეალის შექმნა, სადაც მაქსიმალურად იქნება ეკონომიკური თავისუფლება და ამავდროულად სახელმწიფოსა და საზოგადოების (პერსონების) ინტერესები და თავისუფლება დაცული.

როგორც ვნახეთ, ეკონომიკური თავისუფლების განმსაზღვრელი ხუთი კომპონენტიდან ერთერთი იყო სამართლებრივი სტრუტურა, რომელიც , თავის მხრივ, თავის თავში საკუთრების უფლებასაც მოიაზრებდა. ეს პუნქტი ცალკე საჭიროებს დაკონკრეტებას და განმრატებას.

საკუთრება და თავისუფლება ადამიანური არსებობის უპირველესი და ყველაზე მთავარი პირობაა, ადამიანი, როგორც მოაზროვნე, სოციალური, პოლიტიკური თუ რელიგიური არსება, ასეთად იქცა მხოლოდ მას შემდეგ რაც შეძლო ამ ორი ცნების მოპოვება და გააზრება.

მოდით ცოტახნით წარსულში გადავინაცვლოთ და კიდევ ერთხელ გავიაზროთ ის განვლილი გზა ადამიანთა თანაცხოვრების რომელმაც დღემდე ასეთებად მოგვიყვანა, არსად ისე ნათლად და ფაქტებით გამყარებული არ ჩანს, საკუთრების და თავისუფლების უპირველეს მიზნად დასახვის სურვილი და ამისთვის ბრძოლა ადამიანთა მხრიდან, როგორც უკვე განვლილი და მომხდარი მოვლენების გააზრებისას.

ადამიანი იბადება მხოლოდ იმისათვის რომ მან საკუთარი სიცოცხლის წლები განვლოს, საკუთარი შესაძლებლობების ფასად და განსხვავებულად ყველა სხვა ცოცხალი არსებისგან. აქ უკვე ზემოთთქმულის დაშვებისთანავე ჩნდება, ცნება რასაც ჩვენ თავისუფლებას ვუწოდებთ, თავისუფლება სხვა არაფერია თუ არა ადამიანი, თავისი აზროვნებით, მოთხოვნებით, შეგრძნებებით და მიმართებებით გარემო სამყაროსთან და თავად ადამიანებთან, ეს ყოველივე ადამიანს მართალია შეუძლია რომ იქონიოს მაგრამ არც არავინ ჩუქნის მას და სწორედ ესაა უმნიშვნელოვანესი. მან ეს ყოველივე უნდა მოიპოვოს. ნებისმიერი პროცესი ადამიანის არსებობისთვის საჭირო, გარდა ფიზიოლოგიური ზრდის პროცესისა, ქონა-არქონასთანაა დაკავშირებული. ადამიანს ან აქვს აზროვნების, მუშაობის და კომუნიკაციის უნარი ან არა. მაგრამ ეს ყოველივე მისგან დამოუკიდებლად, განსხვავებით ბიოლოგიური პროცესისა, არ ხდება. ადამიანზეა დამოკიდებული ყოველივე იმ უნარების შეძენა-გამომუშავება რაც მისი არსებობისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ფაქტორი. მაშინ ისეთივე აუცილებლობაა საჭირო, ყოველივე იმის შენარჩუნებისთვის რაც მან საკუთარი შესაძლებლობების ფასად მოიპოვა, როგორც სიცოცხლის ბიოლოგიური პროცესი და თქმა ან დაშვება იმის, რომ ადამიანისთვის არსებობს რაიმე, რაც უფრო მნიშვნელოვანია მისთვის ვიდრე საკუთარი შესაძლებლობებით მოპოვებული ცხოვრება და სიცოცხლე, უბრალოდ არაკომპეტენტური საქციელია და ამაზე არც არავინ დაობს.

მაგრამ კაცობრიობა მთელი არსებობის მანძილზე დაუსრულებლად კამათობს იმის გარშემო თუ რისი უფლება აქვს და რისი არა თვითოეულ ინდივიდს. ადამიანებმა დაუსრულებელი თეორიები და სისტემები შევქმენით რათა გაგვეუმჯობესებინა და უფრო მეტი კეთილდღეობისთვის მიგვეღწია, მაგრამ დღესაც კი 21 საუკუნეში ადამიანთა უმეტესი უმრავლესობა ვერ შევთანხმდით იმ უმარტივეს და ყოვლის მომცველ ჭეშმარიტებაზე რომ ადამიანური არსებობის გამართლება და არსი ამ ორი ცნების ერთიანობაში და უპირველესობაშია.

ეკონომიკის მარტივად გაგების საფუძველში ორი ფაქტი დევს: დედამიწა და ყველაფერი რაც მასზე იმყოფება ღმერთის შექმილია და მას ეკუთვნის. ქვეყნიერების შექმნის დასაწყისში მან ადამიანს უფლება მისცა, რომ ყველანაირი მიწიერი სიკეთით ესარგებლა (დაბ. 1:27-28) კაცობრიობა ცოდვის ჩადენის გამო, დაცემული ქმილებაა და ადამიანთა შორის ყველა ურთიერთობა, მათ შორის ეკონომიკურიც, ცოდვისა და მანკიერების დაღს ატარებს, ამიტომაა რომ სრულყოფილი ურთიერთობები შეუძლებელია. ვერავითარი ეკონომიური სისტემა, იქნება ის კაპიტალისტური, სოციალისტური კომუნისტური თუ ნებისმიერი სხვა, უუნაროა იმაში, რომ ადამიანის ყველა საჭიროებები დააკმაყოფილოს. უკეთეს შემთხვევაში მაღალგანვითარებულ ეკონომიკურ სისტემას შეუძლია, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილი ღირსეული მატერიალური არსებობით უზრუველყოს.

არცერთ ეკონომიკურ სისტემას არ შეიძლება ქრისტიანული ეწოდოს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი სხვებთან შედარებით უფრო ახლოს დგას ღმერთის სიტყვასთან. ეკონომიკის დარგში ძირითადი ბიბლიური პრიციპებია:

1. საკუთრების უფლება;
2. თავისუფალი მეწარმეობა;
3. გულმოდგინე შრომა;
4. ქველმოქმედება.

წმინდა წერილი საკუთრების არცეთ ფორმას უპირატესობას არ ანიჭებს. კერძო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო, მუნიციპალური, კორპორაციისა და საკუთრების სხვა ფორმები, არსებობის თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუქციას საკუთრების ყველა ფორმის დაცვა წარმოადგენს. საკუთრების თვითნებური

გადანაწილება ან გასხვისება დაუშვებელია, რადგან ამით ღმერთის ერთ-ერთი ფუძემდებლური მცნება ირღვევა: ,,არ მოიპარო'' (გამოს. 20:15)

საკუთრების უფლების დაცვის მყარი გარანტია ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. კერძო საკუთრება, საერთო საკუთრებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს და თითოეული მათგანი ჩაითვლება ამ ქონების თანამესაკუთრედ, უკვე დიდი ხანია აღიარებულია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად. ეს უფლება დაცულია თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოს კანონმდებლობაში. კერძო საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს უზენაეს კანონშიც – საქართველოს კონსტიტუციის 21 მუხლში 1, თუმცა ბოლო პერიოდში ეს უფლება გარკვეულწილად შეირყა. კერძო საკუთრების ნგრევისა და ჩამორთმევის ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში. თბილისში საკუთრების ხელყოფის კონკრეტული შემთხვევები პირველად სააშკარაოზე მედიისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოიტანეს.

**კერძო საკუთება** - საკუთრების ერთ-ერთი ფორმაა და ნიშნავს ფიზიკური ან იურიდიული პირის აბსოლუტურ, კანონით დაცულ უფლებას კონკრეტულ ქონებაზე (მიწაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე და ა.შ.). თავად ტერმინები „საკუთრება“ და „კერძო საკუთრება“ პირველად ძველ რომაულ სამართალში გვხვდება. საფრანგეთის რევოლუციამ აღიარა ეს უფლება, როგორც წმინდა და ხელშეუხებელი. მართალია, დღეს მის სიწმინდეზე უკვე აღარ საუბრობენ, თუმცა მის განუყოფლობასა და ხელშეუხებლობას ყველა ცივილიზებული ქვეყანა აღიარებს.

თუმცა ხშირია შემთხვევები , როდესაც კერძო საკუთრები დამტკიცების კუთხით პრობლემები წარმოიქმნება და ადამიანის ეს ერთერთი ფუნდმენტური უფლება ილახება.

ამას ცხადყოფს, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება,რომლის მიხედვითაც, კერძო საკუთრების სახელმწიფოზე ჩუქების ტენდენციამ მასობრივი სახე 2006-2007 წლებში მიიღო და დღემდე გრძელდება. მათი განმარტებით, კერძო საკუთრების უფლების შელახვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ტურისტულ ზონებში მცხოვრებ ადამიანებს აწუხებთ. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს"

წარმომადგენელი ნინა ხატისკაცი აცხადებს, რომ საგადასახადო სამსახურს სახელმწიფო ზოგჯერ მეწარმეზე ზეწოლის მექანიზმად იყენებს.

ეს რეალური პრობლემაა და ზოგჯერ რეალობაც ასეთია. არადა ზემოთ განხილულიდან კარგად იკვეთება რომ ეკონომიკური თავისუფლება ძლიერი სახელმწიფოს გარანტია, თავად ეკონომიკის თავისუფლებას კი საკუთრების უფლება და კერძოდ გააზრებული კერძო საკუთრების არსი განაპირობებს. მთავარი მიზანი და ამოცანაც ესაა : გააზრებულ იქნეს სწორად კერძო საკუთრების არსი და მისი ურთიერთმიმართება, როგორც გარანტისა, ეკონომიკური თავისუფლების მიმართ. წინა პლანზე გამოიკვეთოს ის რომ ეკონომიკური თავისუფლების მყარ საყრდენს კერძო საკუთრება წარმოადგენს და რომ, თავის მხრივ, კერძო საკუთრების სწორი და ადეკვატური გაგება ეკონომიკის თავისუფლებასაც განაპირობებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. http://b2p.ge/%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%99/

2.http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

3.http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12426

4.https://chikovani.wordpress.com/2009/06/16/%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A/

5. http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/108371/

6.http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Fraser_2014_1_geo.pdf

**7.** გრეგორი მენქიუ- ‘ეკონომიკის პრინციპები’, გამომცემლობა „დიოგენე“, 2000 წელი. 302 გვ-309 გვ

# Economic Freedom And Economic Growth

**ნიკა ივანიძე** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ნინა გრიგორიანი** - ბაკალავრიატი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ***Introduction***

One of the most enduring questions in economics is what causes economies to grow. The full title of Adam Smith's well-known treatise, *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations,* published in 1776, clearly shows that the causes of prosperity were Smith's primary concern. He concluded that free markets, the protection of private property rights, and a minimal government presence in the economy lead to prosperity. In other words, economic freedom leads to economic growth.

Adam Smith made the case that prosperity is produced through a competitive market economy. In such a setting, Smith noted in one of his more famous observations, individuals pursuing their own interests are led as if by an invisible hand to do what is best for the whole society. To promote resource allocation in competitive markets, Smith advocated low taxes and government expenditures, the protection of private property rights, and low tariffs to promote international trade. In other words, Smith argued that if a market environment were created and maintained, the economy would grow and prosper.

Most studies of the relation between economic freedom and growth of GDP have found a positive relation. The main purpose of our research is to show how economic freedom is related to the economic growth and prosperity.

- ***The Importance of Economic Freedom***

Nations like Japan, Taiwan, South Korea, Hong Kong, and Singapore were poor only a few decades ago. Nations, that shunned the market system in favor of central economic planning, like the Soviet Union, China, and India, had economies that languished. Now that those formerly socialist countries are moving toward economic freedom, their economies have started to grow. The casual evidence is so clear that there is now a worldwide movement toward more economic freedom. Yet, as compelling as this casual evidence is, it still leaves open the question of what, exactly, the components of economic freedom are, and how much effect they have on economic growth.

A number of recent academic studies have helped shed light on this issue. The most in-depth examination of economic freedom is a study by James Gwartney, Robert Lawson, and Walter Block, Economic Freedom of the World: 1975-1995, published in 1996 by the Fraser Institute. They develop a

good numerical measure of economic freedom and show that it is strongly correlated with economic growth. Other academic studies have produced similar results, providing evidence that an environment of economic freedom will attract the inputs necessary to produce economic growth. Those studies examine many other factors, but conclude that the key ingredient is economic freedom. After a century in which the theory of economic growth had moved steadily away from the ideas of Adam Smith, economists are now returning to them to show how economic freedom is vital to prosperity.

- ***Measuring Economic Freedom***

In the 1980s, scholars began to measure and rate economies based on their degree of economic freedom. Organizations such as Freedom House, the Heritage Foundation, and the Fraser Institute, as well as individual scholars, published "economic freedom indexes" attempting to quantify economic freedom. They came up with an ambitious, and necessarily blunt, measure.

In 1996, the Fraser Institute, along with a network of other think tanks, began publishing the Economic Freedom of the World (EFW) annual reports, which present an economic freedom index for more than 120 nations. Using data from the World Bank, International Monetary Fund, *Global Competitiveness Report, International Country Risk Guide*, PricewaterhouseCoopers, and others, the report rates countries on a zero-to-ten scale. Higher scores indicate greater economic freedom. The overall index is based on ratings in five broad areas. Counting the various subcomponents, the EFW index uses thirty-eight distinct pieces of data. Each subcomponent is placed on a scale from zero to ten that reflects the range of the underlying data. The component ratings within each area are averaged to derive ratings for each of the five areas. In turn, the summary rating is the average of the five area ratings. The five major areas are:

- ***Size of government***. To get high ratings in this area, governments must tax and spend modestly, and *MARGINAL TAX RATES* must be relatively low. While governments are important in protecting property rights, enforcing contracts, and providing some services, as governments grow they inevitably infringe on people's economic freedom to engage in trade and enjoy the fruits of their labor.
- ***Sound money***. It might not be clear at first why this is a measure of freedom rather than just a measure of good economic policy. But money would likely be sound if the government did not have a legal MONOPOLY over the MONEY SUPPLY. Therefore sound money is a measure of how much the government refrains from abusing its monopoly power. To get high ratings here, a country's INFLATION must be low and stable, and the government must permit people to own currencies of other nations.
- ***Property rights and rule of law***. This area measures the consistency of a country's legal system with the protection of property, enforcement of contracts, and evenhanded application of the law. This is perhaps the most important area of economic freedom, as economic freedom requires that people be

secure in their persons and physical property; it also requires a judicial system that enforces contractual agreements fairly.

• ***International trade***. Countries that refrain from enacting protectionist tariffs, quotas, and capital controls get higher ratings in this area . Economic freedom means that people can engage in trade with any person of their choosing. If the government taxes or otherwise prevents people from buying or selling with people in other countries, it reduces their freedom.

• ***Regulation***. REGULATIONs such as interest-rate controls (usury laws), restrictions on bank ownership by foreigners, MINIMUM WAGES, military CONSCRIPTION, business licensing, and PRICE CONTROLS are included. Such controls and regulations violate the principles of economic freedom. To get high ratings, countries must refrain from such regulations, leaving people free to set prices, open businesses, and trade.

- ***Economic Freedom in Georgia***

Georgia's economic freedom score is 73.0, making its economy the 22nd freest in the 2015 Index.[42] Its overall score has increased by 0.4 point since last year, primarily reflecting improvements in freedom from corruption, monetary freedom and the management of government spending that out weight a notable decline in labor freedom. Georgia is ranked 11th out of 43 countries in the Europe region, and its score is well above the regional average.

With a 2.6- point score increase over the past five years, Georgia has registered improvements in five of the economic freedoms, including freedom from corruption, the control of government spending business freedom, monetary freedom and investment freedom. Achieving its highest score ever in the 2015 Index, Georgia has advanced further into the category of "mostly free".

A decade of solid increases in economic freedom has contributed to the dynamic expansion of Georgia's economy. Sound public finances and politics that support open markets have boosted prosperity and reinforced Georgia's commitment to economic freedom. However, not all of the pillars of economic freedom are fully entrenched. Rule of law remains weak, and the perceived level of corruption, though improving, is higher than average for a European country.

[42] www.heritage.org

- ***Regression Analysis***

The following table includes data about GDP real growth rate

| Years | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **Economic growth** | 111.1 | 105.9 | 109.6 | 109.4 | 112.6 | 102.6 |
| **Years** | **2009** | **2010** | **2011** | **2012** | **2013** | **2014** |
| **Economic growth** | 96.3 | 106.2 | 107.2 | 106.4 | 103.3 | 104.8 |

$$Y = 38.12776 + 0.01033404X$$

*Standard e - - - -* *(4.144588)* *(0.014691)*




R-squared = 0.8318

Approximately the $R^2$ = 83,2%

This chart shows us the connection between Economic Freedom Index and GDP in 2003-2014 years.

We took the Economic Freedom Index as an independent variable factor (Y) and the GDP – GDP per capita in the constant 2003 prices - as a depended variable (X). On this chart is given a regression line that shows that relationship is linear and the adjusted R-squared is approximately equal to 83,2%. This result is important, because the adjusted R-squared compares the explanatory power of regression models that contain different numbers of predictions.

So, we can explain that the connection between these variables is really strong.

- ***Graphical Analysis***







The first chart describes how to was changing Georgians GDP between 2003-2014 years. The GDP dynamic was very changeable in that period time, so we can say by the Economic theoretical definitions that a variation coefficient was significantly high (approximately – 19 units). Each year has its same explanation, but most noteworthy are following periods: 2008-2009 and 2012-2013. There was the August War, in 2008 and that was a really big reason for decreasing the Georgian economic growth in 2009. Then, since of the new government coming was the GDP growth reducing in 2012 and it began to increase slowly force of some unremarkable changes and the logarithmic trend, given in red color, shows the same example.

What about the second chart, with its red trend line? From 2003 to 2006 there was a rapidly increasing, but then the economic freedom index grew slowly and from 2014 its importance appeared under the red trend line. So it seems from the Georgian economic processes, that these both variables: Economic Growth and Economic Freedom Index were moving to the same directions.

## ➢ ***Conclusion***

As we see above has influence on economic freedom. Economic freedom contains a number of components, all of which must be in place for an economy to grow. An economy must have:

- A stable monetary system;
- Secure private property rights;
- An impartial legal system;
- Low taxes, minimal government;
- Low barriers to international exchange.

If any of these components are missing, an economy will not grow.

## ➢ ***References:***


1) http://fee.org/freeman/detail/economic-freedom-and-economic-growth
2) http://www.independent.org/newsroom/article.asp?id=310
3) http://www.heritage.org/index/country/georgia
4) http://www.econlib.org/library/Enc/EconomicFreedom.html
5) http://www.heritage.org/index/pdf/2014/book/index_2014.pdf
6) http://www.freetheworld.com/papers/berggren_review.pdf

# ეკონომიკური თავისუფლება და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება დაბეგვრის შესახებ

**სალომე პეტრიაშვილი** - ბაკალავრიატი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, ითვალისწინებს ევროკავშირთან, შესაბამისად ევროპულ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან დაახლოების მნიშვნელოვან და რეალურ მექანიზმებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ გულისხმობს ევროკავშირში გაწევრიანებას, (მაგ. თურქეთთან ასოცირების ხელშეკრულება ჯერ კიდევ 1960 წელს იქნა ხელმოწერილი, მაგრამ აღნიშნული ქვეყანა დღემდე არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრს). თუმცა, **ასოცირების შეთანხმება ევროკავშირის კანონმდებლობასთან (acquis) დაახლოების იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს.** ამასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და თანდათანობითი, ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალური მექანიზმია.

**მაგრამ, კარგად უნდა გავიაზროთ ის, რომ შეთანხმება უამრავ ხელშემწყობ უფლებასთან ერთად, მრავალ ვალდებულებასაც წარმოშობს. უპირველესად, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სათანადოდ აღსრულება, რაც გულისხმობს - დათქმულ ვადებში კონკრეტული ვალდებულებების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და რაც მთავარია, მისი განხორციელების ინსტრუმენტების ევროპული „სტანდარტის" შემოღებასა და დამკვიდრებას. იგი ითვალისწინებსსაქართველოსკანონმდებლობისდაახლოებასევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.** შესაბამისად, ეტაპობრივად შესამუშავებელია ან/და შესაცვლელია საკანონმდებლო, ნორმატიული (ბრძანება, წესი, ინსტრუქცია და სხვა), ქვენორმატიული აქტების მთელი წყება, რომელმაც კანონის აღსრულების ევროპული იმპლემენტაციის მექანიზმი უნდა შექმნას.

**მაგრამ, რამდენადაა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მზად ამ ცვლილებებისათვის,** როცა სულ ახლახანსანტიდისკრინიმაციული კანონის მიღებას

რეალურად მცირე ჯგუფების, მაგრამ ხმამაღალი, ზეტმეტად აჟიტირებული ადამიანების ვნებათაღელვა მოყვა.

**სწორედ ამიტომ, ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების სწორად ინფორმირებასა და ჩართულობას.**

სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული პუბლიკაციის ძირითადი შინაარსი, რომელიცითვალისწინებს ამ შეთანხმების მხოლოდ ერთი თავის (V) - **ეკონომიკურითანამშრომლობისა და დაბეგვრის საკითხების განმარტებასა და გააზრებას.**

ამ თავის პრეამბულაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ **„ევროკავშირი და საქართველო ხელს შეუწყობენ ეკონომიკური რეფორმების პროცესს თავიანთი შესაბამისი ეკონომიკების ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის გზით.“**

დარწმუნებული ვარ, რომ შემთხვევითი არ არის ამ ჩანაწერის არცერთი სტროფი. ამ შემთხვევაში გამოვყოფდი - „ **ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის მიზნებს.**

ამავე დროს, ასოცირების ხელშეკრულების ეს თავი, პრაქტიკულად, უპირველესად ამ ვალდებულებებს წარმოშობს. **„საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს და ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური, საგადასახადო და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება“.**

დასამალი არ არის, რომ ათეულ წელზე მეტია მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ მოხსენებებში საქართველოს შესახებ, თითქმის უცვლელი რჩება ფორმულირება **„ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია სამეწარმეო და საგადასახადო კულტურის დონე. გადამხდელთა დიდი ნაწილი გაუთვითცნობიერებულია გადასახადების გადახდის, გაანგარიშების წესებსა და რაობაში“.**

ახალს არაფერს ვიტყვი, განვმარტავ - შეფასება რეალურია, შესაძლებელია უფრო მკაცრიც ყოფილიყო. სამწუხაროდ, ათეული წლებია ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა გადასახადის გადამხდელსა და გადასახადის ამკრეფს შორის უფლება მოვალეობათა თანაბარზიარი ურთიერთობები.

ასოცირების ხელშეკრულების ამ თავში, შემდგომში, ხაზგასმულია, რომ „**მხარეები ითანამშრომლებენ საგადასახადო სფეროში კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით“.** ალბათ ყველასათვის გასაგებია, რა იგულისხმება თანამშრომლობა - „**კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით“. ეს არის საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ისეთი კლიმატისა და მექნიზმების შექმნა, როცა გადასახადის გადამხდელი და გადასახადის ამკრეფი თანასწორი სუბიექტები არიან, ერთსაც და მეორესაც თავის უფლებებთან ერთად კარგად აქვს გათავისებული თავისი მოვალეებები.** როცა, გადასახადის ამკრეფი არა მხოლოდ, ჩასაფრებული დამსჯელი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ გადამხდელის დამხმარე, მომსახურე რგოლია.

საგადასახადო ურთიერთობათა, რეგულაციების ასეთი სტანდარტია - ევროპაში, ამ დონის თანამშრომლობის სტანდარტის მიღწევას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება.

ასოცირების ხელშეკრულების 280-ე მუხლის გათვალისწინებით, „ **მხარეები აღიარებენ და ვალდებულებას იღებენ, რომ შეასრულებენ საგადასახადო სფეროს კარგი მმართველობის პრინციპებს, როგორებიცაა მაგალითად, გამჭვირვალობის, ინფორმაციის გაცვლისა და სამართლიანი საგადასახადო კონკურენციის პრინციპებს, ხელს შეუწყობენ კანონიერი საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებას, და მიიღებენ ზომებს ზემოთ ხსენებული პრინციპების ეფექტიანი შესრულებისათვის.“**

იქვე 282-ე მუხლი განმარტავს, რომ „**მხარეები ასევე გააძლიერებენ და გააღრმავებენ თავიანთ თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრირების განვითარებას, მათ შორის, გადასახადების შეგროვებისა და კონტროლის შესაძლებლობის გაძლიერებას, უზრუნველყოფენ გადასახადების ეფექტიან შეგროვებას და გააქტიურებენ ბრძოლას საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ.**“

ამ ნაწილში განსაკუთრებული მინიშნება კეთდება აქციზურ საქონელთან დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ საპასუხო ქმედებების განსახორციელებლად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს თანამშრომლობა მოიცავს, მათშორის, თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის ტარიფების, შეძლებისდაგვარად, ეტაპობრივ დაახლოებას, ანუ ზრდას.

ამასთან ერთად, მუხლი 285-ის მიხედვით ,საქართველოს ეკისრება ცალმხრივი ვალდებულება, რომელიც იმპერატიულ ნორმად ყალიბდება, რომ **„მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე ხელშეკრულების XXII დანართის დებულებების შესაბამისად.**" რომელიც ამ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

აღნიშნული დანართი წარმოადგენს დაბეგვრის ერთიანი და რიგ შემთხვევებში განსხვავებული რეჟიმებისა და წესების, ზოგადად ინსტრუმენტების, მათ შორის საკანონმდებლო რეგულაციების ერთგვარ ჩამონათვალს, რომელიც ეტაპობრივდ უნდა განხორციელდეს. მათ შორის: დამატებითიღირებულებისგადასახადის (დღგ) საერთოსისტემისშესახებ. რომელიც ხუთი წლის ვადაში უნდა ამოქმედდეს.

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში:

- ✓ გადასახადებისგან გათავისუფლება;
- ✓ ოპერაციები ევროგაერთიანების შიგნით;
- ✓ იმპორტი და ექსპორტი;
- ✓ საერთაშორისო ტრანსპორტი და საერთაშორისო ვაჭრობა;
- ✓ დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო 0ისტემის, ანგარიშ-ფაქტურის წარმოების, დეკლარირების, ჩათვლებისა და აღრიცხვის წესები.

ამასთან, განსაზღვრულია ვალდებულებები გარკვეუი საქონლის იმპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული სპეციალური სქემები. მაგ. სპეციალური სქემა ელექტრონული ვაჭრობისთვის და სხვა.

ამავე დანართშია მოყვანილი ის გამონაკლისები, რომელიც დღემდე მოქმედებს ევროკავშირის წევრი გარკვეული სახელმწიფოებისთვის.

ამით იმის თქმა და ხასგასმა მინდა, რომ პრაქტიკულად **ყველა ქვეყანას თავისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით გარკვეულ <u>დათქმას</u> აფიქსირებს საქონლის, რომელიმე სახეობის დაბეგვრის რეჟიმთან ან კონტროლის სპეციალურ მექანიზმებთან დაკავშირებით.**

ამ მიმართებით არც საქართველო იქნება გამონაკლისი. მაგალითად, საქართველო იტოვებს უფლებას, რომ აქციზის გადასახადისგან გაათავისუფლოს ალკოჰოლური სასმელები, რომლებიც წარმოებულია კერძო პირების მიერ მცირე რაოდენობით და გათვლილია სახლში მოხმარებისთვის და არა ბაზარზე გასატანად. ასევე, საქართველო იტოვებს უფლებას, დღგ-ის გადასახადისგან გაათავისუფლოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რომელიც შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ხოლო, საკითხი - „მესამე ქვეყნებიდან მგზავრების მიერ შემოტანილი საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ" გამოიყენება ამ დირექტივის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივშეზღუდვებსაწესებს. ამასთან საყურადღებოა, რომ **ეს დებულებები უნდა შესრულდეს განსხვავებულ ვადაში წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან <u>არა ხუთი არამედ სამიწლისგანმავლობაში</u>** და სხვა. შემდგომი ნაბიჯი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბება და შესატვისი ხელშეკრულების გაფორმებაა.

ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, სწორედ DCFTA წარმოადგენს ევროკავშირთან <u>ეკონომიკური</u> ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირიში და ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. ამასთან, ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფორმირება გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირიში და ბაზარზე და ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდას. ჩვეულებრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლის მომცველი სავაჭრო სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს მაგალითად.: სურსათის უვნებლობა, პროდუქტის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები, და ა.შ. სხვა ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების შექმნას ან/და სახეცვლილებას.

უდაოა, რომ თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ამის პარალელურად თანმდევ რეჟიმში ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; სახელმწიფო ადმინისტრირების (მათ შორის საგადასახადო) ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან. (წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით.)

**მნიშვნელოვანია, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე, გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა.**

ამ ნაწილში **გასათვალისწინებელია და კარგად გასაანგარიშებელია, ის თუ რა მოცულობის შემოსავლები დააკლდება საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილს და რით უნდა მოხდეს მისი კონპესირება. ერთი რამ ფაქტია, ბიუჯეტის შემოსავლები იმპორტიდან მიღებული საბაჟო გადასახადების გარეშე დაახლოებით ¼ -ით შემცირდება, ვფიქრობ, მისი შევსება უპირველესად, უნდა განხორციელდეს სიგარეტის/თამბაქოსა და ალკოგოლური სასმელების აქციზის გადასახადის ეტაპობრივი ზრდის ხარჯზე.**

**„არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა გადასახადი,“** გარდა ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული შიდა მოსაკრებლებისა, მეორე მხარის ტერიტორიაზე საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით. თუმც ჩანაწერის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სახის გადასახდელი და მოსაკრებელი, რომლებიც დაწესებულია ან დაკავშირებულია პროდუქციის ექსპორტთან ან იმპორტთან, არ უნდა აღემატება გაწეული მომსახურების მიახლოებით ხარჯს .

ცალკე აღნიშვნისა და ანალიზის საგანს წარმოადგენს ამ შეთანხმების II–A დანართში ჩამოთვლილი პროდუქტების ნუსხა, რომელიც სატარიფო კვოტის ფარგლებში, საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნას იმპორტირებული ევროკავშირში. ბუნებრივია დაისმება კითხვა, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ამა თუ იმ პროდუქტის იმპორტი აჭარბებს სატარიფო კვოტას. შეთანხმების II–A დანართი ცალსახად განმარტავს ამ პროცესს და ამა თუ იმ საქონლის კვოტით განსაზღვრული ოდენობაზე მეტი მოთხოვნის/ მიწოდების შემთხვევაში, „გამოყენებული უნდა იყოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი/შეღავათიანი საბაჟო გადასახადის განაკვეთი.

ამასთან, **„არცერთმა მხარემ არ უნდა დააწესოს ან შეინარჩუნოს აკრძალვა ან შეზღუდვა მეორე მხარის საქონლის იმპორტზე ან საქონლის ექსპორტზე ან ექსპორტის მიზნით გაყიდვებზე, რომელიც განკუთვნილია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გასატანად“,**

ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ მათი შესაბამისი საბაჟო, საგადასახადო და ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს სტაბილური და ყოვლისმომცველი. ასევე დებულებები და პროცედურები უნდა იყოს თანაზომადი, გამჭვირვალე, **კეთილსინდისიერი,** პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი და სრულდებოდეს ეფექტურად და ერთგვაროვნად.

ბუნებრივია აღნიშვნა - **„მხარეები** უპირველესად ქართული მხარის ვალდებულებებს აყალიბებს, თორემ ევროკავშირის მხრიდან საზღვარზე **კეთილსინდისიერებისა** და ანგარიშვალდებულების, გამარტივებული დოკუმენტაციის სტანდარტიზაციის, საბაჟოზე საქონლის სწრაფი გაშვებისა და გაფორმების უზრუნველყოფის სტანდარტებიბევრად მაღალია.

საქართველოს მხარისათვის მისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია - ტრანზიტული გადაზიდვების თემა. შეთანხმებაში, ამ პროცესის ხელშესაწყობად მხარეები ვალდებულებას იღებენ მათ ტერიტორიაზე არსებულ უწყებებსა და სამსახურებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის. ტრანზიტთან მიმართებაში შესაძლებლობის გათვალისწინებით ევროკავშირის ქვეყნები შეეცდებიან მათი პროგრესული საბაჟო ტრანზიტის სისტემების დანერგვაში საქართველოს ხელშეწყობას და ურთიერთდაკავშირების მიღწევას;

მნიშვნელოვანია შეთანხმება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე. მხარეებს შორის ვაჭრობაში, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მოხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების მიხედვით. საქართველო იღებს ვალდებულებას, რომ გაიზიარებს საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკას, კერძოდ რისკის მართვაზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის სისტემების და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით ფალსიფიცირებულ საქონელთან მიმართებაში და სხვა.

**მნიშვნელოვანი იქნება ხელმოწერის შემდგომი 3-5 წელი, როდესაც ჩვენი ვალდებულებების განხორციელების ეტაპზე გადავალთ.** უპირველესად, მნიშვნელოვანი იქნება იგი საქართველოს ევროპული პერსპექტივის შეუქცევადობის უზრუნველყოფისთვის.

ექსპერტების შეფასებით, ასოცირების შეთანხმების/DCFTA-ის გაფორმებით 6.5%-ით გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 014.8 ათასი აშშ დოლარიდან (2007 წ.) 11.36 მლრდ-ს მიაღწევს (2020 წ.). მაგალითისთვის, პოლონეთში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ინვესტიციების რაოდენობრივი 4.5 ჯერ გაიზარდა. გარდა ამისა, 2012 წელს კომპანია Ecorys-ის (ჰოლანდია) დაCase-ის (პოლონეთი) მიერ DCFTA-ის შედეგების შესახებ ჩატარებული ერთობლივი კვლევის მიხედვით, მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7.5%-ით გაზრდა. დამოუკიდებელი კვლევის თანახმად, მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან ჭრილში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი შეიძლება გაიზარდოს 4.2%-ით ანუ 292 მილიონიე ვროს ოდენობით და სხვა. მაგრამ ყოველივე იმ შემთხვევაში, თუკი ასოცირების ხელშეკრულებას მალევე ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმება მოყვება, სრულფასოვნად გატარდება და შენარჩუნებული იქნება მისი შედეგები. **დღეს საქართველოს სწორედ ამ ჭრილში განიხილება. საქმე სწორედ იმაშია, თუ რამდენად სწორად და დროულად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.**

საყურადღებოა, რომ ამ პროცესების პარალელურად საქართველოში ე.წ. სახელისუფლებო ბეჭდურ და ტელე მედიაში სულ უფრო და უფრო მეტად წარმოჩინდა იმ ექსპერტ სპეციალისტთა მოსაზრებები, რომელიც მკითხველისა და მსმენელისათვის აჩენდა კითხვას, „თუ რამდენად მისაღებია მსგავსი ხელშეკრულება ისეთი სახით, როგორსაც

ევროკავშირი მოითხოვს? რომ ევროპას მხოლოდ თავისი ინტერესები ამოძრავებს და თავისი საქონლის ბაზარი სჭირდება“ და სხვა. რითაც **შეფარულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. მითუმეტეს, როცა იმ ჟამს ხელისუფლებაში მყოფმა ლიბერტარიანული მსოფლმხედველობის ადამიანებმა საქართველოს ეკონომიკა გარკვეულ კალაპოტში უკვე მოაქციეს.** მათი ხედვით, ეს იყო ღია ბაზრის პრინციპი, რითაც ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ შესაძლებლობების დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ცალსახაა, რომ საქართველოსთან ღრმა და ყოვლის მომცველი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედება **ევროპელთა მხრიდანაც კეთილგანწყობილი და მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რადგან პრაგმატული თვალსაზრისითსაქართველო ძალზე მცირე ბაზარია–ევროპული სავაჭრო სივრცის საერთო ბრუნვაში ჩვენი წილი.**

**ჩვენვიცით, რომვაჭრობაშიძირითადიბარიერებიარისარა გადასახადები და ტარიფები, ან თუნდაც საკანონმდებლოგარემო, არამედ საზოგადოების მზაობა და შესატყვისი მენტალური, პროფესიული და პროცედურული გარემო.**

ხშირად, ამის გამო ძალიან რთულდება საქონლის შეღწევა ბაზარზე. ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ევროპული სტანდარტები მაღალი და მომსახურებას და ხარისხიან პროდუქციას გულისხმობს და თუ საქართველო ამ სტანდარტებში ჩაჯდება მისთვის ღიაა არა მარტო ევროპული არამედ ყველაზე მსყიდველუნარიანი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარიც. შესაბამისად, ბევრად უფრო ადვილად მიიღწევა აშშ-სთან ანალოგიური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება.

მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა გვქონდეს სტანდარტების ( მათ, შორის საგადასახადო კულტურის ) ისეთი განვითარებული სისტემა, რომელიც ევროპულს უახლოვდება. სწორედ ამიტომ, საქართველოს მზაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასოცირების ხელშეკრულება, როგორც ცალკე აღებული დოკუმენტი შესაძლოა ბევრს არაფერს ნიშნავდეს, თუ მას სათანადო განვითარება/იმპლემენტაცია, ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება არ მოჰყვა. მაგრამ, ყველა შემთხვევაში - ეს არის გზა ევროპისაკენ. დოკუმენტი ხელმოწერილია, ფაქტი ძალზედდადებითი, მაგრამ ყოველივე, რომ რეალობაგახდეს, უპირველესად, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების

სათანადოდ აღსრულება. ხოლო მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,, გზა ევროინტეგრაციისაკენ'' შრომათა კრებული 2014 წელი, გთსუ
2. ზ.ალადაშვილი - ევროინტეგრაცია და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ერთი ასპექტი. გვ -287.
3. ს.თავართქილაძე - საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება რეალობა და მომავალი გვ-304.
4. ლ.სადაღაშვილი - ნ.ქოქაშვილი - ,, საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები ბიზნესში, ,,გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი''. გვ -355.
5. შარლზ მორგან სტრომე (აშშ)- ,,ევროკავშირის სანქციების პოლიტიკა''. გვ-369.

## მონაწილეები:

ზ. მშვიდობაძე, ა. ხურციძე - **საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4

ც. მარღია - **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 12

მ. მაჭარაშვილი - **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ეკონომიკური თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხის მიღწევის, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების და მათ შორის ტურიზმის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი პირობა** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25

ნ. გულიაშვილი, ს. გულიაშვილი - **ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური ზრდა** . . 31

ა. რაზმაძე - **კერძო საკუთრება და კერძო საკუთრების დამკვიდრების პრობლემები საქართველოში** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 36

ნ. ჭოველიძე - **მულტინაციონალური კომპანიების ნეგატიური გავლენა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 43

ი. ღოღობერიძე, მ. ღოღობერიძე - **კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება - არსი და ურთიერთკავშირი** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 56

ნ. მჟავია - **ეკონომიკური თავისუფლება და გარემოს დაცვა საქართველოში** . . . . . . . . . . . . . . 62

ნ. ესიავა - **საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მოსალოდნელი შედეგები - ეკონომიკური თავისუფლების მაღალი ხარისხის მიღწევის შესაძლებლობა** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 69

გ. ხარშილაძე - **საქართველოს ეკონომიკური და საკუთრებითი თავისუფლება, გამოწვევები და პრობლემები** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 76

ა. მიქაბერიძე - **ეკონომიკური თავისუფლება და უმუშევრობა** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 83

ლ. გაგუა - **კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 90

ზ. მაღალდაძე, თ. კაკაბაძე - **გლობალური კრიზისი და ეკონომიკური თავისუფლება** . . . . . . 94

გ. კელაპტრიშვილი - **ასოცირების ხელშეკრულება და ეკონომიკური თავისუფლება სავაჭრო მიმოსვლისა და უცხოური ინვესტიციების საქართველოში მოზიდვის ხელშემწყობი პირობები** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101

კ. ღურწკაია - **Does It Exist a Positive Relationship Between Economic Freedom and Economic Growth?** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 110

ა. ურუშაძე - **კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 118

ნ. ივანიძე, ნ. გრიგორიანი - **Economic Freedom And Economic Growth** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 125

ს. პეტრიაშვილი - **ეკონომიკური თავისუფლება და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება დაბეგვრის შესახებ** . . . . . . . . . . . . . . . . . . . 131

**ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი**
**Economic Policy Experts Center**